

"ახალგაზრდა იურისტთა" სარჩელი

A2



პრესომბუდსმენი

A3



"ქისტის თასი"

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 25 სექტემბერი, 2006 წელი. №211 (1363)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 25/09 | 26/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 28 |
| ბათუმი | 26 | 28 |
| სოხუმი | 26 | 27 |
| ქუთაისი | 27 | 30 |
| გორი | 22 | 23 |
| თელავი | 27 | 27 |
| ონი | 16 | 19 |
| ზუგდიდი | 27 | 30 |
| სამტრედია | 27 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7400 |
| ევრო | 2.2300 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3150 |
| რუბლი | 0.0652 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
რევიუ A 5
ტენდერი A 6
სპორტი A 7
სპორტი A 8

# საქართველო მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა არ არის

მაია ჭალაგანიძე

*როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა და სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ჯონ ფ. ტეფტი საქართველოში აშშ-ს ელჩად შეარჩიეს, ასეთი დავალება მისცეს: დახმარებოდა საქართველოს მთავრობას დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, მათ დახვეწაში, დემოკრატიის განვითარებაში და სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარებაში. დავალების მიხედვით ელჩის ერთ-ერთი ფუნქცია საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის დახმარებაც გახლდათ. რა თქმა უნდა, აქ ნატო-ში შესაძლო გაწევრიანებაც იგულისხმებოდა. მოგეხსენებათ, ეს ის საკითხებია, სადაც აშშ ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად ევლინება ჩვენს ხელისუფლებას, საზოგადოებას და ოპოზიციას - ანუ ჩვენს სახელმწიფოს. ცხადია, რამდენადაც რთულია რეგიონი, იმდენად ჩნდება სირთულეები დავალებების შესრულების გზაზე და სახელმწიფოს შემადგენელი ზემოჩამოთვლილი სამი ნაწილიდან თითოეული საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობიდან და გემოვნებიდან გამომდინარე აღიქვამს ამ პარტნიორობას.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი.*

# სატრანზიტო ჩიხი თუ სინათლე კორიდორის ბოლოს

**B**

*საქართველო ყოველთვის საკვანძო რგოლად განიხილება აღმოსავლეთ-დასავლეთის "კორიდორის" ჯაჭვში. ევროკავშირის "TRASECA"-ს პროექტით მხარდაჭერილი კორიდორი გულისხმობს არა მარტო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ისტორიული სატრანზიტო "აბრეშუმის გზის" აღდგენას, არამედ სხვადასხვა ენერგოპროექტებსაც, რაც ევროპის ენერგობაზრის დივერსიფიკაციაში გამოიხატება. ევროპაში ჩნდება რუსეთის ნავთობის და გაზის ალტერნატივა კასპიისპირეთის ენერგომატარებლების სახით.*



# ვაჟაობის დღესასწაული ფშავში

ნინო ბერელიძე

შემოდგომის დადგომისთანავე ფშავში ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ტრადიციად ქცეული დღესასწაული წელსაც გაიმართა. "ვაჟაობა 145"-ის განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშვნის იდეა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ახალ, რიგით მეოთხე დირექტორს ქალბატონ ლელა რაზიკაშვილს (ბაჩანას შვილთაშვილი) ეკუთვნის. მისი მიწვევით, ჩარგალს 23-24 სექტემბერს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ეწვივნენ ფოლკლორული ანსამბლები, მუსიკოს-შემსრულებლები, ქორეოგრაფიული კოლექტივები და სახალხო მთქმელები.

**"შინაგანად დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ წინაპრების და ცხადია, პაპაჩემის, ვაჟა-ფშაველას წინაშე. იმედი მაქვს, მისი სახლ-მუზეუმი თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცევა, რაც არსთაგამრიგემ იმთავითვე მიანიჭა რაზიკაშვილების გვარს"** - აღნიშნავს ლელა რაზიკაშვილი.

ჩარგლისაკენ გზას იმ იმედით მივუყვებით, რომ იქ მასპინძელი ფშაველები შეგვეგებებიან, თავის ვარამ-სატკივარს გაგვიზიარებენ და რაიმეს, ჩვენთვის უცნობ ფრაგმენტებს გაიხსენებენ ვაჟას ბიოგრაფიიდან. თუმცა, 30-კომლიან სოფელს თითზე ჩამოსათვლელი მოხუცი თუღა შემორჩა, რომელიც კაცსაც დავიწყებია და მიქელგაბრიელსაც.

**"ამ სოფელში დავბერდი ბებო, აღარც კი მახსოვს რამდენი წლისა ვარ. ექვსი ობოლი შვილი გავზარდე და ახლა მარტო შემოვრჩი წუთისოფელს -** თვალცრემლიანი გვიამბობს ოთხმოც წელს მიტანებული სალომე ხუცურაული **- ვაჟა ხალხის კაცი იყოო, სოფლის მოამაგე და გამკითხავიო, ხშირად გამიგონია ბალღობაში... სამწუხაროდ ბევრის შეტყობა ვერ მოვასწარი ვაჟა-ფშაველაზე, რადგან ისეთი გაძაღლებული ცხოვრება მქონდა, სამისოდ ვერც კი მოვიცალე. აქ გვიან მოვედი. მუსიკის ხმა გავიგონე და ახალგაზრდები დავინახე, რომელთა დანახვაც ძალიან მახარებს, შვილიშვილებს მაგონებენ".**

გაგრძელება A5 გვერდზე



# ყოვლისმომცველი კონსენსუსი

### და ნატო-სკენ სავალი რთული გზა

ეკა კვესიტაძე

ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგ უკრაინაში ხალხმრავალ გამოსვლებს აწყობენ. საქართველოში კი რთველის დროს კახელი გლეხების მიერ უკვე დაილია ID ანუ ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის სადღეგძელო. უცნაურია, მაგრამ ლოგიკურია. ძნელია ამ ქვეყანაში სხვა ისეთი საკითხის მოძებნა, რომლის გარშემო ასეთი ყოვლისმომცველი კონსენსუსი არსებობს.

ნატო-ში გაწევრიანება დღეს საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა, მათაც, ვისაც მასზე, როგორც ორგანიზაციაზე, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. რადგან, იმისგან დამოუკიდებლად, რამდენად მარტივად თუ რთულად უდგებიან საქართველოში ნატო-ს დანიშნულებასა და როლს, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების უკან მაინც ერთი მარტივი სურვილი დგას - უსაფრთხოების სურვილი.

ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის დაწყება, რა თქმა უნდა, არანაირ გარანტიას არ იძლევა. გარანტია არც MAP ანუ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაა. თუ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებ, გაწევრიანების პერსპექტივა შეიძლება ნებისმიერ, თუნდაც სულ ბოლო ეტაპზე გაიყინოს. ასე რომ, წინ ჯერ კიდევ ძნელი და გრძელი გზაა. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

ინტენსიური დილოგის დაწყებას ოპოზიცია თითქმის ერთნაირი სულისკვეთებით შეხვდა - "ნატო-ში არავინ მიგვიღებს, რადგან საქართველოში დიქტატურაა".

ID-ს მიღება არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში ორნაირად შეიძლება შეფასდეს:

პესიმისტურად - ჩვენ ვერ შევალთ ნატო-ში, რადგან ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები არ არსებობს.

ოპტიმისტურად - ინტენსიური დიალოგის დაწყება სერიოზული პრესის ქვეშ მოაქცევს ხელისუფლებას, რომ დემოკრატიის ხარისხზე იზრუნოს და სტიმულს მისცემს საზოგადოებას, რომ უფრო მეტი შემართებით იბრძოლოს თავისი კონსტიტუციური უფლებებისათვის.

რადგან დღეს პესიმიზმის უფლება თუ ფუფუნება არა გვაქვს, ნატო-სთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა პირდაპირ უკავშირდება დემოკრატიისთვის ბრძოლის იმედს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მოსკოვის კონტრბრალდებები

*საქართველოს პრეზიდენტის მწვავე გამოსვლას გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, რუსეთის მხრიდან არანაკლებ მწვავე რეაქცია მოჰყვა. რუსეთის პრეზიდენტმა ქართველი კოლეგის ბრალდებები "კავკასიურ სიფიცხეს" დააბრალა და კონფლიქტების გადაწყვეტაში "გარანტის" როლი იკისრა. იმავდროულად, რუსეთის საგარეო უწყებამ საქართველოს გაერო-ში უჩივლა. მოსკოვი ჩვენებას არ ცვლის და კვლავ ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ რუსეთი კონფლიქტების დარეგულირებაში შუამავლის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ხოლო დარეგულირებისათვის ხელის შეშლაში საქართველოს ადანაშაულებს.*

თბილისის ბრალდებებზე საპასუხოდ რუსეთმა გაერო-ს საქართველოს მიერ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესის დარღვევის "დამადასტურებელი" მასალები გადასცა. ამის შესახებ მედიას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აცნობა.

მისი განმარტებით, რუსეთმა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოს მიერ დაშვებული დარღვევები გააცნო. განსაკუთრებული ყურადღება კოდორის ხეობაში ქართული სამხედრო ფორმირებების ყოფნაზე გამახვილდა.

ლავროვის თქმით, პარტნიორ ქვეყნებს ასევე ეცნობა, რომ საქართველომ დსთ-ს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს და გაერო-ს დამკვირვებლებს ხეობაში მონიტორინგის ჩატარება აუკრძალა. **"ეს ქმედებები თბილისის მიერ საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება,"** - განაცხადა მინისტრმა.

ლავროვმა დაინტერესებულ ქვეყნებს ასევე შეახსენა, რომ საქართველო **"შემტევი შეიარაღების უზარმაზარ რაოდენობას სასწრაფო წესით ყიდულობს"**. რუსეთმა ჯგუფში შემავალ ქვეყნებს მოუწოდა, **"ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზე, რათა ის დაუბრუნდეს ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებას, რაც გზას გაუხსნის მოლაპარაკებების ერთობლივი სტრუქტურების მუშაობას"**.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პატიმართა გახშირებული სიკვდილიანობის მიზეზები

*საპატიმროებში არსებული უმძიმესი სიტუაციის შესახებ საუბრები უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ქართული პენიტენციალური სისტემის გაუმართაობის თაობაზე საუბრობენ, როგორც საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლებიც. თუმცა, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემები, ბოლო პერიოდში, პატიმართა გახშირებულმა სიკვდილიანობამ გადაფარა. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სექტემბრის თვეში 11 პატიმარი გარდაიცვალა.*

არსებული ოფიციალური მონაცემებით, აგვისტოს თვეში 14 პატიმარი გარდაიცვალა. მათ უმეტესობას აწუხებდა გულ-სისხლძარღვთა დაავადება.

პატიმართა გახშირებული სიკვდილიანობის გამო, იუსტიციის სამინისტროში სპეციალური კომისიაც შეიქმნა, რომელმაც პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის გამომწვევი მიზეზების სრული ანალიზი უნდა გააკეთოს.

არასამთავრობო სექტორი პატიმართა გარდაცვალების გახშირებულ ფაქტებს ახსნას უძებნის და ამას საპყრობილეებში არსებულ არასათანადო პირობებს უკავშირებს.

**"პატიმრების გარდაცვალების უმთავრესი მიზეზებია: დაკავებულების არაადამიანურ პირობებში ყოფნა, ცემა-წამება, სამედიცინო დახმარების არარსებობა, არასათანადო კვება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რაც სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია,"** -აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიციის წარმომადგენლები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ყოვლისმომცველი კონსენსუსი

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთ შეხვედრაზე ერთმა უცხოელმა ექსპერტმა იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ილვწიან, ასეთი კითხვა დასვა - ამ ქვეყნების თვითმიზანი ევროკავშირში შესვლაა, თუ ცხოვრების ისეთი სტანდარტის მიღწევა, როგორიც ევროკავშირის ქვეყნებშია. ამ კითხვის მთელი ფილოსოფია არის ის, რომ ევროკავშირში გასაწევრიანებლად გაწეული შრომა და მისი შედეგები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ამ პრესტიჟულ კლუბში გაწევრიანების ფაქტი.

თუ ამ მოსაზრებასა თუ კითხვას საქართველო-ნატო-ს ურთიერთობის კონტექსტში ჩავსვამთ, ყველაზე სავარაუდო პასუხი იქნება ის, რომ ჩვენთვის ორივე მნიშვნელოვანია, როგორც პროცესი, ისე ნატო-ში გაწევრიანების ფაქტი.

რამდენიმე თვის წინ რუსეთში ინგლისის ყოფილმა ელჩმა მითხრა, რომ ნატო არ გამოდგება იმ მიზნისთვის, რისთვისაც საქართველოს ის სჭირდება - დაიცვას რუსეთისაგან, რადგან ეს ალიანსი რუსეთს საქართველოს გულისთვის არ დაუპირისპირდება.

რუსეთთან ნატო-ს ფიზიკური დაპირისპირება საქართველოს მიზანი ნამდვილად არ არის. რადგან ნატო-ში საქართველოს ყოფნა უკვე თავისთავად ცხადს გახდის რუსეთისათვის, რომ სამხრეთ კავკასიის ამ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ქვეყანას თავისი ამბიციური, ნეო-იმპერიალისტური მიზნებისათვიის ველარასოდეს გამოიყენებს. სწორედ ამიტომაც მოჰყვა ID-ს დაწყებას სრულიად შეშლილი ისტერია რუსი პოლიტიკოსების მხრიდან. ასე რომ, უსაფრთხოების თვალსაზრისით ნატო-ში შესვლის ფაქტი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მაგრამ, თუ ის სავსებით ცხადია, რატომ სჭირდება ნატო საქართველოს, ჯერჯერობით დამაჯერებლი პასუხი არ არის საპირისპირო კითხვაზე - რატომ უნდა იყოს ნატო საქართველოს გაწევრიანებით დაინტერესებული. ამ კითხვაზე კი ზუტი პასუხის გაცემა გადამწყვეტია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კარებზე დასაკაკუნებლად.

თუ ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ საქართველო და უკრაინა ნატო-ში შესვლას ერთად გეგმავდა, სიტუაცია უკრაინის ხელისუფლებაში პრორუსული იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ საკმაოდ შეიცვალა. ჯერჯერობით ზუსტად არავინ იცის, რა იგულისხმება უკრაინის პრემიერ-მინისტრის ახალი ლოზუნგის ქვეშ, რომ "ევრორომანტიზმი" "ევროპრაგმატიზმით" უნდა ჩანაცვლდეს.

რა შეიცვლება, თუ საქართველო ნატო-სკენ მიმავალ გზაზე მარტო, ნატო-სთვის გეოსტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი უკრაინის გარეშე დარჩა? მარტო დარჩენილი საქრთველო უფრო მეტი ყურადღების ქვეშ მოექცევა თუ ინტერესი მის მიმართ განელდება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ამ ეტაპზე, ძალიან ძნელია.

ჯერჯერობით ნათელი მხოლოდ ერთი რამ არის. საქართველოს ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდება იმისთვის, რომ ნატო-ს სტანდარტებს მიუახლოვდეს და გარდა ამისა, ის ზუსტი როლი და ფუნქცია გამონახოს, რომლითაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისთვის უფრო მიმზიდველი და საჭირო გახდება.

# სუამ-ის მინისტრები ნიუ იორკში მართავენ შეხვედრას

დღეს გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში დაგეგმილია სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომის ჩატარება, სადაც სუამ-ის წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეაფასებენ სუამ-ის კიევის სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგებს და დასახავენ სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს.

სხდომაზე გათვალისწინებულია სუამ-ის სამდივნოს პერსონალის შესახებ დებულების, ორგანიზაციის 2007 და 2008 წლების ბიუჯეტის და სუამ-ის ფარგლებში არსებული დარგობრივი თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფების დებულების პროექტების განხილვა და დამტკიცება. განიხილავენ ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე უწყებათაშორისი თანამშრომლობის არსებული სტრუქტურის სისტემატიზაციისა და სუამ-ის სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს. სხდომაზე ასევე გაიმართება სუამ-ის გენერალური მდივნისა და სამდივნოს პროექტების კოორდინატორების არჩევნები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, აგრეთვე, სუამ-ის არეალში არსებული კონფლიქტების მოგვარებისა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში შეტანილ - "სუამ-ის სივრცეში არსებული გაჭიანურებული კონფლიქტების და მათი საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და განვითარებაზე გავლენასთან" დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას. განისაზღვრება ამ მიმართულებით სუამ-ის წევრი ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებები შესაბამისი რეზოლუციის პროექტის მომზადებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით.

სუამ-ის მინისტრთა საბჭოს სხდომის შედეგების მიხედვით მომზადდება და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელი მოეწერება შეხვედრის ოქმს.

დაგეგმილია აგრეთვე შეხვედრა სუამ-აშშ-ს ფორმატში. აშშ-ს დელეგაციას სავარაუდოდ უხელმძღვანელებს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბატონი დენიელ ფრიდი. შეხვედრაზე გათვალისწინებულია სუამ-აშშ-ს ერთობლივი განცხადების მიღება.

*24 საათი*

# თბილისური რთველი

## ყურძენი, სპორტი და პოლიტიკა

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რიყეზე ყურძენი დაწურა და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა. სოფლის მეურნეობის მინისტრს, მიხეილ სვიმონიშვილს პრეზიდენტი ჯერჯერობით "რთველის პოლკოვნიკის" წოდებას ანიჭებს. სააკაშვილის პროგნოზით, გენერლის "ნომინაცია" სვიმონიშვილს რთველის ფინალში ელოდება.*

ეკა ღვინიანიძე

ყურძნის დაწურვის რიტუალის შესრულებისას საქართველოს პრეზიდენტს, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის და სხვა მაღალჩინოსნების გარდა, მხარს მსოფლიო ჩემპიონი ქართველი ძიუდოისტებიც უმშვენებდნენ.

ნიუ იორკიდან ჩამობრძანებულმა სააკაშვილმა პარიზიდან დაბრუნებულ ძიუდოისტებს გამარჯვება მიულოცა. მოჭიდავეთა გარემოცვაში მყოფმა პრეზიდენტმა საქართველოს ბოლოდროინდელ წარმატებებზე სპორტული ტერმინებით ისაუბრა: **"არავის ეგონა, რომ საქართველო ნატო-ში ინტეგრაციისთვის მეთექვსმეტედ ფინალს გასცდებოდა. ჩვენ საქართველო გავიყვანეთ ნახევარფინალში. ეს არის დიდი საერთაშორისო წარმატება".**

საქართველოს პრეზიდენტმა სიამაყით აღნიშნა, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა ფინალში რუსებს მოუგეს. **"ეს ნაკრები ნატო-შიც გვიქმნიდა და გვიქმნის გარკვეულ პრობლემებს",** - სპორტის და პოლიტიკის მონაცვლეობა წამყვანი იყო ყურძნის დაწურვის წინ წარმოთქმულ პრეზიდენტის მიმართავაში. მიხეილ სააკაშვილმა რუსი ძიუდოისტების მარცხი დაუკავშირა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და ემბარგოს, რომელიც რუსეთმა თავის ბაზარზე ქართულ პროდუქციას დაუწესა. **"ქართული ვაშლი რომ არ შეჭამეს ვარჯიშის შემდეგ, ქართული მანდარინის სურნელი რომ მოაკლდათ, რქაწითელი რომ არ უყიდიათ ამდენი წელიწადია, თავის წინა გამარჯვებებს საღამოობით იაფფასიანი ფრანგული და კრასნოდარის ღვინით რომ აღნიშნავდნენ, საფერავი რომ ენატრებათ, ასეთი ნაკრები რქაწითელნაჭამ და საფერავ და ბორჯომნასვამ ჩვენს ნაკრებს ვერაფერს დააკლებს."**

საქართველოს პრეზიდენტმა მსოფლიო ჩემპიონ ქართველ ძიუდოისტებს სიმბოლურად თითო მტევანი ყურძენი დაურიგა.

# მოსკოვის კონტრბრალდებები

პირველი გვერდიდან



*სერგეი ლავროვი გაერო-ში საქართველოს ედავება.*

გაერო-ში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას ლავროვმა კონტრპროდუქტიული უწოდა. **"ყველას ესმის, რომ პრობლემის რეალურად გადაწყვეტა მხოლოდ ურთიერთპატივისცემის პირობებში და ფაქტებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ამ განცხადებაში ვერც ერთი და ვერც მეორე დავინახე,"** - განაცხადა ლავროვმა.

ლავროვის განცხადებები მოულოდნელი არ ყოფილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, რომლის განმარტებით, "საქართველოს პრეზიდენტის შეფასებები ობიექტური რეაქციაა რუსეთის სეპარატიზმის მხარდაჭერის პოლიტიკაზე კონფლიქტურ რეგიონებში".

**"აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მშვიდობისმყოფელების მიერ სეპარატიზმის მხარდაჭერა და მათ მიერ დაკისრებული მანდატის შეუსრულებლობა რეალობაა. მხოლოდ ის რად ღირს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სამშვიდობოების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად ე.წ. რუსეთის მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვას მიიჩნევს. ხოლო, თუ როგორ "გაჩნდნენ" საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეები, ყველას კარგად მოეხსენება,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რაც შეეხება აფხაზეთში ლტოლვილთა უსაფრთხოებისა და მათი საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საკითხებს, სამინისტრო აღნიშნავს, რომ "მათ ცხოვრება სრული ტერორის პირობებში უხდებათ". **"სწორედ სამშვიდობოების მიერ მანდატის ვითომდა "კეთილსინდისიერად და ეფექტურად" შესრულების დროს, გალის რაიონში მოკლულ იქნა 2000-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები,"** - კიდევ ერთხელ შეახსენებს საერთაშორისო თანამეგობრობას ოფიციალური თბილისი.

რაც შეეხება ძალის არგამოყენების შესახებ ყოვლისმომცველი შეთანხმების ხელმოწერის საკითხს, საგარეო უწყება, პრეზიდენტის განცხადებაზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ **"სამშვიდობო ძალების საერთაშორისო პოლიციური კომპონენტით ჩანაცვლების შემდეგ, მზად ვართ გავამყაროთ მისი მანდატი ყოვლისშემცველი ხელშეკრულებით ძალის არგამოყენების შესახებ".**

**"რუსეთის მხარეს, კეთილი ნების შემთხვევაში, შეუძლია სხვა მონაწილეებთან ერთად - გაერო, ეუთო, ევროკავშირი, მეგობართა ჯგუფის ქვეყნები - თანაბრად იტვირთოს სამშვიდობო პროცესის გარანტორისა და ხელშემწყობის როლი,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

*24 საათი*

# "ახალგაზრდა იურისტთა" სარჩელი

ნათია მსხილაძე

*თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" (საია) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დავის განხილვა გაიმართა. ორგანიზაციამ ის განკარგულება გაასაჩივრა, რომლის თანახმადაც, თბილისის ამჟამინდელ მერს, გიგი უგულავას მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილეობის მიღების გარეშე თბილისის მერად გახდომის უფლება ეძლევა. საოლქო სასამართლომ "ახალგაზრდა იურისტების" მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.*




*ანა დოლიძე საქალაქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.*

ქალაქის ამჟამინდელი მერი, გიგი უგულავა "ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სიაში შეყვანილია, თუმცა არჩევნებში მაჟორიტარული წესით არ მონაწილეობს. "ახალგაზრდა იურისტთა" მტკიცებით კი, "საარჩევნო კოდექსის" 126-ე მუხლის თანახმად, პარტიულ სიაში შეყვანილი უნდა იყვნენ ის კანდიდატები, რომლებიც წარდგენილ არიან მაჟორიტარულ არჩევნებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ცესკო-ში რეგისტრირებულ საია-ს დამკვირვებლებს კომისიის განკარგულების გასაჩივრების უფლება არ აქვთ. არა და, კანონით, ცესკოში რეგისტრირიებულ დამკვირვებლებს კომისიის ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირების უფლება გააჩნიათ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საია-ს დამკვირვებლები პარტიულ სიებში შეტანილი კანდიდატების თაობაზე სარჩელის შეტანისათვის უფლებამოსილი პირები იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ მოსამართლე ჯუმბერ რუსიაშვილის გადაწყვეტილებით, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი გუშინ გაიმართა. საოლქო სასამართლომ ახალგაზრდა იურისტთა სარჩელი არ დააკმაყოფილა.

**"როგორც სასამართლში განაცხადეს, განკარგულების ის ნაწილი, რომელსაც "იურისტთა ასოციაცია" ასაჩივრებს, კანონთან შესაბამისია და მისი მომზადების წესი არ დარღვეულა. რა თქმა უნდა, ჩვენ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით და გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში ვაპირებთ. მოტივირებული გადაწყვეტილება სასამართლოსაგან დღეს გადმოგვეცემა და ხვალ უკვე შევიტანთ სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოში,"** -აცხადებს იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი თამარ კორძაია.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში განგვიმარტეს, "ნაციონალურ მოძრაობას" პარტიულ სიაში 24 ადამიანი ჰყავს ისე შეყვანილი, რომ ისინი არ არიან მაჟორიტარ კანდიდატებად წარდგენილი. **"კანონი ამბობს, რომ თბილისის საკრებულოს არჩევნებში პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატები აუცილებლად უნდა იყვნენ მაჟორიტარი კანდიდატები. ეს კანონის მოთხოვნაა და რატომღაც სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს მოთხოვნა არ ყოფილა სავალდებულო,"** - აღნიშნა თამარ კორძაიამ.

# უნგრეთში ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები გრძელდება

ბუდაპეშტში ოპოზიციურმა ძალებმა ფართომასშტაბიანი მიტინგი გამართეს. მათი მოთხოვნა კვლავ უცვლელია - პრემიერ-მინისტრ ფერენც დიურჩანის გადადგომა.

უნგრეთის პარლამენტის შენობის წინ 50 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. მათ საკუთარ სიმბოლოდ თეთრი ფერი აირჩიეს. აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ თეთრი ფერი ძალადობაზე უარისა და სიმართლისაკენ სწრაფვის სიმბოლოს წარმოადგენს.

თავად "სოციალისტურმა პარტიამ", რომელსაც სათავეში ფერენც დიურჩანი უდგას, ქვეყანაში შექმნილი უწესრიგობების გამო პასუხისმგებლობა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს დააკისრა.

დემონსტრაციები რამდენიმე პროვინციაშიც გაიმართა. "საპროტესტო აქციები მინისტრთა კაბინეტის გადადგომამდე არ შეწყდება," - განაცხადა მიტინგის ერთ-ერთმა ინიციატორმა ტომას მოლნარმა.

ბუდაპეშტში არეულობები 18 სექტემბრის საღამოს დაიწყო. საპროტესტო აქციები უნგრეთის დედაქალაქში სახელმწიფო რადიოს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულმა ჩანაწერმა გამოიწვია.

ჩანაწერში სოციალისტი პრემიერ-მინისტრი აღიარებს იმ ფაქტს, რომ მისი მთავრობა წინასაარჩევნოდ ხალხს ატყუებდა, როდესაც ამბობდა, რომ ქვეყანაში "კარგი" ეკონომიკური მდგომარეობა იყო შექმნილი. ჩანაწერში დიურჩანი ასევე აღიარებს, რომ ეს ყველაფერი აპრილში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მიზნით კეთდებოდა.

მიუხედავად მასობრივი მღელვარებისა, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ფერენც დიურჩანმა განაცხადა, რომ პოსტის დატოვებას არ აპირებს.

*ინტერპრესნიუსი*

# ნომერ პირველი ტერორისტი

## ცოცხალი თუ მკვდარი?

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას უსამა ბინ ლადენის გარდაცვალების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარება. ამის შესახებ ტელეკომპანია "სი-ბი-ესს" თეთრი სახლის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განუცხადა, რომლის ვინაობაც არ სახელდება. კვირას, ამერიკულმა ჟურნალმა "ტაიმმა", საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ბინ ლადენი "სერიოზულად არის ავად და შესაძლოა გარდაიცვალა კიდეც". იქვე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბინ ლადენის გარდაცვალების მიზეზი, შესაძლოა, წყლით ინფიცირება იყოს. ნომერ პირველი ტერორისტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ადრეც არსებობდა. კერძოდ, საფრანგეთის დაზვერვაზე დაყრდნობით, ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს, უსამა ბინ ლადენი ტიფით გარდაიცვალა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### შერეული საკონტროლო კომისიის სხდომას ვლადიკავკაზი უმასპინძლებს

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა 12-13 ოქტომბერს ვლადიკავკაზში გაიმართება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩის იური პოპოვის თქმით, სხდომის 26-27 სექტემბრიდან 12-13 ოქტომბრისთვის გადატანა ქართულმა მხარემ მოითხოვა. კერძოდ, პოპოვის თქმით, მათ მიიღეს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის რუსლან აბაშიძის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სექტემბერში საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი აქვთ და ამიტომაც სხდომის გამართვა 12-13 ოქტომბერს იქნება მიზანშეწონილი. პოპოვის თქმით, ქართული მხარის ინიციატივას მხარი ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. 12-13 ოქტომბერს სხდომის ჩატარებას, არც ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან. **მედიანიუსი**

### ცხინვალის რეგიონში კვლავ ისვრიან

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში სროლის ხმა ისმოდა. როგორც სააგენტო "რეგნუმი" იუწყება, თავს დაესხნენ დე-ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს.

იმავე წყაროს ცნობით, თავდამსხმელები სოფელ ფრისის მკვიდრის არტემ ბესაევის გატაცებისა და ცემის ფაქტის გამო ოპერტიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებდნენ.

სააგენტოს ინფორმაციით, სროლის შედეგად ოსური შსს-ს ორი თანამშრომელი - 32 წლის აცამაზ თედეევი და 37 წლის ახსარ კოკოევი დაიჭრნენ.

დე-ფაქტო რესპუბლიკის შს მინისტრის მიხეილ მინძაევის განცხადებით, ოსური მხარის მიზანია, პროვოკაციაზე არ წამოეგოს. მისივე თქმით, ოსურმა მხარემ კონფლიქტის ზონაში განლაგებული ყველა პოსტი გააძლიერა.

მინძაევის ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შსს-ს ორი დაჭრილი თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

*ინტერპრესნიუსი*

### აშშ-ვენესუელას დიპლომატიური დაპირისპირების მორიგი რაუნდი

ვენესუელამ მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ნიკოლას მადუროს დაკავებასა და დიპლომატიური დოკუმენტაციის ამოღებაში აშშ-ს ხელისუფლება დაადანაშაულა. მადურო გაერო-ს შტაბბინის მონახულების შემდეგ დააკავეს. ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ერთ-ერთი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მადურო 1992 წელს, წარუმატებელ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის გამო დაკითხეს.

ვენესუელამ საპროტესტო ნოტა აშშ-ს ადმინისტრაციასა და გაერო-ს გენერალურ მდივანს უკვე გაუგზავნა.

როგორც აშშ-ს ხელისუფლება ამტკიცებს, მადურო არავის დაუკავებია. მას უბრალოდ განმეორებითი სკანირების გავლა სთხოვეს, რის შემდეგაც ქვეყნის დატოვება შეეძლო, თუმცა "მან ნიუ იორკში დარჩენა არჩია".

თავად მადუროს მტკიცებით, ის ნახევარი საათის განმავლობაში დაკავებული იყო. ნიკოლას მადურო გუშინ, ნიუ იორკის აეროპორტის საიმიგრაციო სამსახურმა დააკავა. ის ეჭვმიტანილი იყო 1992 წელს, ვენესუელაში მოწყობილ პუტჩში მონაწილეობისთვის, როდესაც სამხედროების გარკვეულმა ჯგუფმა ვენესუელას პრეზიდენტის კარლოს ანდრეას პერესის გადაგდება სცადა.

*ინტერპრესნიუსი*

### აფხაზური ჯარი სამხედრო წვრთნებს იწყებს

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა სამდღიანი სამხედრო წვრთნები დაიწყეს.

გუმისთის პოლიგონზე წვრთნები რეზერვისტებს ჩაუტარდებათ, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ტექნიკური და საბრძოლო მომზადების გავლა. სწავლების ეს ფაზა დღეს გაიმართება.

წვრთნების ბოლო დღეს კი, 26 სექტემბერს, პოლიგონ ცაბალზე (გულრიფშის რაიონი) ჩატარდება ტაქტიკური წვრთნები საბრძოლო სროლებით. წვრთნებში ავიაციაც ჩაერთვება. როგორც სააგენტო "რია ნოვოსტის" აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, აღნიშნული სამხედრო სწავლებები "თავდაცვითი თემატიკით ტარდება". სააგენტო იუწყება, რომ წვრთნების ჩატარების შესახებ ინფორმირებულია როგორც დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობა, ასევე გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისია. *ინტერპრესნიუსი*


**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საქართველო მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა არ არის

პირველი გვერდიდან

**- აშშ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია დემოკრატიის განმტკიცებაში. თქვენი ქვეყანა პარტიების განვითარების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, ინსტიტუციონალური მშენებლობისთვის არც ტექნიკურ დახმარებას იშურებს და არც მატერიალურს. რამდენად ეფექტურია ეს დახმარება, როგორ შედეგებს ხედავთ?**

- ამერიკა ამ მიმართულებებით ცდილობს საქართველოსთვის დახმარების გაწევას. ჯერ კიდევ გასულ წელს, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, ვაშინგტონში ოფიციალურ პირებთან შეხვედრებზე საქართველოში არსებული მდგომარეობა განვიხილეთ. მათ დამარწმუნეს, რომ თქვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია რეფორმები არა მხოლოდ დემოკრატიის, არამედ სხვადასხვა მიმართულებითაც. ასე რომ, საქართველოსადმი დიდი ინტერესი უმაღლესი ეშელონებიდან და კონკრეტულად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან მოდის. მქონდა მასთან საუბრის საშუალება, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ინგლისს სტუმრობდა. შეხვედრის დაწყებამდე ოვალურ ოფისში პრეზიდენტი ბუში დიდი ინტერესით მეკითხებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც ასევე დაინტერესებულია თქვენი ქვეყნით და აქ მიმდინარე პროცესების შესახებ საქმის კურსშია.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ იმ შედეგების შეფასებას, რაც ჩვენს მხარდაჭერას მოაქვს. ამისთვის არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციები - დემოკრატიული და რესპუბლიკური ინსტიტუტები.

**- საქართველოში ჩასატარებელი ადგილობრივი არჩევნების სამეთვალყურეოდ და მხარდასაჭერად თქვენმა მთავრობამ 800 000 დოლარი გამოყო. გაიზარდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებისა თუ ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური კულტურა?**

- საქართველოში დემოკრატიული პროცესების ხელშესაწყობად უკვე დაიხარჯა 640 000 დოლარი. ამ თანხას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუწია ადმინისტრირება - "ახალი თაობა, ახალი ინიციატივა", "დემოკრატიისა და არჩევნების მხარდაჭერის ორგანიზაცია" და "ადგილობრივი თვითმმართველობის ნაციონალური სახელმწიფო ასოციაცია".



ბესო გულაშვილის ფოტო

"დემოკრატიის მშენებლობას სჭირდება დრო, ძალისხმევა და მოთმინება. ეს პროცესი საქართველოში დაწყებულია".

ამ ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა. გამოქვეყნდა შუალედური ანგარიში. ასეთივე ანგარიშებს სისტემატურად აქვეყნებს ეუთო-ც.

თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯება უშუალოდ არჩევნების დღის მონიტორინგზე და ხმების პარალელურ დათვლაზე. გარკვეული თანხა იხარჯება აქციებზე, რომელიც ახალგაზრდებს არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებს. "ურბანული ინსტიტუტი," "ევრაზიის ფონდი" და ჩვენი საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უშუალოდ არიან ჩართულნი ამ პროცესებში, რადგან ჩვენთვის ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია და მას ძალზე სერიოზულად ვეკიდებით, მით უფრო, რომ ამ საქმიანობაში გადასახადების ამერიკელ გადამხდელთა ფულიც დევს.

**- ამერიკელები არ აპროტესტებენ მათი გადასახადებით შევსებული ბიუჯეტის უცხო ქვეყანაში ხარჯვას?**

- არა მგონია, რადგან ამერიკელებს ერთი რამ აერთიანებთ - მათ კარგად ესმით დემოკრატიის მნიშვნელობა. წარმომადგენლობით პალატაში იყო ცნობილი სპიკერი, ონილი, რომელიც ამბობდა, რომ ყველა პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე კეთდება. ასე რომ, ნებისმიერმა ამერიკელმა კარგად იცის, რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პოლიტიკის წარმართვას ქვეყნის შიგნით.

**- სამაგიეროდ, ამ დახმარებას აპროტესტებენ საქართველოში. ზოგი პარტია თქვენს ქვეყანას საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევაში ღიად ადანაშაულებს. ამერიკული დიპლომატიური კორპუსი აკადემიური სიმშვიდით ხვდება ამას, მაგრამ, საზოგადოებაზე ეს განცხადებები დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს. რას იტყვით ამის შესახებ?**

- ერთი რამ ცალსახად მინდა ვთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მთავრობა მხარს უჭერს საარჩევნო პროცესს და არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას. ჩვენი მიზანი და ამოცანაა, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური და დემოკრატიული ინსტიტუტების საშუალებით ხელი შევუწყოთ პარტიების პოლიტიკური კულტურისა და განათლების ზრდას, არჩევნებისთვის მათ მომზადებას. ჩვენი მიზანი არავითარ შემთხვევაში არ არის საარჩევნო პროცესში ჩარევა. მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეების გადასაწყვეტია, ვის აირჩევენ.

**- ისეთ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, ასე მწვავედ და ხშირად არაკორექტულად, კომპრომატებით მიმდინარეობს საარჩევნო ბატალიები? რა გზა უნდა გაიაროს ქვეყანამ, რომ არჩევნები მეორედ მოსვლას არ ჰგავდეს?**

- ვფიქრობ, დემოკრატია იმით არის კარგი, რომ პოლიტიკურ ძალას ხელისუფლებაში მოსვლის საშუალებას არჩევნების, განსხვავებული აზრებისა და პოზიციების გამოთქმის გზით აძლევს. არჩევნები ისეთი თემაა, რომელიც თითოეული ადამიანის ბედს და მთლიანად ქვეყნის ცხოვრებას ერთნაირად ეხება. ამიტომ ახლავს ამ პროცესს ვნებათაღელვაც და შეხლა-შემოხლაც. ეს ყველა ქვეყნისთვის ბუნებრივი პროცესია.

5 ნოემბერს ამერიკაში "პრაიმერები" ტარდება. მასში მონაწილეობას მიიღებს სენატის ნაწილი და კონგრესი. უნდა ნახოთ, როგორი გამოცოცხლებულია ამერიკული პრესა. ჩვენთვის ამ პროცესის სწორად წარმართვა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან უნდა შექმნას სისტემა, რასაც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ჰქვია. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემისა და არჩევანის გაკეთების თავისუფლება. სწორედ ამას ვუჭერთ მხარს საქართველოში და სხვას არაფერს.

არჩევნებისას შეერთებულ შტატებშიც არ ცხრება ვნებები. ჯერ ყველაფერი ადგილობრივად, დაბალ დონეზე ირჩევა და შემდეგ იერარქიულად მაღლა მიდის. დებატები იმართება, მაგალითად, იმაზე, რომ ერაყში ომი ფედერალური ბიუჯეტით მიმდინარეობს - ამაზე ადამიანები, რა თქმა უნდა, მსჯელობენ და ზოგჯერ კერძო ინდივიდები ამ ვნებათაღელვას მეტ დაძაბულობას მატებენ. საბოლოოდ ამ ყველაფერს იმიტომ აქვს აზრი და მნიშვნელობა, რომ ეს პროცესი ადამიანს საბოლოო არჩევანის საშუალებას აძლევს.

**- ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი რამ მოხდა - ნატო მზადაა საქართველოსთან ინტენსიური დიალოგისთვის. რამდენად შეუქცევადია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ამის შემდეგ?**

- გეთანხმებით, ეს მართლა მნიშვნელოვანი დღე იყო და საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს მინდა გულწრფელად მივულოცო ეს წინგადადგმული ნაბიჯი.

საქართველომ წარმატებით დაასრულა "აიპაპი", რასაც საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ნატო არის ორგანიზაცია, სადაც ქვეყანა შესრულებული საქმით, დამსახურების მიხედვით ფასდება. საქართველომ კიდევ ერთი ეტაპი გადალახა და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. აგრეთვე იმის ცოდნაც მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ეს "ბევრი რამ" მხოლოდ სამხედრო რეფორმას არ მოიცავს. ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიის მშენებლობასა და მის განვითარებაზე, რადგან ნატო დემოკრატიული ქვეყნების ერთობაა, რომლის საფუძველშიც დემოკრატიული ფასეულობები დევს.

**- უკრაინასაც შევეხოთ - ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ ნატო ამ ქვეყანაში გააქტიურდა. დღეს ეს აქტიურობა აღარ შეინიშნება. როგორც მედია იტყობინება, ამ ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი ნატო-ში გაერთიანების წინააღმდეგია. როგორ გავლენას იქონიებს ეს ნატო-ს ურთიერთობებზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, მათ შორის, საქართველოსთან?**

- საქართველოში ამერიკის ელჩი ვარ და არა უკრაინის... ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა აქვს და თუკი მის წევრებს შორის კონსენსუნსი არსებობს, იცით, რომ ნებისმიერ ქვეყანას აქვს ამ ორგანიზაციასთან მიერთების შანსი, მაგრამ ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურია.

2002 წელს ლიტვაში ვიყავი ელჩი. ლიტვა იმ პერიოდში მაპ-ზე მუშაობდა. მოგეხსენებათ, ეს "ინტენსიური დიალოგის" შემდეგი ეტაპია. გარკვეული დროის მერე გავიგეთ, რომ ნატო-ს შვიდი ახალი წევრი ეყოლებოდა. მოხდა ისე, რომ სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვა დროში შეძლეს ამ პროგრამების განხორციელება. სანამ არ დადგება მომენტი, არ იცი, რომელი ქვეყანა არის მზად ნატო-სთვის და რომელი არა, რადგან ზოგი ქვეყანა უფრო სწრაფად აკეთებს ამას, ზოგი - პირიქით. ასე რომ, ნატო-სთან ურთიერთობა, ეს არის უკრაინის მთავრობისა და ხალხის გადასაწყვეტი, ეს მათი საქმეა.

რაც შეეხება საქართველოს - ძალიან მახარებს, რომ არა მხოლოდ მთავრობაში, ქართულ საზოგადოებასა და ოპოზიციაშიც კონსენსუსს ვხედავ - ყველა ემხრობა ნატო-ში გაწევრიანებას, ეს არის სახელმწიფოს მიზანი, რომელსაც ყველა ეთანხმება.

**- საქართველოს ცალსახად დასავლეთზე ორიენტირებული საგარეო კურსი უჭირავს. თურქეთს თუ არ ჩავთვლით, ჩვენი მეზობელი ქვეყნები დასავლეთთან არცთუ თბილ ურთიერთობებს არჩევენ. თქვენი აზრით, როგორ გამოიყურება დასავლეთიდან რეგიონის კონტექსტიდან ერთგვარად ამოვარდნილი ჩვენი ქვეყნის ეს სწრაფვა?**

- ამერიკის მთავრობისა და სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან საქართველოს მიმართ ყოველთვის გამოკვეთილად პოზიტიური დამოკიდებულება იყო. ამერიკული პოლიტიკური სპექტრის ყველა წარმომადგენელი განიხილავს საქართველოს, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას, რომელმაც ამ გზაზე გარკვეულ შედეგებს მიაღწია და რომელსაც მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების დამყარების სურვილი აქვს. საქართველო არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა. ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჯარები ჰყავს გაგზავნილი ერაყში და საკუთარი წვლილი შეაქვს გლობალურ უსაფრთხოებაში. ამისთვის ყოველი აქ ჩამოსული ამერიკელი ოფიციალური პირი უხდის მადლობას საქართველოს.

**- დიახ, ამერიკის მაღალჩინოსნებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი საქართველოს როლის სერიოზულობას ერაყში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში. თუმცა, ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვის არც საქართველოს ეს ნაბიჯია მნიშვნელოვანი და ერაყში მიმდინარე პროცესებსაც არაერთგვაროვნად აფასებენ. რამდენად რეალურია საქართველომ მიიღოს მხარდაჭერა ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისას და რომელი ქვეყნისგან იქნება ეს მხარდაჭერა მოსალოდნელი?**

- ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, ჩემი ევროპელი კოლეგები უკეთ გაგცემდნენ.

თქვენ საუბრობთ ევროპულ ქვეყნებზე, რომლებიც საქართველოს ერაყში ყოფნას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ისინი კონკრეტულად საქართველოს იქ ყოფნით კი არ არიან უკმაყოფილონი, არამედ ერაყში მიმდინარე პროცესებზე ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. თუმცა, მაინც არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, რომ მაგალითად, ქართული სამხედრო შენაერთები იქ გაერო-ს შენობას იცავენ (გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე წლის წინ ერაყში გაერო-ს შენობის დაბომბვას მაღალჩინოსანიც ემსხვერპლა). იმას, რომ გაერო-ს შენობა დაცულია, ყველა ქვეყანა მიესალმება, აქ აზრი ერთიანია. ერაყში მყოფი ადამიანები დემოკრატიას იცავენ და არა მგონია, ამის შესახებ სხვა აზრი არსებობდეს.

**- დავუბრუნდეთ საქათველოს... ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებას - ადამიანის უფლებები იქნება ეს თუ საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები - ბევრ ანტიდემოკრატიულ საქციელში ადანაშაულებს. როგორ ფიქრობთ, საბოლოო მიზნის მიღწევის სახელით შესაძლებელია დაიშვას ანტიდემოკრატიული ნაბიჯები ამ რთულ რეგიონში და თან რევოლუციური რყევის შემდეგ?**

- მე ამერიკის ისტორიას ვსწავლობდი. წელს კონსტიტუციის მიღების 232 წელი ხდება. ამერიკის ისტორიაში ალმასვლებიც იყო და დაღმასვლებიც. ერთი რამ მინდა ვთქვა - ჩემი აზრით, ამერიკა დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემოკრატიული ქვეყანაა და ამ ქვეყანას ასეთი აღმა-დაღმა სვლები მრავალი ჰქონია, ეს ბუნებრივი რამ არის. დემოკრატიის მშენებლობას სჭირდება დრო, ძალისხმევა და მოთმინება. ეს პროცესი საქართველოში დაწყებულია.

ოპოზიციის წარმომადგენლებს შევხვედრივარ და ვიცი მათი მოსაზრებები და მათ შორის, კრიტიკული მოსაზრებებიც, მაგრამ ასევე მახარებს, რომ ქვეყანაში პროცესი მიმდინარეობს. მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღებს და ეს ძალიან კარგია, რადგან ჩვენი მიზანი ამ პროცესის წახალისებაა. არჩევნები დემოკრატიის გამოხატულებაა და ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით სწორედ ამიტომ ვაკეთებთ ამდენ რამეს. დემოკრატიისთვის სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

## პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

უყვართ ჩვენში სიტყვა "ობიექტური". განსაკუთრებით ორი ტიპის ხალხს აკერია პირზე ეს სიტყვა — ყოფილ საბჭოთა მეცნიერებს (ძირითადად, ჰუმანიტარული მიმართულებისა) და ახალ პოსტსაბჭოთა ჟურნალისტებს. ამ ორ ბანაკს კიდევ ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ ბევრზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. ასეა თუ ისე, დღეს ჩვენი საკვანძო სიტყვა იქნება "ობიექტური"...

ობიექტური კი ის გახლავთ, რომ... ჰმ, თუ დავაკვირდებით, არც ისე ადვილი ყოფილა რეალობის ქაოსიდან რაიმე უპირობოდ ობიექტურის გამოყოფა. საწყის პირობას კი ახლავე მოგახსენებთ: მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, როგორი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაც არ უნდა ჰქონოდა საქართველოს — უცხო მითოლოგიაში ბუნდოვნად ასახული მხარე თუ ქვეყანა, ერთიანი სამეფო, სამეფოთა და სამთავროთა ფხვიერი ერთობლიობა, დიდი სახელმწიფოს რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეული, დემოკრატიული რესპუბლიკა და ა. შ. — მისი ამ მრავალფეროვანი არსებობის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ნიშანი იყო ძლიერი მფარველის სურვილი. ნუ მოვყვებით ახლა მოყირჭებულ ისტორიებს და თავის გასამართლებლად ურიცხვი დამპყრობლების შემოსევებს ნუ გავიხსენებთ: ვიცით, ბატონებო, გაგვიგია — ბოლოს და ბოლოს, ყველა ქართველ ტაქსისტს ორი უმაღლესი აქვს დამთავრებული, ყველა ქართველ მეძავსაც დედა საავადმყოფოში უწევს, ძმა კი ციხეში უზის. ჰოდა, თუ გავიჭირვებთ და ვაღიარებთ, რომ ძლიერი მფარველისკენ სწრაფვა ჩვენი ლამის თანდაყოლილი თვისებაა, ობიექტური დასკვნა ის იქნება, რომ არასოდეს, დიახ, მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა საქართველო ასე ახლოს ამ სანუკვარი ოცნების ასრულებასთან, როგორც მას შემდეგ, რაც ნატოს მინისტერიალმა ჩვენს შესახებ ცნობილი გადაწყვეტილება მიიღო.

მაინც რატომ ხდება, რომ მედია, რომელიც ასე მსუბუქად და წარბშეუხრელად გვეუბნება, რომ 26 სექტემბერს თბილისის ოპერის სცენაზე **ჩიკ კორეა** და **გარი ბარტონი** თავიანთ "**ისტორიულ დუეტს**" წარმოადგენენ, რატომღაც ვერ ამჩნევს, რომ აქ და ახლა, ჩვენს თვალწინ ხორციელდება საქართველოს ნამდვილი ისტორია?

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ნატოს მინისტერიალის ეს გადაწყვეტილება განუზომლად მეტია არა მარტო გელათის აკადემიის დღევანდელ მნიშვნელობაზე, არამედ დიდგორის ბრძოლაში რამდენიმე ასეული ჯვაროსნის მონაწილეობაზეც. შედარებაც არ შეიძლება. გახსოვთ, რა გულისამაჩუყებლად კითხულობდნენ წითელყელსახვევიანი გოგოები სასკოლო მონტაჟებზე — "ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან..."? — ჰოდა, დადგა დრო, როცა შეიძლება ვიწრო სპეციალისტების მეხსიერებას მივანდოთ ეს პოეტური ნიმუშიცა და მისი წარმომშობი გუნება-განწყობაც.

გვეუბნებიან, რომ ეს არაფერს ნიშნავს, რომ ინტენსიური დიალოგის ფორმა საგანგებოდ ჩვენთვის მოიგონეს, რომ არც დაგვეთანხმონ და არც უარი გვითხრან. ვთქვათ, არაფერი ვიცით **ინტენსიური დიალოგის რეჟიმის** შესახებ, წარმოდგენაც კი არა გვაქვს — ამ შემთხვევაშიც კი საიდან უნდა მოვიპოვოთ იმდენი თავდაჯერებულობა, რომ ვიფიქროთ, თითქოს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ხელმძღვანელობას ჩვენთან მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი დასჭირვებოდა? ალბათ რა მოწიწებას უნდა გრძნობდნენ იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მსოფლიოს **კუკავა** და **ნათელაშვილი** აჩუქა!

ახლა კი სერიოზულად: სიხარული სიხარულად, მთავარი კი გაგებაა — ამის ქვეშ **შაქრო კალაშოვიც** კი მოაწერდა ხელს (თუ ეგენი ხელის მოწერას უკადრისობენ?). იმას ვამბობდი, რომ მიღწეულის ყოველმხრივი შეგნებისა და შეფასების დრო დადგა. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: ჩვენი წინა პუბლიკაციის შემდეგ, როგორც იქნა, მთელ ქვეყანას დაანახეს ცხადად "რუსთავი-2"-ის ეთერიდან, თუ რას ფიქრობენ ქართველები ნატოს წევრობაზე.

მაგრამ ამაზე არ უნდა შევჩერდეთ და კიდევ ერთხელ გავიაზროთ ჩვენი საყვარელი ზედსართავი "ობიექტური". აი, რას ვკითხულობთ "24 საათის" 21 ოქტომბრის ნომერში, სადაც რამდენიმე ავტორი **თომა ჩაგელიშვილის** დოკუმენტურ ფილმს აკრიტიკებს: "**იმას, ვისაც აფხაზეთის ომის ცხოვრებით არ უცხოვრია ... ნამდვილად გაუჭირდება უამრავი კინომასალიდან აარჩიოს სწორედ ის, რომელიც ობიექტური სინამდვილის ჩვენების საშუალებას იძლევა**". მე არ შევეხები ამ სტატიის განხილვას, რადგან არც ფილმი მინახავს და არც "ომის ცხოვრებით მიცხოვრია" — მე მხოლოდ იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, თუ როგორ იყენებენ ავტორები ობიექტურობის ცნებას: თურმე ობიექტური სინამდვილე ისაა, რაც უნდა აირჩიო. მაგრამ არჩევანს სუბიექტი აწარმოებს, ყოველი არჩევანი სუბიექტურია და ამას უნდა შევურიგდეთ. ავტორები ლაპარაკობენ ობიექტურობაზე, სინამდვილეში კი მათი პრეტენზია ისაა, რომ "შემრჩევი" სუბიექტები არ მოსწონთ. მე არც სტატიის ავტორებს ვასახელებ და არც სათაურს — დარჩეს ეს ციტატა ჩვენი მენტალობის ტიპურ და ანონიმურ მაგალითად.

მაშ ასე: გავრცელებული გაგების თანახმად, ობიექტურია ის, რაც "ჩვენს" წინასწარ განწყობას აკმაყოფილებს. დანარჩენის წინააღმდეგ არსებობს სტანდარტული პასუხი: "ეს თქვენი სუბიექტური აზრია!". თითქოს "ჩვენი" აზრი ასეთივე სუბიექტური არ იყოს. ამ ვითარების დასაძლევად ერთადერთი საშუალება არსებობს: აკადემიური ტრადიციით გამაგრებული საზოგადოებრივი კონვენცია, სხვაგვარად, თითოეულის პირადი განათლების საფუძველზე შემუშავებული საყოველთაო წესი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველგვარი განხილვა. უნდა გახაროთ, რომ ქართულ ტრადიციაში ასეთი რამ არსებობს და ქვემოთ შესაბამისი ობიექტური მსჯელობის მაგალითიც მომყავს: "**ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს**". როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ისიც ტიპური და ანონიმური) ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას არა ხელისუფლების ერთპიროვნული დამსახურებით, არამედ გლობალური ისტორიული ვითარების შემობრუნებით ხსნის. ამგვარი მიდგომა არავის დაამცირებს.

რა თქმა უნდა, ობიექტურობის ეს დონე ხელისუფლებას არ უნდა მოვთხოვოთ: ნაციონალური მოძრაობის სახელით ბრიფინგზე შეგროვილ ოთხ შარვალსა და ერთ ჩითის კაბას თავიანთი მიზნები აქვთ — მათი საქმე პოლიტიკაა. მაგრამ ახლა, ამ პირობებში, როცა პასუხისმგებლობით განპირობებული მოთხოვნები სულ უფრო საგრძნობი გახდება ჩვენს ცხოვრებაში, აუცილებლად გვჭირდება მიუკერძოებელი და კვალიფიცირებული ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს აკადემიური ობიექტურობით შექმნიან და წარმართავენ.

წინასწარ მესმის შეკითხვა: განა ხელისუფლებას აძლევს ხელს ასეთი ადამიანების არსებობა? არასწორი შეკითხვაა, რადგან მეორად მნიშვნელობას ატარებს. სწორი შეკითხვა ასეთი იქნება: გვყავს კი ასეთი ადამიანები? პასუხი ჩემთვის უცნობია. მე მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის წარმართვის სამი მაგალითი შემიძლია შემოგთავაზოთ, დანარჩენი კი თვითონ განსაჯეთ. სამიდან არც ერთი არაა ისეთი, რომლის ასახსნელად შეიძლება მოვიშველიოთ მარგინალობის კატეგორია, სამივეს საკმაოდ რესპექტაბელური ადგილი უჭირავს თავის სფეროში.

**მაგალითი პირველი** — პოლიტიკური ოპოზიცია, ბლოკი "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი". ამათი მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ხელისუფლების წინასაარჩევნო მონიტორინგი. მე ვერ დავიწყებ მსჯელობას იმაზე, რამდენად იგვიანებენ ადგილზე მისვლას სასკოლო ავტობუსები, ვერც იმას დავადგენ, რამდენად უნდა შეფასდეს **გიგი უგულავას** ღიმილი. უბრალოდ, არ შემიძლია არ აღვნიშნო რამდენიმე მეთოდოლოგიური შეუსაბამობა: 1) საქართველო თავისი სამომავლო რომანის პირველ, შავ ვარიანტს წერს და გონიერი ადამიანი არ უნდა მოელოდეს, რომ ამ ვარიანტში ყოველი წინადადება სტილური სინატიფის მაგალითი იქნება, — ამგვარი მოლოდინის მქონე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ წინსვლას აბრკოლებს; 2) განცხადება "მე კარგად გავაკეთებ იმას, რასაც სხვა ცუდად აკეთებს" არაფერს გვეუბნება იმაზე, რამდენად შეძლებ და საერთოდ შეძლებ თუ არა იმას, რასაც სხვა კარგად აკეთებს; 3) უცნაურია გამარჯვების იმედი ისეთ ვითარებაში, როცა შენს ყოველ იდეას კვებავს ის, ვისი დამარცხებაც გწადია.

თუმცა აღწერილ ქცევას აქვს ერთი ცნობილი არქეტიპი: ყველა შეამჩნევდა, რომ ქართველი ადვოკატები სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან. ტელეკამერის წინ მეტ-ნაკლები ვარიაციებით ყველა ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებს: ბრალდების არგუმენტები აბსურდულია. დანარჩენი კი სტანდარტულ ტექნიკას ექვემდებარება: სამხილების შეგროვება, შუამდგომლობების აღძვრა და ა. შ. ამას ისიც დავამატოთ, რომ საარჩევნო ბლოკის სახელიც უფრო იურიდიულ კანტორას მოგვაგონებს, ვიდრე პოლიტიკურ გაერთიანებას. ამიტომაც ძლივს დავძლიე სურვილი, გვარებს შორის კომერციული სიმბოლო & ჩამეკვეხებინა. ყოველივე ამას ძალიან ცოტა აქვს საერთო როგორც პოლიტიკასთან, ასევე საზოგადოებრივ აზრზე ნაყოფიერ მუშაობასთან.

**მაგალითი მეორე** — მედია, ტელეკომპანია "იმედი", ტოკ-შოუ "რეაქცია". 22 სექტემბრის გადაცემის თემა: ნატოში გაწევრიანება და მასთან დაკავშირებული პერსპექტივები. თავიდან ეკრანზე ჩნდება სახელმწიფო მინისტრი **გიორგი ბარამიძე** და რაღაცას ლაპარაკობს. პირდაპირი ჩართვა პრაღიდან — "იმედი" ამჟღავნებს შესაძლებლობებს. რას ლაპარაკობს ბარამიძე, მნიშვნელობა არა აქვს. ან რა უნდა თქვას სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც ნიუ-იორკის ან ბრიუსელის მაგიერ პრაღაში ზის? ამის შემდეგაც არსებითი საკითხებით არავინ ინტერესდება — ყურადღება გადადის დაბრკოლებაზე: რუსეთი! ვთქვათ, რომ ესეც არაა ინტერესს მოკლებული, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ეპიცენტრად რატომღაც მიიჩნევა პარტია "სამართლიანობასთან" დაკავშირებული პერიპეტიები. გინახავთ ალბათ, სოფელში პანაშვიდებზე ხალხი საკუთარი მიცვალებულის სურათებით რომ მოდის. როგორც ეტყობა, "რეაქციის" ფორმატის შეცვლა სწორედ "სამართლიანობის" მიმართ განხორციელებულმა ღონისძიებებმა განაპირობა — სწორედ მათი ახალგაზრდული კონტინგენტით იყო დაკომპლექტებული ეგრეთ წოდებული "ხალხი". სოფლის პანაშვიდთან მსგავსებას **სარიშვილის** გამოსვლა აძლიერებს. ამ პერსონაჟის მონოლოგიდან ყურადღების ცენტრში რესპუბლიკელთა მიმართ გამოთქმული რაღაც აზრი ექცევა და მესამე ნომრად დაბარებულივით ჩნდება **ლევან ბერძენიშვილი**. ამის შემდეგ თვალის დევნება დამეზარა.

აღარ მოვყვები მომხდარის დაწვრილებით განხილვას. უბრალოდ, კითხვას დავსვამ: შესაძლებელია თუ არა ამგვარი ხერხით განვახორციელოთ ის, რაც ასე გვჭირდება დღეს — დავანახოთ ადამიანებს იმ სინამდვილის აგებულება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ამისათვის აუცილებლად უნდა გვქონდეს, სულ მცირე, საგნებისა და მოვლენების სტრუქტურირების უნარი, რისი კვალი "იმედის" გადაცემაში არ შეინიშნება. ერთადერთი, რასაც ვხედავთ, საზოგადოებრივი შეგნების ეროგენულ ზონათა გამუდმებული სტიმულირებაა.

**მაგალითი მესამე** — ექსპერტები. აქ გამოგვადგება **ვერიკო თევზაძის** მასალა, რომელიც ჩვენმა გაზეთმა 22 სექტემბერს გამოაქვეყნა. აქ ორი ექსპერტის აზრს გამოვყოფ. "**აზრთა სხვადასხვაობა ნატოშიც შეინიშნებოდა. ასევე დიდი იყო წინააღმდეგობა რუსეთის მხრიდან. რუსეთი კი მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს საამისოდ, რათა ესა თუ ის გადაწყვეტილება დაბლოკოს**" — გვეუბნება **დავით დარჩიაშვილი**. რას გვეუბნება? რა ინფორმაციას გვაწვდის ეს სიტყვები? როგორ შეიძლება ამას ვუწოდოთ ექსპერტის აზრი? კიდევ უფრო საკვირველია გია ნოდიას საექსპერტო შეფასება: "**ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმასთან შედარებით, მაგრამ ნაკლები, ვიდრე გაწევრიანების სამოქმედო გეგმაა**". ერთი სიტყვით, ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.

რა თქმა უნდა, შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ ჟურნალისტს და ვთქვათ, რომ პატივცემულმა ექსპერტებმა ძალიან მნიშვნელოვანი რამეები ბრძანეს, მან კი ვერ მოახერხა არსებითის ამოღება. შეიძლება, მაგრამ მეეჭვება, მართალი იყოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი სპეციფიკის მასალისაგან ძალიან ბევრს არ უნდა ველოდოთ. მაგრამ მე არავის ვკიცხავ, ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ვაგულიანებ. ორივე ექსპერტი ჩემი კოლეგაა. მათ შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრზე კვალიფიცირებული გავლენა, სწორედ ისეთი, როგორიც დღეს გვჭირდება. ამიტომაც თქვენი სახელით მოვითხოვ მათგან, მათი სახელის შესაფერი წვლილი შეიტანონ იმაში, რომ ყოველმა ჩვენგანმა შეძლოს საკუთარ თავზე იმ პასუხისმგებლობის აღება, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად ჩვენი ქვეყანა სწორედ რომ თითოეულ ჩვენგანს მოსთხოვს და არა მხოლოდ ხელისუფლებას.


■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

## სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს.

საქმე ისაა, რომ 2006 წლის 13 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციათა მფლობელებმა. განცხადებელთა ინფორმაციით, კომპანიის აქციათა 95 პროცენტი ერთი პირის საკუთრებაშია, რომელსაც სრული მფლობელობა სურს და დანარჩენ აქციათა მფლობელებს, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533 მუხლის I ნაწილის საფუძველზე, თავიანთი აქციების გაყიდვას აიძულებს. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ირღვევა მათი საკუთრების უფლება, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული.

2005 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა "მეწარმეთა შესახებ" კანონს დაამატა 533-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ აქციონერს საკუთრებაში აქვს ხმის უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს, გამოისყიდოს სხვა აქციები სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს, აქციათა სანაცვლოდ, რჩებათ სამართლიანი ფასის მიღების უფლება. თავად მუხლს ჰქვია "აქციათა სავალდებულო მიყიდვა" და არსებული პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ამ მუხლის გამოყენებით აქციათა ყიდვა-გაყიდვა ხშირად იძულების წესით ხდება.

სახალხო დამცველმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიიჩნევს, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის I ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ზღუდავს საკუთრების უფლებას. ვინაიდან, **"კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების, ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება, ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ისიც - კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით"**, - აცხადებს სახალხო დამცველი.

საკუთრების უფლება, ასევე, განმტკიცებულია რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ ამით არ ილახება მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები; ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლით - თავის შეხედულებისამებრ ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ქონებას, რადგანაც აქციათა მესაკუთრეს წარმოეშვება ვალდებულება, გაყიდოს მის საკუთრებაში არსებული აქციები.

**"კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი მას უნდა შეესაბამებოდეს",** - აცხადებს სახალხო დამცველი და "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამავდროულად, სახალხო დამცველი ითხოვს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს მუხლის მოქმედება სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციონერთა მიმართ; მით უმეტეს, რომ კომპანიის ერთპიროვნულ მფლობელობაში გადაცემის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება არ იკვეთება.

*24 საათი*

# პატიმართა გახშირებული სიკვდილიანობის მიზეზები

პირველი გვერდიდან

ცოტა ხნის წინათ სახალხო დამცველთან არსებულმა პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მონიტორინგი ჩაატარეს და ავადმყოფი პატიმრებიც მოინახულეს.

ომბუდსმენის ოფისის წევრების განცხადებით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, იზოლირებულ პალატებში უმძიმესი სანიტარიული მდგომარეობაა. ოთახის ტემპერატურა ძალიან მაღალია, თითქმის შეუძლებელია სუნთქვა. ირგვლივ ანტისანიტარიაა და ჰაერი სპეციფიური სუნით არის გაჟღენთილი. კედლები, ჭერი და იატაკი თითქმის სრულადაა დაზიანებული. შენობაში ბუდობენ მღრღნელები, მწერები და ქვეწარმავლები. მიმდებარე ვირთხების გამო განუწყვეტლივ კედლების ღრღნის ხმა ისმის.



პატიმართა მდგომარეობას სპეციალური კომისია სწავლობს.

"შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია გაუსაძლისი პირობები და ამ სიტუაციაში პატიმრების და მით უფრო უმძიმესი ავადმყოფების ჩამყუდევა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მათი მკურნალობა აშკარად არაადეკვატურია ან საერთოდ არ ტარდება, წარმოადგენს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას," - ასეთი გახლდათ სახალხო დამცველის აპარატის დასკვნა.

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ჯანდაცვის მინისტრს და მოითხოვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში 9 მარტის ცვლილების გაუქმება და სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებელ დაავადებათა სიის გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პატიმართა უფლებების დაცვა.

*24 საათი*

# სახელმწიფო მოხელეთა ფინანსური დანაშაულები

*პროკურატურა სახელმწიფო მოხელეთა სამსახურებრივი საქმიანობით დაინტერესდა და არცთუ ცოტა დარღვევები აღმოაჩინა. პროკურატურაში თანამდებობის პირთა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე რამდენიმე საქმის გამოძიება მიმდინარეობს და სამართალდამცველების ინფორმაციით, მალე გამოძიებული საქმეები განსახილველად სასამართლოში გადაიგზავნება.*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აჭარის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კატასტროფების, მედიცინისა და საგანგებო სიტუაციების სამმართველოს უფროსის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დასრულდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესაძენად გამოყოფილი იყო 20 ათას 560 ლარი. ჯანდაცვის სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ აღნიშნული სამმართველო გაუქმდა. ინვენტარიზაციის შედეგად კი 5.382,82 ლარის დანაკლისი აღმოჩნდა. იგივე დასკვნა გაკეთდა კონტროლის პალატის რევიზიის შედეგადაც.

აღმოჩენილი დანაშაულის გამო, პროკურატურამ სამმართველოს უფროსი ჯემალ ქათამაძე საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა და მას ბათუმის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეუფარდა 20 ათასი ლარის ოდენობით გირაოს გადახდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე კიდევ ერთი კორუფციული საქმის გამოძიება მიმდინარეობს. პროკურატურის განცხადებით, 2006 წლის 30 აგვისტოს ექვმიტანილის სტატუსით დააკავეს რკინიგზის სადგურ "ბათუმი"-ს დირექტორის მოადგილე ბესარიონ ჭყონია, საბაჟო "დასავლეთი"-ს გაფორმების ჯგუფის უფროსი ინსპექტორი ვაჟა ბოლქვაძე და იმპორტიორი - შპს "ფრედი"-ს დამფუძნებელი ედუარდ ცენტერაძე.

გამოძიებით დადგინდა, რომ რკინიგზის სადგურ "ბათუმი"-ს დირექტორის მოადგილემ ბესარიონ ჭყონიამ და საბაჟო "დასავლეთი"-ს გაფორმების ჯგუფის უფროსმა ინსპექტორმა ვაჟა ბოლქვაძემ დახმარება აღმოუჩინეს შპს "ფრედი"-ს დამფუძნებელ ედუარდ ცენტერაძეს. სახელმწიფო მოხელეების დახმარებით, ცენტრაძემ, დაახლოებით, 60 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საღებავები საქართველოში საბაჟო წესების დარღვევით შემოიტანა.

**"შედეგად, კანონმდებლობით დადგენილი წესით განუბაჟებელი საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში მოხვდა, რამაც სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია,"** - აცხადებენ პროკურატურაში.

აღნიშნული დანაშაულისთვის ბესარიონ ჭყონია პასუხისგებაში მიეცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით - დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში.

ვაჟა ბოლქვაძე საქართველოს 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 24-ე, 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო ედუარდ ცენტერაძე 214-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჭყონიას, ბოლქვაძესა და ცენტერაძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეეფარდათ წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე, მარნეულის რაიონის გამგეობის საკუთრებაში არსებული შ.პ.ს. "მარნეულის წყალსადენის" თანამშრომლების მიერ, გადასახადისათვის თავის არიდებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისების ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ შპს "მარნეულის წყალსადენის" დირექტორმა რამიზ ბაბაქიშიევმა 2004-2005 წლებში, თავი აარიდა 51 ათას 267 ლარის გადასახადის გადახდას. ამის პარალელურად, მან მიითვისა სახელმწიფოსთვის კუთვნილი 17 ათას 305 ლარი. ბაბაქიშიევის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია სასამართლო-საბუღალტრო და სასამართლო-სამშენებლო ექსპერტიზების ჩატარების შედეგად.

პროკურატურამ რამაზ ბაბაქიშიევი ბრალდებულად ცნო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და აღკვეთის ღონისძიების სახით მას შეეფარდა გირაო 50 ათასი ლარის ოდენობით.

ბრალდებულმა რამიზ ბაბაქიშიევმა სახელმწიფოსთვის დამალული გადასახადი თანხა - 51 ათას 267 ლარი სრულად აანაზღაურა.

სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კიდევ ერთ ფაქტს კახეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პარლამენტის წევრის ნუგზარ აბულაშვილის წერილი, სადაც საუბარი იყო სიღნაღის რაიონში მიწების იჯარით უკანონოდ გაცემაზე.

პროკურატურამ სიღნაღის რაიონის გამგებელი ბერდო ასანიშვილი, მისი მოადგილე მამუკა მანგოშვილი და მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ვაჟა დიერაშვილი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა. სიღნაღში მიწების იჯარით უკანონოდ გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

*24 საათი*

### მოკლედ

## სასამართლო "საშვი" მხოლოდ პროკურორებისთვის

წლების წინ, საქართველოში ჩატარებული სასამართლო რეფორმის უმთავრეს მიღწევად, ქართულ მართლმსაჯულებაში მხარეთა შორის შეჯიბრობითობის პრინციპის დანერგვა ითვლებოდა. თუმცა, ბოლო პერიოდში ადვოკატების, ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობოების თუ განსასჯელთა ახლობლების მხრიდან, სულ უფრო გახშირდა პრეტენზიები სასამართლო სხდომების დროს მოსამართლეების მხრიდან ბრალდების მხარისადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე.

ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ პრეტენზიები სასამართლოს შენობაში შეშვებაზე გამოთქვა და თბილისის საქალაქო სასამართლო საჯაროობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა.

როგორც შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, ბოლო დროს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში შესვლის უპირატესობით მხოლოდ პროკურორები სარგებლობენ, რაც უკანონობაა. ხაჭაპურიძის ინფორმაციით, რამდენიმე თვეა, რაც პროკურატურის წარმომადგენლები სასამართლო პროცესებზე წითელ ლენტებზე დამაგრებული ბარათებით ცხადდებიან, რომლებზეც მათივე ვინაობა და უწყების დასახელებაა მითითებული.

"როგორც წესი, პროკურორებს ბარათები პერანგის ჯიბეში აქვთ მოთავსებული და მათი თანამდებობის დასადასტურებლად წითელი ლენტიც კი საკმარისია. რამდენიმე დღის წინ ექსპერიმენტი ჩავატარე, წითელ ლენტზე გასაღები მივამაგრე, პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე და სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის შენობაში შესვლისთვის "საშვიც" ადვილად მოვიპოვე. როგორც წესი, ადვოკატებს სასამართლოში შესვლამდე მოსამართლის თანაშემწის, ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირის ნებართვა სჭირდება, რაც კანონის უხეში დარღვევაა," - განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მისივე თქმით, ერთი მხრივ, გაუგებარია რატომ ენიჭებათ პროკურორებს სასამართლოს შენობაში შესვლის უპირატებობა, ხოლო მეორე მხრივ, ამ ტენდენციით, ირღვევა როგორც შეჯიბრებითობის (მხარეთა თანასწორობის), ასევე საჯაროობის პრინციპი. მით უმეტეს, რომ კანონმდებლობით, სასამართლოში შეუზღუდავად შესვლისა და პროცესზე დასწრების უფლება აქვს როგორც ადვოკატს, ასევე პროკურორს და ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს. **24 საათი**

## ბათუმელი ნარკორეალიზატორები

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბათუმში დააკავეს, აჭარაში და რეგიონის ფარგლებს გარეთ მოქმედი ნარკოტიკების რეალიზატორთა ორგანიზებული დაჯგუფების ლიდერები 36 წლის იბრაჰიმ ჟორდანიძე, მეტსახელად "ჯამბული" და 30 წლის ეკატერინე ქორიძე. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ჟორდანიძის პირადი ჩხრეკის დროს ამოიღეს ორ პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი", ხოლო საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას - 12 ე.წ. "ბაშად" შეფუთული, 200 გრ ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი", ნარკოტიკების რეალიზაციით მოგებული თანხა 33 650 აშშ დოლარი, ნარკოტიკების ასაწონი სასწორი და ინსულინის შპრიცები. **პრაიმ-ნიუსი**


## ნატურალური გემოს ძალა!



**გულწრფელი სიხარულისა და მხიარულების დაუვიწყარი წამები — მძაფრი და ნათელი შეგრძნებებია, ისევე, როგორც ცხოვრება. სიხარულის, ხალისისა და გამარჯვებებისათვის შექმნილია მხნეობისა და მხიარულების უნიკალური სასმელი — "გორილკა" - "ნემიროვი უკრაინული არყის ხის განსაკუთრებული"**

"ნემიროვი უკრაინული არყის ხის განსაკუთრებული" კომპანია "ნემიროვის" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა არაყი, პირველად მშობლიურ ბაზარზე 2005 წლის მარტში გამოჩნდა, ხოლო არც თუ ისე დიდი ხნის წინ - საქართველოში. მასში საოცრად ჰარმონიულადაა შერწყმული უკრაინული "გორილკის" წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ექსკლუზიური საავტორო რეცეპტურა და უმაღლესი ხარისხის ნატურალური ინგრედიენტები.

ძალიან დიდი ხნის წინ რუსეთში იყო ასეთი გამოთქმა : - «На бруньках настой испити — веселие привороженити» რაც ნიშნავს - "დალიო ნაყენი დამზადებული არყის ხის კვირტებზე – ეს ნიშნავს მოგენიჭოს მხიარულება და სიხარული". სწორედ, არყის ხის კვირტები გამოიყენება "არყის ხის განსაკუთრებულის" რეცეპტში, რეცეპტში, რომელიც ათასწლეულებმა გამოსცადა. არყის ხის კვირტებზე დამზადებულ ნაყენში შემავალი ინგრედიენტები, რომლებიც შეიცავენ ბუნების მიერ ბოძებულ სასარგებლო თვისებებს, ცნობილია ჯერ კიდევ კიევის რუსეთის დროიდან. ყველას ვინც სინჯავდა ამ სასარგებლო ნაყენს ის ანიჭებდა სიმტკიცეს, ძალასა და მხიარულებას.



პირველად "ნემიროვი უკრაინული არყის ხის განსაკუთრებულის" პრეზენტაცია, კომპანიამ, მოსკოვში, საერთაშორისო გამოფენის "პროდექსპო-2005"–ის ფარგლებში მოაწყო. აღსანიშნავია, რომ ახალმა არაყმა მაშინვე მიიქცია ექსპერტების ყურადღება და მოიპოვა გამოფენის ოქროს მედალი.

თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან "არყის ხის განსაკუთრებულს" აქვს უნიკალური საავტორო რეცეპტურა და განსხვავდება ბაზარზე არსებული ყველა "არყის ხის" არყებისაგან იმით, რომ შეიცავს უფრო მეტ კომპონენტებს, რაც მის გემოსა და არომატს ანიჭებს მრავალფეროვან და თითქოს "მოცულობით" გემოს. შეიძლება, სწორედ, ამიტომაც კომპანია "ნემიროვის" ამ სიახლეს ბევრმა "პირველი გემრიელი არაყი" უწოდა. მასში არის ახალგაზრდა კვირტების მსუბუქი სიმწარეც და ხილის გემოს თითქმის შეუმჩნეველი შეგრძნება, რომელსაც დაკრავს ცაცხვის ოდნავ შესამჩნევი არომატი. "უკრაინული არყის ხის განსაკუთრებულში" გამოიყენება მხოლოდ "ლუქსის" კლასის უსუფთავესი სპირტი, რომელიც დამზადებულია არყის ხის კვირტებისა და რამდენიმე ხილის ნაყოფისაგან, ხოლო ყველა მცენარეული კომპონენტი, რომელიც შედის "გორილკის" შემადგენლობაში გროვდება ხელით და გადის გართულებულ ხარისხის კონტროლს.



კომპანია Nemiroff (ნემიროვი) თავის პროდუქციას მსოფლიოს 52 ქვეყანაში ყიდის, მათ შორისაა 21 ბაზარი, რომლებზეც "ნემიროვი უკრაინული არყის ხის განსაკუთრებული" აგრძელებს მომხმარებლის სიმპათიების მოპოვებას. "არყის ხის განსაკუთრებული" განსაკუთრებულად უყვართ რუსეთში, ლატვიასა და საფრანგეთში, ხოლო დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა მისგან ამზადებს უგემრიელეს კოქტეილებს ისეთი მხიარული სახელწოდებებით როგორებიცაა, მაგალითად - "არყის ხე ვაშლებით".

ნემიროვი ნემიროვი ნემიროვი ნემიროვი


# "აქსისის" კიდევ ერთი აქტუალური წამოწყება

### "აქსისის" ინიციატივით სოციალურად აქტიურ "ქალთა კლუბი" იწყებს ფუნქციონირებას

ნანა გიორგაძე

დეველოპერული კომპანია "აქსისი", რომელიც დღესდღეისობით უძრავი ქონების დეველოპმენტის სრულ ციკლს მოიცავს (გააჩნია სამშენებლო მასალების საკუთარი საწარმოები, პროფესიონალი არქიტექტორების მრავალრიცხოვანი გუნდი და მაღალკვალიფიციური ინჟინერ-მშენებლები) და თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობასაც ეწევა, კიდევ ერთ, მოსახლეობისათვის აქტუალურ იდეას ახორციელებს. მისი ინიციატივით ამჯერად "ქალთა კლუბი" შეიქმნა, რომლის მიზანი სოციალური აქტივობა, ქველმოქმედება, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარება გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ "ქალთა კლუბის" პრეზენტაცია მუსკომედიის თეატრის ბაღში სულ ორიოდე დღის წინ გაიმართა, კლუბში უკვე ოთხმოცამდე ქალია გაწევრიანებული. "ქალთა კლუბის" ხელმძღვანელობა კი მომღერალ ეკა მამალაძეს დაევალა.

"აქსისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აღნიშნავენ, რომ **"კომპანიის ახალი ინიციატივა შესაძლებლობას იძლევა დახმარება გაეწიოს ადამიანებს და ამ პროცესში საზოგადოების ფართო ფენები ჩაერთოს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ახალი ჩამოყალიბებულია, მას უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა და 80-ზე მეტი აქტიური წევრიც შეიძინა."**

აღსანიშნავია, რომ ყოველთვიურად კლუბის ხელმძღვანელი და კომპანია "აქსისი" სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის დახმარებას შეაგროვებენ. ასევე, ყოველი წლის ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული რამოდენიმე ნომინაციაში - ყველაზე აქტიური წევრი, ქველმოქმედი და სხვა. კლუბში გაწევრიანება კი შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ქალბატონს წინასწარი გასაუბრების საფუძველზე.

"ქალთა კლუბის" ხელმძღვანელი, მომღერალი ეკა მამალაძე კლუბის მიზნებს ასე აფასებს: **"მიზანი ნათელია და კეთილი, რადგან საუბარია სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე. ასე რომ, ბევრი კარგი და კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება."**

მომღერალი ლიზა ბაგრატიონი კი აღნიშნავს, რომ **"ქალების წარმოჩინება საერთოდ ძალიან მისასალმებელი იდეა გახლავთ და კომპანია "აქსისს" ამ შემთხვევაშიც სწორი გეზი აქვს აღებული - აქცენტი ქალების სოციალურ აქტივობაზე კეთდება."**

პრეზენტაციაზე მზრუნველობამოკლებული ბავშვების ნამუშევრების გამოფენაც იყო მოწყობილი. გაყიდული ნივთების თანხა კი თვითონ ბავშვებს გადაეცათ. სხვადასხვა პრიზები გათამაშების გარდა, საღამოზე, კომპანია "აქსისის" თემატიკაზე კულინარიული კონკურსიც გაიმართა, რომლის შემფასებელი ჟიურის წევრები ცნობილი სახეები იყვნენ. გამარჯვებული მთავარი პრიზით, 3 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სამზარეულოთი დაჯილდოვდა და მისი მფლობელი საკმოდ ორიგინალური კერძის ავტორი აღმოჩნდა - "როგორც თევზი გრძნობს თავს თავისუფლად წყალში, ისე გრძნობს აქსისი თავს სხვა სამშენებლო კომპანიებს შორის."

# ვაჟაობის დღესასწაული ფშავში

პირველი გვერდიდან

სახელდახელოდ გამართულ სცენაზე კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც საიდანღაც ვაჟას პოემების გმირების აჩრდილების მსგავსად, ცხენზე ამხედრებული, მთვრალი ფშაველები გამოჩნდნენ. შორიახლოს გაჩერებული, ვაჟა-ფშაველას თანასოფლელები, ნაღვლიანი თვალებით უმზერდნენ ქალაქიდან ჩასულების მცდელობას - გაჯიბრებოდნენ მგოსნის სიყვარულში. სინანულით აქნევდნენ თავებს - ვაჟაობა, ჯერ კიდევ გუშინ, მათი უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა.

"უკაფიაო ფშაური დღესასწაული სადაური წესია, ბალღებო?!" - კვირობდა სოფლის უხუცესი.

შეყვითლებული ტყე იმის მაუწყებელია, რომ მალე დაუზამთრდებათ ფშაველებს და გაზაფხულამდე მოსწყდება გარესამყაროს სოფელი. აქა-იქ ტყეში გაბნეული სიპი ქვით ნაშენ სახლებში გამომწყვდეული მოხუცები, მალე მეზობელთან გადასვლასაც ვეღარ შეიძლებენ. ღვთის ანაბარა მიტოვებულები დაელოდებიან გაზაფხულის მოსვლას.



ისე, როგორც სოფელში, თითქმის არაფერი შეცვლილა რაზიკაშვილების არემარეშიც. კედელზე მჭვარტლიანი ჩონგური ჰკიდია. ჩაშავებულ ბუხარში თითქოს ახლახან მინავლებულა ცეცხლის ალი, რომელიც გომურში საქონლის დასახედად გასულმა პატრონმა უყურადღებოდ მიატოვა...

ვაჟას ნაკვალევზე სიარული არა მარტო მისი ლექსების, მოთხრობებისა და პოემების კარგად ცოდნაში გამოვლინდება, რაც წლევანდელ ვაჟაობასაც გასდევდა ლაიტმოტივად, არამედ მისი ნააზრევის, ცხოვრების წესის გააზრებაში.

"ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალღონით, თავის თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო, იმდენად გამოადგება კაცობრიობას", - ათწლეულების გადაღმიდან ისევ გვიმეორებს, ერთი უბრალო ფშაველი გლეხი.

წლევანდელი "ვაჟაობა 145" გუშინ გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიდაც თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრი, ანსამბლი "მართვე" და საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები იღებდნენ მონაწილეობდნენ. ბოლო აკორდი კი ტრადიციული დოღი იყო, რომელმაც "ვაჟას მხედარი" გამოავლინა.





## მოკლედ

### ლიანა ისაკაძე

3 ოქტომბერს პარიზში ლიანა ისაკაძე კლასიკური მუსიკის კონცერტს გამართავს. მასთან ერთად ფრანგული პუბლიკის წინაშე პარტია "სამართლიანობის" ლიდერის, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას შვილები, დემეტრე და ზვიად გამსახურდიებიც წარდგებიან. კონცერტში მონაწილეობას პიანისტები, თამარ ლიჩელი და ხატია ბუნიათიშვილი მიიღებენ. ქართველი მუსიკოსები მოცარტის, ლისტის, სტრავინსკის, სენ სენის, ასევე თანამემამულე კომპოზიტორების ნაწარმოებებს შეასრულებენ. კონცერტის შემდეგ, რომელიც "რეფორმე დე ბატინიოლის" ეკლესიაში ჩატარდება, იუველირ ია ხიზანიშვილის მომინანქრებული სამკაულების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. ქართული ემიგრაციის საფრანგეთში გადასახლების 85 წლისთავთან დაკავშირებით ქართული ღვინის "შატო დე ლევილის" პრეზენტაციაც იგეგმება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან ლიანა ისაკაძის და აკაკი რამიშვილის ფონდები "ხელოვნების განვითარების ფონდი" და "ტრადიცია და ინოვაცია", ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროები, საფრანგეთში საქართველოს საელჩო და ქართული სათვისტომო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ვახტანგ კიკაბიძე წიგნს წერს

რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი და მსახიობი ვახტანგ კიკაბიძე თავის ავტობიოგრაფიულ წიგნზე მუშაობას წლის ბოლომდე გეგმავს.

წიგნისთვის ავტორს საბოლოო სათაური ჯერ არ შეურჩევია. "თავიდან მინდოდა ჩემი ოპუსისთვის სათაურად "მე - კავკასიური წარმოშობის სახე" მეწოდებინა, მაგრამ გადავიფიქრე. ახლა წიგნს "ისინი და მე" ეწოდება, თუმცა, სავარაუდოდ, არც ეს სათაურია საბოლოო", - განაცხადა კიკაბიძემ. მისივე თქმით, წერის პროცესის წინ აქტიურად ვერ მიიწევს და მისი დასრულების საბოლოო თარიღის დასახელება რთულია. "მეხსიერებაში უამრავი ადამინის სახე იკვეთება, რომელთა შესახებ მოგონებებსაც ძალიან შორის მივყავარ და წიგნის ძირითადი კურსიდან გადავყავარ. წერაში განუწყვეტელი მგზავრობაც ხელს მიშლის. თუმცა წიგნის ნახევარი უკვე დასრულებულია. საბოლოოდ ჩემს ოპუსს, ალბათ, წლის ბოლოსთვის დავასრულებ", - აცხადებს მომღერალი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "მაგდანას ლურჯას" ახალი ასლი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კინომემკვიდრეობის დაცვის განყოფილება თურქეთში რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ერთობლივი ფილმის "მაგდანას ლურჯას" ახალ ასლს ბეჭდავს. როგორც კინომემკვიდრეობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ აღნიშნა, ფილმის ასლის დამზადება, პირველ ყოვლისა, საიუბილეო თარიღებს უკავშირდება. წელს კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს 80 წელი, "მაგდანას ლურჯას" კი ეკრანებზე გამოსვლის 50 წლისთავი უსრულდება. "საქართველოში არ გაგვაჩნდა კინოფირი, რომლის საშუალებითაც ფილმს კინოთეატრებში ვუჩვენებდით. "მაგდანას ლურჯას" ფირის დედანი არ გვაქვს, თურქული კომპანია ასლს კინოსტუდიაში დაცული ნეგატივის საფუძველზე დაამზადებს", - განაცხადა ბაქრაძემ. "მაგდანას ლურჯას" ახალი ასლი სტამბულში კომპანია "სინეფექტში" მზადდება. მაყურებელს მისი ნახვის საშუალება თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მსვლელობისას მიეცემა. **ჯი-ეიჩ-ენი**


GEOCELL ჯეოსელი

**სიახლე ჯეოსელის აბონენტებისთვის**

2006 წლის 22 სექტემბრიდან იცვლება ჯეოსელის საკრედიტო და საავანსო სისტემის აბონენტების მიერ განხორციელებული ლოკალური ზარების დამრგვალების წესი 5 წამიანიდან 1 წამიან დამრგვალებაზე.

1 წამიანი დამრგვალება არ გავრცელდება სპეც-ნომრებზე დარეკვისას.



**სსიპ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურს მთარგმნელის (ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული) თანამდებობის დასაკავებლად.**

მისამართი: ქ. თბილისი, პ. იაშვილის 22

ტელეფონი 99 53 75; 99 89 41; 93 24 54;



■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge



HEINRICH BÖLL STIFTUNG

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში**

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების სფეროში, აგრეთვე - ეკოლოგიაში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

■ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1973-1984 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის ხარისხობრივ მეთოდებს.

**ფონდი აფინანსებს კვლევას შემდეგ მიმართულებათა ფარგლებში:**

1. ყოველდღიური ყოფის ისტორია;
2. სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში/ რელიგიის როლი დღეს;
3. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ.* ან 1953 წ. შემდეგ);
4. ახალი შეხედულებები ძველ კონფლიქტებზე;
5. ეთნიკურობა;
6. მიგრაციული პრობლემები;
7. ლტოლვილები ქალაქში: გადარჩენის სტრატეგიები, თემის ჩამოყალიბება;
8. „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში;
9. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
10. ტრადიცია და დასავლური ღირებულებები;
11. ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები;
12. გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
13. ქალის პოლიტიკური სტატუსი და პოლიტიკური ლიდერობა;
14. ქალაქური კულტურა;
15. კომუნიკაცია ქალაქში;
16. ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები);
17. ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები;
18. ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
19. ქალაქების განვითარების პრობლემები;
20. არქიტექტურა და ხელისუფლება;

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2007-31.12.2007. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

■ კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **20 ოქტომბერი, 12:00** სთ.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სამეცნიერო დისციპლინა; საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური.
2. განაცხადის ანკეტა (ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან www.boell.ge).
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV).
4. ესსე (3-5 გვერდის მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას: *1. რატომ მაინტერესებს ეს თემა; 2. რა ვიცი თემის შესახებ; 3. რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას; 4. წლიური სამუშაო გეგმა.*
5. 2 რეკომენდაცია რომელიმე მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი აპლიკანტთან მიმართებაში).
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებითურთ.
7. სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე (თუკი არსებობს).

**ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები (სამეცნიერო ნაშრომთა ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე და 3 ეგზემპლარად. განაცხადის არასრული ან დაგვიანებით შემოსული კომპლექტი არ განიხილება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ სენაკის გამგეობა (ქ. სენაკი რუსთაველის N243), აცხადებს ტენდერს სენაკში გიორგი ჭყონდიდელის ქუჩის, სრულიად ამორტიზირებული ასვალტო-ბეტონის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სავარაუდოდ 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ოქტომბრის ბოლომდე.

შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია ობიექტის შესახებ მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელსაც დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი მიიღებს, ქალაქ სენაკის გამგეობასთან არსებულ სატენდერო კომისიაში.

3. დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ ქალაქ სენაკის გამგეობის ანგარიშზე: სახალხო ბანკის სენაკის ფილიალში, ბანკის კოდი 220101450, ანგარიშის N33030029 საიდენტიფიკაციო N239862957 მიუთითონ გადახდის მიზანი და თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოუდგინონ ქ. სენაკის გამგეობის სატენდერო კომისიას, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

4. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი

5. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ოქტომბრის 900 საათიდან 1800 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. ცნობები:**

***6.1-1. იურიდიული პირისათვის:***

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.

გ) ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

დ) ცნობა შ.ს. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ვ) პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ანგარიშის ნომერი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.

***6.1.2. ფიზიკური პირისათვის:***

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა

გ) ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

დ) ცნობა შ.ს. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ვ) პრეტენდენტის რეკვიზიტები: პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, ანგარიშის ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

***6.1.3. როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირისათვის.***

ა) ცნობა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. ტენდერში მონაწილეს გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ავტოგრეიდერი - საშუალო | 1 | |
| 2 | ასვალტდამგები | | |
| 3 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწყობით 10ტ. | 2 | |
| 4 | ასვალტსატკეპნი-გლუვვალციანი11:18ტ. | 1 | |
| 5 | კომპრესორი წარმადობით 9-10 მ3/წმ | 1 | |
| 6 | პნევმატური ჩაქუჩი | | |
| 7 | ნიშანსადები მექანიზმი | 1 | |

| N | მანქანა-მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| ა.შ. | | | | | |

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

ბ) ცნობა ტენდერში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

**შენიშვნა:** აღნიშნული ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | თანამდებობა სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| დ.ა.შ. | | | | | |

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის ჩამოთვლით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება ლარებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | | | | სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა თუ კონფედენციალური არ არის |
| 2 | | | | |
| | დ.ა.შ. | | | |

**6.2. ინფორმაციები.** (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით)

ა) ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნეს წესდება და სასამართლოს დადგენილება.

7. იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები, სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნას ინდივიდუალურად.

8. იურიდიული ან ფიზიკური პირი ხელმძღვანელი, მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური ან იურიდიული პირის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

10. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ქ. სენაკის გამგეობის სკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5%-ის ოდენობით.

12. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციები შეუძლიათ მიიღონ ქალაქ სენაკის გამგეობის სატენდერო კომისიაში.

საკონტაქტო ტელეფონები: 7-55-22; 899-53-93-89 (გია წულეისკირი)

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი N220101502 ანგარიშის N145530800, საიდენტიფიკაციო კოდი 202195070) აცხადებს ტენდერს ქალაქ თბილისში კაპიტალურად შეკეთებული ქუჩებისა და მაგისტრალების ჰორიზონტალური და ვერტიკალური საგზაო მონიშვნების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია 8330 მ2 საგზაო მონიშვნის სამუშაოები.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 ნოემბრამდე.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილი იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 16 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 16 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

- იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ინფორმაციას არაუმეტეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სამუშაოების მითითებით).
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ - ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006წლის 25 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი გ.ცაბაძის ქ.N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დემურ კვირიკაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 34 70 98, თამარ კასრაძე - საკონტაქტო ტელეფონი 34 75 90.

*სატენდერო კომისია*

# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს ტენდერს **ბარგისა და ხელბარგის რენტგენული X-Ray კონტროლის დანადგარების კომპლექტების** შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ბარგის რენტგენული X-Ray კონტროლის დანადგარი - 1 ცალი:

მინიმალური ტექნიკური პარამეტრები:

- გვირაბის ზომები: 100სმ x 100სმ
- კონვეერის სიჩქარე: 0.2მ/წმ
- შესამოწმებელი ბარგის წონა: ( 160კგ
- შეღწევადობა: 27მმ
- გენერატორის ანოდის პარამეტრები: 140kV; 700 A
- კომპიუტერის სპეციფიკაცია: Intel Pentium Processor; 64MB RAM min; 16MB min; 40MB min; 17"XVGA color

ხელბარგის რენტგენული X-Ray კონტროლის დანადგარი - 4 ცალი:

მინიმალური ტექნიკური პარამეტრები:

- გვირაბის ზომები: 75სმ x 55სმ
- კონვეერის სიჩქარე: 0.2მ/წმ
- შესამოწმებელი ბარგის წონა: ( 160კგ
- შეღწევადობა: 27მმ
- გენერატორის ანოდის პარამეტრები: 140kV; 700 A
- კომპიუტერის სპეციფიკაცია: Intel Pentium Processor; 64MB RAM min; 16MB min; 40MB min; 17"XVGA color

დანადგარები დაკომპლექტებული უნდა იყოს ბარგის მიწოდების კომპლექტით (2ც. x 1მ)

სტაციონარული მეტალოდეტექტორი - 5 ცალი:

მინიმალური ტექნიკური პარამეტრები:

- მულტი-ზონური ტექნოლოგია
- მაღალი მგრძნობიარობა
- დაცვა გარეშე ელ.მაგნიტური ველის ცვალებადობაზე

ხელის/სატარებელი მეტალოდეტექტორი - 10 ცალი:

მინიმალური ტექნიკური პარამეტრები:

- ყველა ტიპის მეტალის დეტექცია
- მგრძნობიარობის შეცვლის საშუალება

მიწოდების პირობა: CIP აეროპორტი თბილისი ან DDP აეროპორტი თბილისი.

მიწოდების სასურველი ვადა არის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

ბარგისა და ხელბარგის რენტგენული X-Ray კონტროლის დანადგარების კომპლექტების შესყიდვა იწარმოებს მონტაჟით, ინსტალირებით და უნდა მოიცავდეს პერსონალის სწავლებას.

დანადგარების საგარანტიო ვადა: მინიმუმ 2 წელი. საგარანტიო ვადა დადასტურებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ და შესაძლებელი იყოს მისი გადამოწმება.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი, სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი".

3. სატენდერო მოსაკრებელის ანაზღაურების შემდგომ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს აეროპორტის სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, ტელ.: 433132.

4. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაციას ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შესახებ.
- დეტალურ ინფორმაციას ანალოგიური ან მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილების შესახებ ბოლო ...2 წლის განმავლობაში, შემსყიდველი საწარმოს დასახელების, თარიღისა და სპეცაპარატურის დასახელების მითითებით. ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს შემსყიდველი საწარმოს მიერ და ინფორმაციის სისწორის გადამოწმების უზრუნველსაყოფად, მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ტელეფონები და მისამართები.
- მწარმოებლის მიერ დადასტურებული საგარანტიო ვადა და პირობები და მათი გადამოწმების შესაძლებლობა (მწარმოებლის ტელ.ნომერი, მისამართი). საგარანტიო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში მომსახურების ვადები (ოპერატიულობა). არასაგარანტიო მომსახურების ვადები (ოპერატიულობა) და პირობები. საგარანტიო მომსახურებისას სათადარიგო ნაწილების მოწოდება პირობით DDP აეროპორტი თბილისი.
- საქონელის ღირებულების ანაზღაურების პირობები.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ან ინგლისურ ენაზე და ერთიანი დალუქული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 16 ოქტომბრის 11.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433132.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 16 ოქტომბრის 11.00 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

12. ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტაცია "ტიპიური სატენდერო დოკუმენტაცია - საქონლის შესყიდვა ტენდერის საშუალებით".

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ტელ.: 433132; ფაქსი: 433103.

*სატენდერო კომისია*

# "ქისტის თასი"



უტევენ "ჯიქები".



ტურნირის გამარჯვებული "ყოჩები".

შაბათს კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ვარკეთილში, სარაგბო კლუბ "ლელოს" სტადიონზე "ქისტის თასის" გათამაშება გაიმართა 14 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის. ტურნირი ტრაგიკულად გარდაცვლილი ახალგაზრდა მორაგბის ბექა ხუციშვილის ("ქისტი") ხსოვნას მიეძღვნა.

ასპარეზობაში 6 კლუბი ჩაერთო - "ყოჩები", "ლელო", "ივერია", "აკადემია", "ხარები" და "ჯიქები". გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. გამარჯვებულებმა ტურნირის მთავარი პრიზი გაითამაშეს, მეორეებმა საპრიზო ადგილისთვის იბრძოლეს, ხოლო ჯგუფის აუტსაიდერები ერთმანეთს ხუთეულში მოხვედრისთვის შეეჯიბრნენ.

"ამჟამად მხოლოდ 6 კლუბის შეკრება მოხერხდა. სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ რეგიონული გუნდების მოწვევა. რაც შეეხება თბილისის "არმაზს", მას გუშინ ქუთაისში ჩემპიონატის გასვლითი შეხვედრა ჰქონდა გასამართი და კლუბთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ, ამიტომ შეჯიბრებაში "არმაზის" გარდა ყველა თბილისური კლუბი მოვიწვიეთ," - განაცხადა ტურნირის მთავარმა მსაჯმა მალხაზ კოროშინაძემ.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს განზრახული აქვთ ტურნირი ტრადიციული გახდეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართოს. აღნიშნული შეჯიბრება კი პირველი მცდელობა იყო კარგი ტრადიციის დამკვიდრებისა.

"ქისტის თასის" გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი თვითონ კლუბებმა გამოთქვეს. ასე დაიბადა ამ შეჯიბრების გამართვის იდეა. რაგბის კავშირმა და რაგბის ფონდმა წამოწყებას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს. "ლელოს" კლუბის დირექტორმა ბატონმა ბათუ კევლიშვილმა სტადიონი დაგვითმო, ტურნირის მთავარი პრიზი, თასიც დავამზადებინეთ და ასე მოვედით აქამდე - ამბობს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ხუციშვილი - სამწუხაროდ რეგიონებიდან კლუბების მოწვევა არ მოხერხდა, რადგან ეს პროცესი ფინანსებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, მომავალში შევეცდებით "ქისტის თასის" გათამაშება მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართოს. შეჯიბრებაში 14 წლის ასაკის მოზარდები მონაწილეობენ და მუდმივად ასე იქნება. 2008 წლისთვის კი შევეცდებით ტურნირმა საერთაშორისო ხასიათი მიიღოს და ორდღიანი გახდეს. ეს კი, ბუნებრივია, რომ კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საქართველოში რაგბის განვითარებას".

იმის მიუხედავად, რომ შეჯიბრება "ლელოს" სტადიონზე გაიმართა მასპინძლად კლუბი "ჯიქები" მიიჩნეოდა, რადგან ბექა ხუციშვილი თავის დროზე სწორედ "ჯიქების" ღირსებას იცავდა. ბუნებრივია, რომ "ჯიქებს" ყველაზე უფრო სურდათ მთავარი ჯილდოს მოგება და შემართებითაც ითამაშეს. ისინი ფინალში გავიდნენ, მაგრამ აქ "ყოჩების" სახით გადაულახავ ზღუდეს წააწყდნენ. "ყოჩები" 14 წლამდე მორაგბეთა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძვიან და ბუნებრივია, რომ "ქისტის" თასისთვის ბრძოლაშიც ფავორიტებად მიიჩნეოდნენ.

"ყოჩებმა" ფავორიტის სტატუსი ფინალურ შეხვედრაშიც დაადასტურეს და თანატოლებს - 31:6 მოუგეს. ირაკლი ხუციშვილმაც ტურნირის მთავარი პრიზი, გარდამავალი თასი, სწორედ მათ გადასცა. მეორე ადგილზე გასულ "ჯიქებს" საპატიო დაფა და ბურთები ერგოთ. ბურთები გადაეცათ მესამე ადგილის მფლობელ "ლელოს" ახალგაზრდა მორაგბეებსაც.

"სამწუხაროდ ორი წამყვანი მორაგბის გარეშე მოგვიხდა თამაში. ერთმაც დღეს მიიღო ტრავმა. ასე რომ, ფინალისთვის რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ამის მიუხედავად ბიჭებმა ყველაფერი იღონეს დადებითი შედეგის მისაღწევად და მათი ბრძოლისუნარიანობა მისასალმებელია - განაცხადა კლუბ "ჯიქების" მთავარმა მწვრთნელმა დავით გოცაძემ - საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ეს გუნდი პრაქტიკულად ახალი შექმნილია. არც სათადარიგოთა სკამი გვაქვს გრძელი და ესეც დიდ პრობლემებს გვიქმნის. რაგბის კავშირმა შარშან ასაკობრივი ჯგუფი შეცვალა და აწყობილი გუნდი დაგვეშალა. ამჟამად ჩვენს კლუბში სამი ასაკობრივი ჯგუფი ვარჯიშობს".

**- ამჟამად გუნდში ბევრი ბოლნისელი თამაშობს.**

- ამას თავისი ისტორია აქვს. რამდენიმე წლის წინათ ბოლნისში ჩამოვაყალიბეთ ძალიან კარგი გუნდი. ჩვენი ფინანსური პარტნიორი კვარციტი იყო, მაგრამ მიზეზთა გამო კვარციტთან ურთიერთობა შეწყდა და ეს გუნდიც ბედის ანაბარა დარჩა. ჩვენც ბოლნისელები "ჯიქების" შემადგენლობაში მოვიწვიეთ და ამჟამად ძირითად გუნდში რეგულარულად 5-6 მორაგბე ირიცხება. ეს მორაგბეები ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ გუნდის შეთამაშება ვერ ხერხდება, რადგან ისინი თბილისში საკუთარი ხარჯებით დადიან და ვარჯიშებზე მოსვლას პრაქტიკულად ვერ ახერხებენ. გუნდს კი, მოგეხსენებათ, შეკრება-შეთამაშება სჭირდება. მაგალითად ფიზიკური მომზადებისთვის ზამთარში მინიმუმ ორი 12-დღიანი შეკრება მაინც აუცილებელია.

**- წელს გაიარეთ შეკრება?**

- ჩვენი პარტნიორების, სხვათაშორის თქვენი გაზეთის და მეგობრების ძალისხმევით ერთი საზაფხულო შეკრება მალთაყვაში მოვახერხეთ. ახლაც ვცდილობთ მოვძებნოთ სახსრები ზამთრის შეკრებებისთვის. ორივე შეკრება დაახლოებით 5-6 ათასი ლარი დაჯდება. გუნდის განვითარებისთვის უნდა მოვახერხოთ ამ შეკრებების განხორციელება.

**- თქვენ ტურნირს "ლელოს" სტადიონზე მასპინძლობთ.**

- ჩვენი სტადიონი, რომელიც ნუცუბიძის პლატოზე მდებარეობს, ძალიან პატარაა და სტანდარტებს არ შეესაბამება. 50-50-ზეა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთი ტურნირის ჩატარებისთვის უვარგისია. სანამ ბიჭები პატარები იყვნენ, სავარჯიშოდ ეს ტერიტორია ჰყოფნიდათ. ახლა კი აღარ არის საკმარისი. ჩვენი მეგობრები, რაგბის კავშირი დახმარებას შეგვპირდა. ვნახოთ რა იქნება. ჩვენ არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ეს სტადიონი კლუბ "ჯიქების" საკუთრება იყოს. თუ გააკეთებენ, თანახმა ვართ, რომ სტადიონი რაგბის კავშირს ეკუთვნოდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ "ჯიქებს" აქ ვარჯიშის უფლება ექნება.

**A ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 2 | 2 | 0 | 0 | 17:3 | 6 |
| ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 17:5 | 4 |
| ივერია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:26 | 2 |

| | |
|---|---|
| ყოჩები - ივერია | 12:0 |
| ყოჩები - ლელო | 5:0 |
| ლელო - ივერია | 14:0 |

**B ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქები | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 5 |
| აკადემია | 2 | 0 | 2 | 0 | 13:13 | 4 |
| ხარები | 2 | 0 | 1 | 1 | 10:15 | 3 |

| | |
|---|---|
| აკადემია - ხარები | 10:10 |
| ჯიქები - ხარები | 5:0 |
| ჯიქები - აკადემია | 3:3 |

**მე-5 ადგილი**
ივერია - ხარები 17:10

**მე-3 ადგილი**
ლელო - აკადემია 17:0

**ფინალი**
ყოჩები - ჯიქები 31:6

## განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

**ბიოქიმიის განყოფილება:**
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

**თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილება:**
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

ნეიროანატომიის განყოფილება:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

ნეიროფიზიოლოგიის განყოფილება:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 5
მეცნიერ თანამშრომელი - 5

ქცევისა და კოგნიტიური ფუნქციების განყოფილება:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 5
მეცნიერ თანამშრომელი - 5

მემბრანოლოგიის ლაბორატორია:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2
მეცნიერ თანამშრომელი - 3

**ძილისა და ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია:**
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

საბუთების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 0160 თბილისი, გოთუას ქ. 14. ტელ.: 37-12-31, 37-11-65. ელ-ფოსტა: nachkebia@biphysiol.ge; www.biphysiol.ge. საკონტაქტო პირი ნარგიზ ნაჭყებია.

## გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს შენობის ფასადის შეღებვაზე

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო/სარემონტო კომპანიებს. სატენდერო პაკეტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის 06 ოქტომბერი, 18:00 საათი. შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: **www.undp.org.ge**

**თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სამაგისტრო პროგრამებზე ეკონომიკისა და სამართლის მიმართულებით.**

მისამართი: ბროსეს ქუჩა №8.
ტელ.: 99 96 88, 899 51 80 84.
აღნიშნულ პროგრამებს მსურველები შეიძლება გაეცნონ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.sent.edu.ge

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
მთავარი მეცნიერ მუშაკი - 1 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 4 საშტატო ერთეული.

2. პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
მთავარი მეცნიერ მუშაკი - 2 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 2 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 3 საშტატო ერთეული.

3. სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული.

4. სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 3 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 4 საშტატო ერთეული.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი.

6. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

7. საბუთების მიღება იწარმოებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, პაოლო იაშვილის 22.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენა იწარმოებს 11 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე.

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. №22, საკონკურსო კომისია.

ტელეფონები: 99-89-41; 93-24-54.
e-mail: irimedi@yahoo.com

10. პირობებისა და საჭირო დოკუმენტაციის შესახებ დაწვრილებით შეიძლება შეიტყოთ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მისამართზე: პაოლო იაშვილის ქ. №22. ტელ.: 99-89-41.

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს ინსტიტუტსა და მის საცდელ სადგურებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად.

1. მინდვრის კულტურების აგროტექნოლოგიების განყოფილება
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 4 ადგილი;
გ) მეცნიერ თანამშრომელი - 2 ადგილი.

2. სელექციის, გენეტიკური რესურსებისა და მეთესლეობის განყოფილება
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 4 ადგილი;
გ) მეცნიერ თანამშრომელი - 3 ადგილი.

3. საერთო მომსახურების ლაბორატორია
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 ადგილი;
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

4. სართიჭალის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 ადგილი.

5. გარდაბნის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

6. აჯამეთის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი;
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

7. მცხეთის სასელექციო სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 ადგილი;
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

8. გორის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1,5 ადგილი.

9. სენაკის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

10. წყალტუბოს საცდელი სადგური
ა) მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

11. კახეთის საცდელი სადგური
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 ადგილი;
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 1 ადგილი.

მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.

საკონკურსო კომაისიის მიერ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსანტების შერჩევა ხდება გასაუბრების საფუძველზე.

სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს:
ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში);
ბ) პატენტები;
გ) მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში.

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს სამი წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს 2006 წლის 7 სექტემბრიდან.

მისამართი: მცხეთა, წეროვანი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 7 ოქტომბერი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 12 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ქ. მცხეთა, წეროვანი. იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი.
www.htt://tavtavi.gol.ge
e-mail: A Mumladze@gol.ge
ტელ.: 265256.
პასუხისმგებელი პირი ნ. სულამანიძე.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

# ხმა მიეცით ქალებს!

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

**www.genderandpolitics.ge**

## მოკლედ

### დელ პიეროს მეორასე

გასულ უიქ-ენდზე სერია ბ-ს მეოთხე ტურში ტურინის "იუვენტუსმა" მოდენას 4:0 სძლია. შეხვედრის მეორე გოლი ტურინელთა კაპიტანმა ალექსანდრე დელ პიერომ შეაგდო, რაც 30 წლის თავდამსხმელისთვის კარიერაში საიუბილეო - მეორასე გამოდგა. აღსანიშნავია, რომ დელ პიერომ კარიერაში პირველი გოლიც სერია ბ-ში, "პადოვას" შემადგენლობაში თამაშისას გაიტანა. დანარჩენი 199 კი იტალიელმა თავდამსხმელმა "იუვეს" მაისურით მიითვალა საკუთარ ანგარიშზე.

### შევას დაპირებები

ლონდონის "ჩელსის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო გუნდის ქომაგებს საჯაროდ დაჰპირდა, რომ უახლოეს ხანებში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის დემონსტრირებას მოახდენს. "თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ახლა მზად ვარ მოწინააღმდეგეთა კარის დასალაშქრად. "სტემფორდ ბრიჯზე" ადაპტაციის პერიოდმა ჩაიარა და ახლა გუნდს ახალი ისტორიის შექმნაში დავეხმარები", - განაცხადა უკრაინელმა თავდამსხმელმა.

"ბედნიერი ვარ, რომ მოურინიოს კლუბის ღირსებას ვიცავ. მთავარია ჩემი ოჯახიც ბედნიერია ლონდონში ცხოვრებით. მერწმუნეთ, რომ ეს სეზონი "არისტოკრატებისთვის" დაუვიწყარი იქნება", - დაამატა შევჩენკომ.

### მალდინი "ლილისთან" ვერ ითამაშებს

უეფა-ს ოფიციალური საიტის ცნობით, იტალიის ჩემპიონატში "ლივორნოსთან" გამართულ შეხვედრაში "მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ბარძაყის ტრავმა მიიღო. ექიმთა განცხადებით, იტალიელი მცველი "როსონერის" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ფრანგულ "ლილისთან" შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

### ფერგიმ ჰაინცე და ვიდიჩი შეაქო

პრემიერლიგაში "რედინგთან" გამართული შეხვედრის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა განსაკუთრებით გაბრიელ ჰაინცესა და ნემანია ვიდიჩის თამაში შეაქო. ორივე მათგანი ტრავმის გამო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა მოედანზე ზემოხსენებულ მატჩში.

"ვიდიჩმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუდარებელი ცენტრალური მცველია. ჰაინცეს კი ერთი საათის განმავლობაში ბადალი არ ჰყავდა, თუმცა შემდეგ დაღლა დაეტყო - რაც არ უნდა იყოს, მას უფრო მეტი სამუშაო ჰქონდა, ვიდრე დაცვას", - განაცხადა შოტლანდიელმა სპეციალისტმა, რომლის გუნდმაც "რედინგთან" სტუმრად შეხვედრა ფრედ - 1:1 დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ "მანჩესტერმა" ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ ქულის აღება შეძლო, სერ ალექსი სეზონის სტარტით მაინც კმაყოფილია:

"მართალია, ყოველი დაკარგული ქულა პრობლემაა, მაგრამ მთავარია ტურნირის ცხრილის სათავიდან არ დაეშვა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც საკმაოდ კარგად დავიწყეთ სეზონი".

### ელერდაისის შვილმა დანაშაული მოინანია

"ბოლტონის" მთავარი მწვრთნელის, სემ ელერდაისის ვაჟმა კრეიგ ელერდაისმა, რომელსაც ქრთამის აღებაში ედება ბრალი, ჟურნალისტებთან საუბრისას საკუთარი საქციელი მოინანია. "ეს ყველაზე კოშმარული კვირაა ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრებაში. მამა დავაღალატე, როცა იგი ქრთამის აღებაში დავადანაშაულე", - განაცხადა კრეიგ ელერდაისმა.

### კლუივერტი 18 წუთში დაშავდა

ჰოლანდიური "პსვ ეინდჰოვენის" სადებიუტო მატჩში პატრიკ კლუივერტმა მოედანზე მხოლოდ 18 წუთი დაჰყო. 30 წლის ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც მწვრთნელმა მოედნიდან გაიყვანა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია კლუივერტის ტრავმა.

### ანჩელოტიმ ჟურნალისტები გააკრიტიკა

"მილანის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია მასმედიის წარმომადგენლები, რომლებიც მუდმივად ადევნებენ თვალს ანჩელოტისა და მისი შეგირდების ურთიერთობას. "ლივორნოსთან" შეხვედრის შემდეგ ანჩელოტის კლარენს ზეედორფთან კონფლიქტი მიაწერეს. გასულ კვირას კი "როსონერის" თავკაცს კაკასთან წაჩხუბება დასდეს ბრალად. "ეს ყველაფერი უკვე საპნის ოპერას ემსგავსება. ის, რაც ჩემსა და ზეედორფს შორის მოხდა, მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება. ყველაზე უფრო ის მაღიზიანებს, როცა კამერა მუდამ ცხვირწინ მიტრიალებს და ხეირიანად არ მაცლის ფეხბურთელებთან ლაპარაკს", -განაცხადა ანჩელოტიმ. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში გამართული "ლივორნო" - "მილანის" შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

### ვენგერი "ბოლტონის" თავკაცის მხარეზეა

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა საჯაროდ დააფიქსირა თავისი მოსაზრება, რომ "ბოლტონის" თავკაცი სემ ელერდაისი არც მკაცრად უნდა დაისაჯოს და არც მით უმეტეს, სამწვრთნელო საქმიანობას უნდა ჩამოაშორონ.

"ეს შუასაუკუნეების ხანას მაგონებს, როცა დამნაშავეებს მხოლოდ იმიტომ წვავდნენ კოცონზე, რომ ხალხი ყოფილიყო კმაყოფილი. ასეთი სისასტიკის წინააღმდეგი ვარ. თანაც ელერდაისის შემთხვევაში დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ "ბოლტონის" მთავარ მწვრთნელ სემ ელერდაისს ტელეკომპანია ბი-ბი-სი-ზე გასული დოკუმენტური ფილმის შემდეგ ქრთამის აღებაში ედება ბრალი.

### სისინიო დაშავდა

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა მცველმა სისინიომ პრიმერადივიზიონში "ბეტისთან" გამართულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო. სავარაუდოდ სისინიოს ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი, რის გამოც შესაძლოა სეზონის ნახევარზე მეტი გაუცდეს.

### ან ჩჟუნ ხვანი ნაკრებიდან მოკვეთეს

სამხრეთ კორეის მთავარი მწვრთნელის პიმ ვერბეკის განცხადებით, ის მანამ არ გამოიძახებს ნაკრებში ან ჩჟუნ ხვანს, სანამ ეს უკანასკნელი ახალ კლუბს არ მოძებნის. 30 წლის თავდამსხმელი გერმანული "დუისბურგიდან" წამოსვლის შემდეგ ჯერაც უკლუბოდაა დარჩენილი.

"ვიცი, რომ ანი ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. თუმცა უკლუბოდ დარჩენილი ის სათამაშო რიტმიდან ამოვარდება", - მიიჩნევს ჰოლანდიელი სპეციალისტი.

### ტერი ლიგაზე ვერ ითამაშებს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" მცველი ჯონ ტერი, სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე "ლევსკის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მიზეზი ფეხბურთელის ზურგის ტრავმაა. ტერიმ ზურგი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაიზიანა, რის გამოც ვერც შაბათს, პრემიერლიგაში "ფულჰემთან" შეხვედრაში დაეხმარა გუნდს.

### "ლაციოს" პრეზიდენტი და დი კანიო ერთმანეთს უჩივიან

რომის "ლაციოს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსა და გუნდის ექს-ფეხბურთელ პაოლო დი კანიოს კონფლიქტი იქამდე მივიდა, რომ ორივე მხარემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი. დედაქალაქური გუნდის ვეტერანი, რომელიც გასულ სეზონში სერია ც-ს "ჩისკო რომაში" გადაბარგდა, აცხადებს, რომ "ლაციოს" მისთვის ორი თვის - მაისისა და ივნისის ხელფასის დავალიანება აქვს. დი კანიოს ორი თვის ანაზღაურება კი 40 ათასი ევროა. თავის მხრივ, ლოტიტო დი კანიოს საჯარიმო თანხების გადაუხდელობაში ადანაშაულებს. შეგახსენებთ, რომ იტალიელი ფეხბურთელი ტრიბუნებზე მყოფი გულშემატკივრებისთვის ფაშისტური მისალმების გამო რამდენჯერმე სერიოზული თანხით დაჯარიმდა, რომელიც მას არ გადაუხდია. გარდა ამისა, დი კანიოს "ლაციოსთვის" 6 ათასი ევრო მართებს 9-ნომრიანი (დი კანიო "ლაციოში" ამ ნომრით თამაშობდა) მაისურებისთვის, რომლებიც მან ახლობლებს დაურიგა.

### ფიფა წესებს გადახედავს

ფიფა-ს იურიდიული კომიტეტის თავკაცის ჰაინც ტენლერის განცხადებით, კომიტეტი მზად არის კლუბთა გადასახადებს გადახედოს. დღესდღეობით ფიფა-ს წესებით, კლუბები ფეხბურთელებს ნაკრებში ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უშვებენ. ტენლერის განცხადებით, კომიტეტი დაზღვევის სისტემის განვითარებასა და ფეხბურთელისთვის ნაკრებში მიღებული ტრავმის შემთხვევაში ხელფასის გადახდას საკუთარ თავზე აიღებს. ამჟამად ფიფა ანალოგიურ საკითხს არკვევს ბელგიის "შარლერუასთან", აბდელმაჯიჯი ოლმერსის ტრავმის გამო, რომელიც ფეხბურთელმა მაროკოს ნაკრებში თამაშისას მიიღო.

"ნებისმიერმა ფეხბურთელმა ხელფასი "იძულებითი დასვენების" დროსაც უნდა მიიღოს. ფიფა-ს ამ გადასახადების საკუთარ თავზე აღება სურს და შესაძლოა მომავალში ამ მიზნით რეფორმა ჩაატაროს. გვინდა ფეხბურთელთა სადაზღვევო ფონდი შევქმნათ", - განაცხადა ტენლერმა.

### კარლოსის მადრიდული იუბილე

შაბათს, ესპანეთის ჩემპიონატში "ბეტისის" წინააღმდეგ გამართული მატჩი მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი მცველის რობერტო კარლოსისთვის საიუბილეო გამოდგა. "ბეტისთან" შეხვედრა კარლოსისთვის "სამეფო გუნდის" მაისურით ჩატარებული რიგით მეხუთასე გახლდათ.

ბრაზილიელი მცველი მადრიდში 1996 წელს გადაბარგდა და მას შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში 350 მატჩი, დანარჩენი კი ევროთასებზე გამართა.

"რეალთან" ერთად რობერტო კარლოსი სამჯერ ესპანეთის ჩემპიონი, სამჯერ კი ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

### "რომა" და "მილანი" ბრაზილიელით ინტერესდებიან

სერია ა-ს ერთბაშად ორი გრანდი - "მილანი" და "რომა" ბრაზილიური "ფლუმინენსეს" მცველ მარსელოთი დაინტერესდნენ. იტალიური პრესის ცნობით, ფეხბურთელი აპენინებზე სავარაუდოდ ზამთრის სატრანსფერო სეზონში გადაბარგდება. "მილანი" ბრაზილიელს სერჟინიოს შემცვლელად მოიაზრებს.

მარსელოს სატრანსფერო ფასი 4 მილიონი ევროა.

# მალხაზ ასათიანის საკითხი დღეს გაირკვევა

მსოფლიო ჩემპიონ იტალიასთან მატჩის წინ საქართველოს ნაკრები უდიდესი საკადრო პრობლემების წინაშეა. ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო "სკუადრა აძურასთან" თამაშის გამოტოვება მოუწევთ ლევან კობიაშვილს, გიორგი დემეტრაძეს და გოგიტა გოგუას. ბოლომდე არ მოუშუშებიათ ტრავმები გოგა გახოკიძეს და კახა კალაძეს, ხოლო ლევან ცქიტიშვილი უკვე ვარჯიშობს, მაგრამ ოპტიმალური სპორტული ფორმისგან შორსაა. ორი დღის წინ კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი გავრცელდა, რამაც, შესაძლოა, ჩვენი ნაკრები და მისი მთავარი მწვრთნელი, გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს. კერძოდ, რუსეთის ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, დედაქალაქურ "დერბიში" ცსკა-სა და "ლოკომოტივს" შორის, "ხუთჯვაროსანთა" დაცვის ხაზის ყველაზე საიმედო მოთამაშემ, მალხაზ ასათიანმა ფეხის ტრავმა მიიღო და უკვე მეათე წუთზე შესაცვლელი გახდა. მატჩი ასათიანის გუნდმა 2:1 მოიგო, მაგრამ ეს ნაკლები შვებაა საქართველოს ნაკრების გულშემატკივართათვის. გუშინ "24 საათი" მოსკოვში ტელეფონით დაუკავშირდა მალხაზ ასათიანს.



"ტრავმა სათამაშო სიტუაციაში, არმიელ ოლიჩთან შეჯახების დროს მივიღე. აუტანელი ტკივილიდან გამომდინარე, პირველი შთაბეჭდილება ისეთი მქონდა, რომ მეგონა - ფეხი მოვიტეხე. საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა - მოტეხილობას გადავრჩი. თუმცა ჯერ არ გარკვეულა, რამდენად სერიოზული დაზიანება მივიღე და როდის შევძლებ თამაშს. ხუთშაბათს "ლოკომოტივს" უეფას თასის შეხვედრა აქვს ჩასატარებელი, რომელშიც მონაწილეობას ნამდვილად ვერ მივიღებ. ამჟამად მუხლის ტკივილი მაწუხებს. ხვალ რენტგენს გადავიღებ და უფრო ზუსტად მეცოდინება - რა მჭირს. მკურნალობის რა კურსი უნდა ჩავიტარო და რა პერიოდით მომიწევს დასვენება. ყველა შემთხვევაში, გარკვეული პერიოდით მომიწევს მოედნის მიღმა ყოფნა და ჯერ ვერ გეტყვით, იტალიასთან მატჩისთვის მწყობრში ვიქნები თუ არა", - განაცხადა მალხაზ ასათიანმა.

# "იან ჰომერი" დებიუტშივე რუსს დარჩა

*ახლახანს გახსნილ "იან ჰომერის" სახელობის სპორტულ კომპლექსში დასრულდა ამავე სახელწოდების პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საპრიზო ფონდით 10 ათასი დოლარი. "ბორჯომის თასისგან" (11-17 სექტემბერი) განსხვავებით "იან ჰომერის თასზე" მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. სხვაობა იყო ისიც, რომ ფინალში ქართველ ჩოგბურთელს არ უთამაშია.*

ტურნირი, რომელიც შაბათს ერთეულთა თანრიგის ფინალური დაპირისპირებით დასრულდა, გამარჯვება რუს ანა ლაპუშჩენკოვას დარჩა. რუსმა ჩოგბურთელმა ყაზახ ამინა რახიმს ორ სეტში 7:6, 6:2 სძლია. სამწუხარო ისაა, რომ ერთეულთა თანრიგის შვიდი ქართველი მონაწილიდან პირველი წრიდან შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ეკა გორგოძემ და სოფიო შაფათავამ გააღწიეს. სხვათა შორის, გორგოძემ "ბორჯომის თასზე" ფინალში ითამაშა, მაგრამ კოჭზე მიღებული ტრავმის გამო ვარვარა გალანინასთან დამარცხდა.

რაც შეეხება შაფათავას, მან "იან ჰომერის თასზე" მეორე წრეშიც გააღწია, მერვედფინალშიც და ნახევარფინალშიც. ეგაა, ნახევარფინალში მომავალ ფინალისტ ყაზახ რახიმთან დაპირისპირებაში წააგო.

ფინალი კი არაქართული გამოდგა. რუსი ლაპუშჩენკოვა რახიმს ორ სეტში გაუსწორდა. ანუ "იან ჰომერის თასი" დებიუტშივე სტუმარს დარჩა.

ქართველ ჩოგბურთელთათვის გაცილებით წარუმატებელი გამოდგა წყვილთა თარიგი. ფაქტია, წყვილებში მეორე წრეში ქართველებს არ უთამაშიათ. გამარჯვება კი გერმანულ ყირგიზულ ტანდემს დარჩა. რია დოერნემანმა და ქსენია პალკინამ შეამხანაგებულ რუსსა და სომეხ - ვარვარა გალანინასა და ლუდმილა ნიქოიანის წყვილი სამ სეტში - 6:4, 3:6, 6:0 დაამარცხა.



*ტურნირის გამარჯვებული ლაპუშჩენკოვა.*

ის ჩოგბურთელები, რომლებიც "ბორჯომის თასზე" და "იან ჰომერის თასზე" ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას, ამჟამად ბათუმში იმყოფებიან მორიგი გამარჯვებისთვის ემზადებიან.

# კოკაიმ ტიტული შეინარჩუნა



იაპონიაში დასრულდა სექტემბრის ბაშო, რომელზეც ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ კოკაიმ ტიტულის შენარჩუნება მოახერხა.

კოკაისთვის ეს ასპარეზობა საკმაოდ რთული გამოდგა. შეიძლება ითქვას, რომ მან ბეწვის ხიდზე გაიარა. ბაშოს დასრულებამდე ორი დღით ადრე არ იყო გადაწყვეტილი შეძლებდა თუ არა ლევანი დადებითი ბალანსით ასპარეზობის დასრულებას და კომუსუბის ტიტულის შენარჩუნებას.

გადამწყვეტი გამოდგა ბაშოს მეთოთხმეტე დღე, როდესაც ქართველი გოლიათი სეკივაკე კოტომიცუმის უპირისპირდებოდა. ამ მომენტისთვის კოკაის 7 გამარჯვება ჰქონდა და ორ რანგით ძლიერ მეტოქეს დამარცხებდა, დადებითი ბალანსი გარანტირებული ჰქონდა.

ლევანმა გამოცდილი მეტოქე ჰატაკიკომის ილეთით დასცა და საწადელსაც მიაღწია. ამ მოგების შემდეგ ასპარეზობის ბოლო დღეს კოკაის მოტივაცია, ფაქტობრივად, აღარ ჰქონია და ჩვენებურიც მესამე მაეგაშირა ამინიშიკისთან დამარცხდა, რომელმაც შესაძლოა უახლოესი ბანძუკეს შემდეგ კომუსუბის ტიტულიც კი დაისაკუთროს.

როგორც აღვნიშნეთ საბოლოოდ კოკაიმ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა, რამაც მას კომუსუბის ტიტული შეუნარჩუნა. სამწუხაროდ ქართველს რეიტინგში წინ წაწევის შანსი, ფაქტობრივად, არ აქვს, ვინაიდან რეიტინგში მის წინ მდგომმა თითქმის ყველა სუმოისტმა შეძლო სექტემბრის ბაშოზე ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულება.

რაც შეეხება ბაშოს გამარჯვებულს, როგორც მოსალოდნელი იყო პირველობა არავის დაუთმო იოკოძუნა ასაშორიუმ, რომელიც მხოლოდ ორჯერ დამარცხდა და 13 ბრძოლა დაასრულა თავის სასარგებლოდ. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ასაშორიუმ რაღაც განსაკუთრებულად კარგად იასპარეზა, ვინაიდან ამ სუმოისტისთვის ორი მარცხიც კი ბევრია.

# თემურ მახარაძე - "დინამოს" დამარცხების სპეციალისტი

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეშვიდე ტური მეტად დამაინტრიგებელი გამოდგა. განსაკუთრებულ ყურადღებას სამი თამაში იპყრობდა. მათგან უდავოდ გამორჩეული ზესტაფონში გამართული შეხვედრა იყო ადგილობრივი "ზესტაფონის" და თბილისის "დინამოს" მონაწილეობით. ამ მატჩს ინტერესს ისიც ჰმატებდა, რომ ორივე გუნდმა მწვრთნელი გამოიცვალა. თემურ მახარაძეს "ზესტაფონის" ახალი მწვრთნელი უფრო პირობითად შეიძლება ეწოდოს. იმერთა გუნდის ბოლო ორი წლის წარმატებები სწორედ ამ ნიჭიერი სპეციალისტის სახელთან არის დაკავშირებული. მახარაძე თავის ძველ პოსტს კლუბის პრეზიდენტის თხოვნით დაუბრუნდა და პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ხელმძღვანელობით "ზესტაფონი" ჩემპიონის ტიტულის მთავარი მაძიებელია.

"დინამოს" კი გაცილებით სახელიანი და ევროპული ავტორიტეტის მქონე სპეციალისტი, ჩეხი დუშან უგრინი დაენიშნა, რაც ამ გუნდის შეფების მხრიდან გადადგმული მეტად გონივრული ნაბიჯია. თუმცა, ამ კონკრეტულ მატჩში ვერც უგრინმა უშველა საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონს, ხოლო თემურ მახარაძემ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში "დინამოს" დამარცხების კუთხით მთავარი სპეციალისტია. მცირე პრეისტორია: ორი წლის წინათ მახარაძის "ზესტაფონმა" "დინამოს" ჩემპიონატის ორივე კალენდარული შეხვედრა მოუგო და საქართველოს თასის მერვედფინალიდანაც გამოთიშა. გასულ სეზონში ჩემპიონატში "ზესტაფონმა" "დინამოსთან" ერთი შეხვედრა მოიგო, ერთიც - ფრედ დაასრულა, ხოლო თასის ტურნირში მეოთხედფინალიდან გამოისტუმრა. მახარაძის შეგირდებმა არც წელს დაარღვიეს "დინამოსთვის" ეს არასასურველი ტრადიცია.

თითქმის გასამხედროებული დისციპლინა, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ მახარაძის გუნდები, "ზესტაფონისთვისაც" დამახასიათებელი ნიშანი გახდა. ტაქტიკურად გამართული უკანა ხაზი, დაცვიდან შეტევაში სწრაფი გადასვლა, ურთიერთდაზღვევა, მობილური შუა ხაზი - "ზესტაფონის" თამაშის ნახვა მართლაც ერთ რამედ ღირდა. მიუხედავად იმისა, რომ დაკომპლექტების თვალსაზრისით "დინამო" ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში (თუ საუკეთესო არა), ეს უპირატესობა მახარაძის გუნდმა სწორი და გამართული თამაშით დააბალანსა.

თამაში თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ უფრო ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა და "ზესტაფონს" მეტად გაუმართლა. მაგრამ უმართლებს უძლიერესს და ის, რომ იმერლებმა შეხვედრის გადამწყვეტი გოლი გაიტანეს ლოგიკურია. ეს სამი ქულის მომტანი შედეგიანი დარტყმა კუთხურიდან განუგრავას ჩაწოდების შემდეგ თავით ღონღაძემ შეასრულა. "ზესტაფონმა" კი 14 ქულა დააგროვა და კვლავაც კვალში უდგას თბილისის "ამერს" და რუსთავის "ოლიმპს".

"ოლიმპი" კი მართლაც განსაკუთრებული მოვლენა ხდება ქართულ საკლუბო ფეხბურთში. მართალია, ეს გუნდი "თბილისის" ბაზაზეა შექმნილი და უმაღლესი ლიგის დებიუტანტადაც მხოლოდ ნომინალურად შეიძლება მოვიხსენიოთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ გასულ სეზონს, როცა იმავე "თბილისმა" ძლივს შეძლო ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ასეთი სახეცვლილება მართლაც პატივისცემის ღირსია. "ოლიმპი" - "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რუსთაველები წელს მხოლოდ უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებენ. ამას მხოლოდ სერიოზულ მეტოქესთან მოპოვებული გამარჯვების გამო არ ვამბობ. გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. დაამარცხო საქართველოს ყველაზე სტაბილური და ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით 4:0, ალბათ, ბევრ რამეზე მეტყველებს. "ოლიმპმა" სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე აინაცვლა. ლიდერის პოზიცია დაკარგა თბილისის "ამერმა", რომელიც გასვლით შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის "სიონთან" ფრეს დასჯერდა.

**მე-7 ტური**

| | |
|---|---|
| ტორპედო - ბორჯომი | 2:1 |
| სიონი - ამერი | 1:1 |
| კახეთი - დილა | 2:2 |
| ზესტაფონი - დინამო (თბ) | 1:0 |
| ლოკომოტივი - დინამო (ბთ) | 1:0 |
| მერანი - ჩიხურა | 0:0 |
| ოლიმპი - ვიტ ჯორჯია | 4:0 |

**1. ოლიმპი - 19 ქულა, 2. ამერი - 19, 3. ზესტაფონი - 14, 4. ვიტ ჯორჯია - 14, 5. ტორპედო - 14, 6. დინამო - 12 7. სიონი - 10...**

# უნგრული ტრიუმფი

## უნგრეთი - საქართველო 2:3

საქართველოს ნაკრების ჩოგბურთელებმა შეუძლებელი შეძლეს და დევისის თასის გათამაშებაში უნგრეთის ნაკრები დაამარცხეს. არადა პირველი დღის შემდეგ როგორც იცით ჩვენი ჩოგბურთელები 0:2-ს აგებდნენ. შაბათს წყვილთა თანრიგში ლაბაძე-ჩიხლაძის წყვილმა უშანსოდ დატოვა მეტოქე და კვირის მატჩებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მართალია პარასკევს ლაბაძემაც და ჩიხლაძემაც სუსტად ითამაშეს, მაგრამ გუშინ ყველაფერი გამოსწორდა. ჯერ იყო და ირაკლი ლაბაძემ ხუთ სეტში შეძლო კორნელ ბარძოცკის დამარცხება (7:6, 6:1, 6:7, 1:6, 6:4) და დაპირისპირებაში ანგარიში გათანაბრდა. შემდეგ კი უკვე გადამწყვეტი მატჩიც შედგა, რომელშიც ლადო ჩიხლაძე შებოკის დაუპირისპირდა. პირველი ორი სეტი ლადომ ტაი-ბრეიკზე მოიგო. მართალია მესამე სეტი ქართველმა ჩოგბურთელმა დათმო, მაგრამ მეოთხეში შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და საქართველოს ნაკრებს გადამწყვეტი ქულაც მოუტანა.

# ქალებმა კიმონო პრეზიდენტისთვის მოირგეს

*საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები სულ რაღაც წელიწადნახევარია არსებობს. პატარა ასაკის მიუხედავად, ქალთა ნაკრებმა რამდენიმეჯერ მოასწრო საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობა და გარკვეული გამოცდილებაც დაიგროვა. რამდენიმე დღეში საერთაშორისო ტურნირს თბილისიც მასპინძლობს, ამასთან მეტად მქუხარე სახელწოდებით - "პრეზიდენტის თასი". საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები ამჟამად ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში გადის დასკვნითი მზადების ეტაპს.*

გიგა გურასაშვილი

აშკარაა, ქალ ძიუდოისტთა ნაკრები საკმაოდ სწრაფად ვითარდება. საქმეს რომ სერიოზულად უდგებიან, გუშინდელი ვარჯიშიდანაც ჩანდა. მართალია, ვაჟ ძიუდოისტთა ოსტატობისგან შორს არიან, მაგრამ "უჟილკობას" ვერავის დასწამებდი. გამარჯვებას არ იტყობდნენ, წაგებისას კი ზოგს თვალები უცრემლდებოდა. კარგი სანახავები იყვნენ, როდესაც ტატამზე გვერდიგვერდ იბრძოდნენ დები - ნელი და ნატო ხოშტარიები. არ ვიცით, გოგონები ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებს აწონებდნენ თავს თუ რა იყო, მაგრამ ისე იბრძოდნენ, თითქოს დღესვე თამაშდებოდა "პრეზიდენტის თასი". საქმე ის არის, რომ გოგონათა ვარჯიშს სრული შემადგენლობით თვალ-ყურს ადევნებდნენ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ტრიუმფატორები, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურიც.

"გვინდა, რომ გოგონათა ნაკრებიც გვიმშვენებდეს მხარს, - აცხადებდა საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი. - გვინდა, რომ მათაც ისეთივე შედეგები ჰქონდეთ, როგორიც ვაჟთა ნაკრებს აქვს. გვჯერა, ქალთა ნაკრებიც ისეთივე მოწინავე იქნება, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია. მჯერა, რომ მათ ამის ძალა შესწევთ".

ვინმესთვის შეიძლება უჩვეულო ყოფილიყო კიმონოში გამოწყობილი ბოლნისის გამგებლის გიორგი არევაძის ხილვაც, მაგრამ სწორედ მისი დამსახურებაა საქართველოში ქალ ძიუდოისტთა ნაკრების არსებობა.

შარშან "პრეზიდენტის თასის" სადებიუტო გათამაშებაში ქალთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. თუ მაშინ უმთავრესი ჯილდოსთვის ერთმანეთს ხუთი ნაკრები ეცილებოდა, ამჟამად "პრეზიდენტის თასისთვის" ბრძოლა გაცილებით უშეღავათო იქნება, რადგან მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა გაორმაგებულია. აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, ლიტვა, რუსეთი, საბერძნეთი, სომხეთი, უკრაინა, ყაზახეთი და საქართველოს ოთხგუნდა ნაკრები.

ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გოდერძი ველიჯანაშვილის თქმით, მონაწილეთა შორის ყველაზე ძლიერი აზერბაიჯანის გუნდია.

"მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდი კარგადაა მომზადებული. ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს ისიც, რომ სხვა ნაკრებებისგან განსხვავებით ჩვენ, კონკრეტულად, "პრეზიდენტის თასისთვის" მოვემზადეთ. მათთვის კი ეს იქნება ერთ-ერთი ეტაპი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის. შარშანდელი შედეგის გამეორებაში ყველაზე მეტად მეიმედება 57, 63, 70 კილოგრამ და მძიმე წონითი კატეგორიების".

ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მაია ტარუაშვილიც შემართებითაა განწყობილი და პირობას დებს, რომ უმთავრეს ჯილდოს თბილისში დატოვებს. "პრეზიდენტის თასი" კი გათამაშდება 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს. პირველი დღე პირად პირველობას დაეთმობა, მეორე - გუნდურს.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## Forbes-მა ამერიკელი მილიარდელები გამოავლინა

ინტერნეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინდუსტრია ყველაზე შემოსავლიან ბიზნესად იქცა.

ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარი ადამიანების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა.

"ყველაზე მდიდართა" რეიტინგში პირველი ოთხი საპატიო ადგილი მილიარდელებმა დაიკავეს. პირველი მათგანი, ტრადიციულად კორპორაცია Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი გახლავთ, რომელიც ამ საპატიო ადგილს უკვე მე-13 წელია იკავებს. რეიტინგის ექსპერტების ინფორმაციით, მის ჯიბეში 53 მილიარდი დოლარია.

მეორე პოზიციაზე საინვესტიციო კომპანია BerkShire Hathway-ის პრეზიდენტმა, 76 წლის უორენ ბაფეტმა დაიკავა. მისი კორპორაცია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში დებს ფულს, დაწყებული მულტფილმებიდან დამთავრებული ეკონომიკით. ანალიტიკოსების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბაფეტი ერთ წუთში 5549 დოლარს შოულობს. საქმიან ბიზნესმენს პირადი ცხოვრებისათვის დრო, სულ ახლახანს გამოუჩნდა. მან ნოტა ხნის წინ თავის ძველ მეგობარზე, ასტრიდ მენსკეზე იქორწინა.

ალბათ გასაკვირი არ იქნება, ის რომ რეიტინგის დანარჩენი მონაწილეები გეიტსსა და ბეფეტს ბევრად ჩამორჩებიან. მესამე ადგილზე გავიდა სასტუმროების უდიდესი ქსელის მფლობელი შელდონა ადელსონა. Galaxy Casinos-სა და Las Vegas Sands-ის მფლოებელის ქონება 20,5 მილიარდი დოლარია. გასულ წელს ის ყველაზე მდიდართა რეიტინგში მე-15 პოზიციაზე იმყოფებოდა. მისი ბიზნესის წარმატება აზარტულმა ჩინელებმა განაპირობეს. ცოტა ხნის წინ შელდონ ადელსონმა მაკაოს კუნძულზე კაზინო გახსნა. ადელსონის ქონება ყოველ საათში 1 მილიონი დოლარით იზრდებოდა.

მეოთხე ადგილზე კორპორაცია Oracle-ს პრეზიდენტი ლარი ელისონი გავიდა. 2006 წელს მან 19,6 მილიარდი დოლარის დაგროვება მოახერხა. მეხუთე პოზიციაზე კი Microsoft-ის მეორე დამფუძნებელი პოლ ალენი გავიდა. ის ნაკლებად ამბიციურია, ვიდრე მისი კოლეგა გეიტსი. კომპანიაში მუშაობის პერიოდში მან 16 მილიარდი დოლარი დააგროვა.

ინტერნეტი და საინფორმაციო ტექნოლოგიები კი ყველაზე წარმატებული ბიზნეს-საქმიანობა გახლავთ.

ასე, რომ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრები ხდებიან. თუ 2005 წელს უმდიდრეს ამერიკელთა ხუთეულში მოხვედრისათვის 900 მილიონ დოლარიანი ქონება საკმარისი იყო, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 1 მილიარდ დოლარზე ავიდა. ასევე შეიცვალა ბიზნესმენთა საცხოვრებელი ადგილების გეოგრაფიული მდებარეობაც. წარმატებული ბიზნესმენებისთვის ასევე წარმატებული კალიფორნიისა და ნიუ-იორკის შტატებია.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3120 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9822 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4738 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7400 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8125 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1280 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2957 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3037 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2058 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4106 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3346 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1869 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1479 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2700 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1903 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2482 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4011 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5558 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1351 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3912 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3070 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2662 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5575 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5846 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0968 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4517 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5144 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4163 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4685 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8069 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0170 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1377 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2405 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3872 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2193 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2235 |




# სატრანზიტო ჩიხი თუ სინათლე კორიდორის ბოლოს

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

*საქართველო ყოველთვის საკვანძო რგოლად განიხილება აღმოსავლეთ-დასავლეთის "კორიდორის" ჯაჭვში. ევროკავშირის "TRASECA"-ს პროექტით მხარდაჭერილი კორიდორი გულისხმობს არა მარტო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ისტორიული სატრანზიტო "აბრეშუმის გზის" აღდგენას, არამედ სხვადასხვა ენერგოპროექტებსაც, რაც ევროპის ენერგობაზრის დივერსიფიკაციაში გამოიხატება. ევროპაში ჩნდება რუსეთის ნავთობის და გაზის ალტერნატივა კასპიისპირეთის ენერგომატარებლების სახით. ამის გამო ასეთი ალტერნატივა მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის გარანტად იქცევა. ამავე დროს, უკანასკნელ ხანებში საქართველოს "კორიდორს" სამხრეთ კავკასიის რეგიონში სერიოზული კონკურენცია უჩნდება. ის, რომ რუსეთს ტრანსკავკასიური რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნით "კორიდორის" ჩრდილოეთისკენ გაგრძელება უნდა, საიდუმლოს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს. მაგრამ პოლიტიკური პრობლემების, თუნდაც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საქართველოს იურისდიქციის გაუვრცელებლობის გამო, ასეთი პერსპექტივა არარეალურია. რჩება ერთი გზა: აიძულო საქართველო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე დათანხმდეს აფხაზეთის რკინიგზის გახსნას. ეს კი შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების საჭიროებას წარმოქმნის რუსეთისა და მისი მოკავშირეების მხრივ.*



B2

# 2007 წლის ბიუჯეტის ზოგიერთი ტენდენციები

## უმნიშვნელო ზრდა და უცვლელი პრიორიტეტები

მარიამ ჭაჭავაძე

*2007 წლის ბიუჯეტი ძალიან უმნიშვნელოდ, დაახლოებით 50 მილიონი ლარით იზრდება, რასაც ფინანსთა სამინისტროში, ძირითადად, კაპიტალური შემოსავლების შემცირებით ხსნიან. უცვლელი რჩება პრიორიტეტებიც - მომავალ წელს მთავრობა შემოსავლების დიდი ნაწილის დახარჯვას ისევ თავდაცვაზე, უსაფრთხოებაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე აპირებს.*



B4

# პარიზული ავტოსალონის სიახლეები

მერაბ ლორთქიფანიძე

*28 სექტემბერს პარიზის "პორტე დე ვერსალის" საგამოფენო კომპლექსის პავილიონებში სტარტს აიღებს ავტოინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, პარიზის საავტომობილო შოუ. ტრადიციისამებრ, შოუს პირველი ორი დღე მასმედიის წარმომადგენლებს დაეთმობა, რომლებისთვისაც ავტოკომპანიების მაღალი თანამდებობის პირები პრესკონფერენციებს გამართავენ და თავიანთი ახალი პროდუქციის პრეზენტაციებს ჩაატარებენ.*

*სწორედ ეს ორი დღეა ყველაზე მნიშვნელოვანი, რამდენადაც კომპანიები თავიანთი სიახლეების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ ილაპარაკებენ. შემდეგ კი, ორი კვირის განმავლობაში საგამოფენო კომპლექსი ფართო აუდიტორიისთვის გაიხსნება. ახალ ავტომობილებს, კონცეფციებს, საავტომობილო აქსესუარებს და სხვა საავტომობილო პროდუქციას იხილავენ ის ადამიანები, რომლებმაც ახლო მომავალში ეს პროდუქცია უნდა შეიძინონ. პარიზული გამოფენა ყოველთვის გამოირჩევა სიახლეების სიმრავლით, გამონაკლისი არც წლევანდელი შოუ იქნება. ავტომწარმოებლები საზოგადოების წინაშე წარმოადგენენ როგორც წარმოებისთვის გამზადებულ, ასევე კონცეპტუალურ ავტომობილებს. რა თქმა უნდა, ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო - მომავლის კონცეფციებია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ ხვალისათვის რას სთავაზობენ კომპანიები თავიანთი პროდუქციის მომხმარებელს.*



*Volvo C30.*

B3

## USAID-მა მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი წარმატებით დაასრულა

სალომე ძაძამია

*საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაზე, მთავრობასა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აშშ-ც ზრუნავს. საქართველოში დასრულდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების (USAID) პროგრამის ფარგლებში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, რომლის მიზანიც იყო, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამუშაო ადგილების შექმნა და მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა. აღნიშნული პროექტის შედეგად ქართულ კომპანიებში 28 ადამიანი დასაქმდა, ხოლო რამდენიმე შეძლებს, საკუთარი მცირე ბიზნესი წამოიწყოს იმ დახმარებით, რასაც მათ USAID-ი სთავაზობს. პროექტის დირექტორი კონსტანტინე ნანობაშვილი აცხადებს, რომ კომპანიებში ჩატარებული კვლევის შედეგად კადრებზე მოთხოვნამ 300 ერთეულს გადააჭარბა, რის შემდეგაც კვლევა შეაჩერეს, რადგან ასეთი რაოდენობა პროექტის კრიტერიუმებით გათვალისწინებული არ იყო.*

კონსტანტინე ნანობაშვილი: “პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. პროექტის კოორდინატორების მიერ შესაბამის ექსპერტებთან ერთად მომზადდა ორგანიზაციებში კვლევის ჩასატარებელი კითხვარი. შევისწავლეთ ორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიებზე არსებული ვაკანსიები, ასევე დამსაქმებელთა კვალიფიციური მოთხოვნები ამ პროფესიებზე. განვსაზღვრეთ ლოკალურ დონეზე ეკონომიკური სექტორების განვითარების უპირატესი მიმართულებები. კვლევის ჩასატარებლად შეირჩა 40-მდე კომპანია. კომპანიების შერჩევა მოხდა მათი სიდიდის მიხედვით - მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები. კვლევის შედეგად გამოვლინდა ის სექტორები, რომლებიც განვითარების ტენდენციით ხასიათდებიან და დამატებით საჭიროებენ კადრებს. ასეთი სფეროები აღმოჩნდნენ: საბანკო, ტურისტული, ვაჭრობის და ფარმაცევტული. აქედან გამომდინარე შეირჩა შემდეგი სახის პროფესიები და დამკვეთი კომპანიები: ფარმაცევტული კომპანია “თბილქიმფარმი”, რომელსაც ესაჭიროებოდა 10 ადამიანი, ტურისტული კომპანია “ინტერტური” - 4 ადამიანი, ჰიპერმარკეტი “გუდვილი” - 10 ადამიანი, ხოლო “სახალხო ბანკი” - 15 ადამიანი. საბანკო დაწესებულებაში მოთხოვნა იყო ეკონომისტებზე და მათემატიკოსებზე. შერჩევის შედეგად ბანკში გასაუბრებაზე წარვადგინეთ 26 კანდიდატი, მათ შორის შეირჩა 13. ტურისტულ ფირმაში პროექტის განსახორციელებლად წარვადგინეთ 12 კანდიდატი, თუმცა შეირჩა 4. ფარმაცევტული საწარმოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარვადგინეთ 23 ადამიანი, თუმცა შეირჩა 10. სავაჭრო სფეროში კი 21 პიროვნება წარვადგინეთ, საბოლოოდ 10 კანდიდატი შეირჩა. 36 მონაწილედან აღნიშნულმა პროექტმა 28 ადამიანი დაასაქმა.

პროექტის მეორე მიმართულება ითვალისწინებდა საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველ მეწარმეთა შერჩევას. პოტენციურ მეწარმეთა უნარ-ჩვევების გამოსავლენად შემუშავდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას პიროვნების ბიზნეს-იდეის შესახებ, ასევე მონაწილის მიერ წინასწარ იმის შეფასებას, თუ როგორ აპირებს იგი ამ იდეის ჩამოყალიბებას და განხორციელებას. პოტენციურ მეწარმეებს დაურიგდათ ILO-ს სატრენინგო პროგრამის SIYB ბაზაზე მომზადებული კითხვარი სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად. მათ დამოუკიდებლად უნდა მოეპოვებინათ აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხებოდა მათ ბიზნეს-იდეას. პოტენციური მეწარმეების ჯგუფისათვის შეირჩა 10 კანდიდატი. ამ ეტაპზე საკუთარი ორგანიზაციის რეგისტრაციისთვის დოკუმენტაცია მომზადებული აქვს 4 მონაწილეს. მათგან ერთმა უკვე დაიწყო ფუნქციონირება, რომელიც თვითდასაქმებასთან ერთად 15 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ აშშ-ს მხარემ ტექნიკის შესაძენად გრანტი გამოგვიყო. ბანკიდან სესხის აღების სურვილი არც ერთ მონაწილეს არ გამოუთქვამს. ყველა პოტენციურ მეწარმეს, თავისი ბიზნესსაქმიანობის დაწყების შემდეგ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია თავის ყველა მომსახურებას 1 წლის განმავლობაში უფასოდ შესთავაზებს.”

## სემეკი გაზის ტარიფის გადახედვას არ აპირებს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია საფეხურეობრივი ტარიფის გადახედვას, რომელიც სექტემბერში უნდა დაეწყო, არ ჩქარობს. ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ სემეკი საფეხურეობრივ ტარიფს არ გადახედავს.

**"სემეკის დაპირება, რომ ისინი საფეხურეობრივ ტარიფს გადახედავდნენ, მხოლოდ მოსახლეობის მოტყუება იყო. დღეს უკვე ნათელია, რომ სემეკი ტარიფის გადახედვას აღარ გეგმავს. პირიქით, სიტუაცია უფრო დამძიმდება და ტარიფი უფრო გაიზრდება,"** - განაცხადა დავით ებრალიძემ.

საფეხურეობრივი ტარიფის შემოღების შემდეგ "თელასი" უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ სემეკმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ტარიფში მათი წილი არ გაზარდა. თუმცა ებრალიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებასა და კომპანიას შორის გარიგება მოხდა, რომლითაც მხოლოდ მოსახლეობა ზარალდება.

**"ხელისუფლება "თელასს" გაურიგდა, რომლის მიხედვითაც "თელასი" ვალდებულებას იღებს, რომ დედაქალაქში 24-საათიანი ენერგომომარაგება იქნება, თავის მხრივ კი, ხელისუფლებაში თვალს დახუჭავდნენ მაღალ ტარიფზე, სადაც "თელასის" წილი სოლიდურია,"** - განაცხადა ებრალიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "შაჰდენიზიდან" მიღებულ გაზს "რაოს" მისცემენ?

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ გადანაწილდება "შაჰდენიზის" გაზსადენიდან მიღებული ბუნებრივი აირის კვოტა, ექსპერტი ენერგოსაკითხებში დათო ებრალიძე განმარტავს, რომ აღნიშნული გაზი იმ ბლოკებს მიეწოდება, რომლის მფლობელიც რუსული ენერგოგიგანტი "რაო" იქნება.

**"ხელისუფლების მხრიდან მორიგი აფიორა იგეგმება და "შაჰდენიზიდან" მიღებულ გაზს "რაოს" მისცემენ, რათა მან იაფიანი გაზით თბოელექტროსადგურები აამუშაოს. თავის მხრივ კი, მოსახლეობას იმედი ჰქონდა, რომ გაზს თავად მიიღებდნენ, მაგრამ იმედგაცრუებულები დარჩებიან,"** - განაცხადა დავით ებრალიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სატრანზიტო ჩიხი თუ სინათლე კორიდორის ბოლოს

პირველი გვერდიდან



წელს თურქულ და სომხურ საინფორმაციო საშუალებებში რამდენჯერმე გაჩნდა ცნობა სასაზღვრო საკითხებზე ორი ქვეყნის დიპლომატიური აქტივობის შესახებ. "ახალი ანატოლიის სააგენტოს" ცნობით, მას შემდეგ, რაც პრემიერი ტ-რ. ერდოგანი პრეზიდენტ ქოჩარიანს დაუკავშირდა, შედგა სამი საიდუმლო შეხვედრა ყარსი-გიუმრი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის დაკეტილი სასაზღვრო მონაკვეთის გახსნის თაობაზე. უკანასკნელი დახურული სამიტი 2006 წლის მაისში, ვენაში გაიმართა.

ამასობაში, ქ. ასტანაში "ტრასეკას" პროექტის ფარგლებში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ჩინეთის და თურქეთის სამთავრობო დელეგაციების თათბირი. აღინიშნა, რომ ამ პროექტით ხდება მონაწილე ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური ინტერესების სრული დაცვა. 2005 წელს "ტრასეკას" კორიდორით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ შეადგინა 46,7 მლნ. ტონა, ამასთან, გადაზიდული ყაზახური ნავთობის მოცულობამ 3,2 მლნ. ტონა შეადგინა. 2006 წლის 6 თვეში "ტრასეკას" კორიდორით გადაზიდული იქნა 24,2 მლნ. ტონა ტვირთი, საიდანაც ყაზახური ნავთობი 1 მლნ. ტონას შეადგენდა.

სპეციალისტების მონაცემებით, ევროპასა და აზიას შორის საქონელბრუნვამ მიაღწია 700 მლრდ. აშშ დოლარს, აქედან კი თითქმის ნახევარი ჩინეთზე მოდის. პროგნოზების მიხედვით, ევროპასა და აზიას შორის საქონელბრუნვა 2010 წელს ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება. ბოლო დრომდე აზიური ტვირთის ძირითადი ნაწილი ევროპაში რუსეთის გავლით გადიოდა. "ტრასეკა", რომელიც სამხრეთ კავკასიის გზის გამოყენებას გულისხმობს, ალტერნატიულ ვარიანტად მოგვევლინა. ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ჩინეთს ურჩევნიათ, ევროპას არა მარტო რუსეთის, არამედ კავკასიის გავლითაც უკავშირდებოდნენ. რუსეთის პირველი ალტერნატივა იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC), შემდეგი კი ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი (BTE) იქნება, რომლის მშენებლობაც 2006 წლის ბოლოს დასრულდება. ამავდროულად, მოთხოვნა იზრდება ე.წ. "მშრალი ტვირთების" და კონტეინერების გადაზიდვებზეც. თურქეთისთვის ხელსაყრელია, რომ ეს გადაზიდვები სარკინიგზო ტრანსპორტით განხორციელდეს აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით. ჯერ კიდევ თურქეთის მეცხრე პრეზიდენტი, სულეიმან დემირელი აღნიშნავდა, რომ "...პროექტი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო ყველა შემთხვევაში განხორციელდება". თუ 2005 წელს ტვირთზიდვა "ტრასეკას" ფარგლებში 46,7 მლნ. ტონა იყო, სპეციალისტთა გაანგარიშებით ყარსი-ახალქალაქის აშენებით "ტრასეკას" ტვირთზიდვა 20 მლნ. ტონით გაიზრდება. აშშ-ს კონგრესმა წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომისიის წინადადებით და, რა თქმა უნდა, გარკვეული ძალების თვით კონგრესში ლობირებით, აუკრძალა აშშ "ექსიმბანკს" პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობა. თუმცა საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა გადაწყვიტეს, საკუთარი სახსრებით განაგრძონ პროექტზე მუშაობა. უფრო მეტიც, მხარეები არ გამორიცხავენ მოგვიანებით სხვა დაინტერესებული ქვეყნების პროექტში ჩართვასაც. ამ ქვეყნებში, პირველ რიგში, ჩინეთი და ყაზახეთი იგულისხმება. პროექტის დაფინანსების საკითხი განხილული იქნება მომავალი წლის დასაწყისში. შედეგად, უკვე დაპროექტების სტადიაშია ყარსი-ახალქალაქის 99 კმ-იანი რკინიგზა, რომლის ღირებულებაც, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაანგარიშებით, 400 მლნ. აშშ დოლარია. მისი ლოგიკური გაგრძელება უნდა გახდეს გასულ წელს გახსნილი საკონტეინერო მარშრუტი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმატი. ამ მარშრუტში ასტანას შეხვედრის შემდეგ აქტიურად ჩაერთო ჩინეთიც, ე.ი. რუსეთის გვერდის ავლით მარშრუტის გაგრძელება ჩინეთის ინტერესებშიც შედის. ფაქტობრივად, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებაც მომზადებულია. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: "ტრასეკას" ფარგლებში ამდენი სერიოზული დაინტერესებული მხარის - ევროკავშირის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების - არსებობის პირობებში, ვის აძლევს ხელს ტრანსკავკასიური რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის, ანუ "ჩრდილოეთ-სამხრეთის" მიმართულების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე გახსნა?

თვით სეპარატისტული რეჟიმის გარდა, უპირველეს ყოვლისა - რუსეთს, რომელიც მიიღებს გასასვლელს სტრატეგიული მოკავშირეების - სომხეთის, ირანის, სირიის სატრანსპორტო მაგისტრალებზე და ინდოეთის ოკეანის პორტებზე. ამასთან, რუსეთი გაიმყარებს პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში და რკინიგზით დაუკავშირდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენს, რაც მას საშუალებას მისცემს, ბოსფორი-დარდანელის გავლით ტანკერებით ნავთობის წლიური ქვოტებით ტრანსპორტირების (ეკოლოგიური შეზღუდვების) პირობებში ჭარბი ნავთობპროდუქტების დასავლეთში ექსპორტი განახორციელოს საქართველოში გამავალი ნავთობსადენის (BTC) საშუალებით ანუ სახმელეთო გზით.

საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების დაკეტვით შემცირდა "ჩრდილოეთ-სამხრეთის" და "სამხრეთი-ჩრდილოეთის" მიმართულებებით ტვირთზიდვა, რაც, პირველ რიგში, სომხეთის ეკონომიკას აზარალებს.

ამავდროულად, საქართველოში დღემდე იზრდება "დასავლეთ-აღმოსავლეთის" და "აღმოსავლეთ-დასავლეთის", ანუ "ტრასეკას" ფარგლებში განხორციელებული გადაზიდვები (იხ. ცხრილი), თუმცა ამ მხრივ საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალი მაინც სრულად არაა გამოყენებული. სტატისტიკური მონაცემებით, თუ 1990 წელს რკინიგზის ტვირთზიდვა 50 მლნ. ტონა იყო, 1996 წელს მან მხოლოდ 4,8 მლნ. ტონა, 1998 წელს - 8,5 მლნ. ტონა, ხოლო 2005 წელს - 18,9 მლნ. ტონა შეადგინა. ამასთან, ძირითადად, სჭარბობდა ბათუმისკენ ნავთობპროდუქტების გადამისამართება. "ტრასეკას" გახსნის შემდეგ საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები სატრანზიტო მომსახურებიდან საშუალოდ წლიურად 10 მლნ. აშშ დოლარით იზრდებოდა. ნავთობის ტრანზიტიდან შემოსავლები ბოლო წლებში (1999 წლიდან) სულ 20 მლნ. აშშ დოლარია (მათ შორის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან შემოსავლები, რომელიც სრული დატვირთვით 2002 წლიდან ამუშავდა). მიმდინარე წელს ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი, რომელიც ბიუჯეტს 2010 წლისთვის 50 მლნ. აშშ დოლარს მოუტანს. ამას ემატება ნავთობსადენის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის იმპორტირებული საქონლიდან ფისკალური შემოსავლები, აგრეთვე, რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საავიაციო სატრანსპორტო შემოსავლები. გაზის ბაქო-თბილისი-ერზერუმის (BTE) მილსადენით ტრანსპორტირებისთვის საქართველოში დარჩენილი უფასო გაზის ღირებულება 10 მლნ. აშშ დოლარიდან (2007 წელს) გაიზრდება 44 მლნ. აშშ დოლარამდე 2012 წელს. იზრდება ქართულ პორტებში ტვირთების დამუშავების მოცულობა: 3,0 მლნ. ტონიდან 1996 წელს, 11,4 მლნ. ტონამდე 1999 წელს, და 24,0 მლნ. ტონამდე - 2005 წელს. ამ მონაცემების ფონზე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: ხომ არ გადააქცევს (კონკურენციის თვალსაზრისით) ქართულ პორტებს ჩიხად ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა, ევრაზიული ტვირთების თურქული პორტებისკენ გადამისამართების შემთხვევაში?

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საფრთხე არსებობს. უკვე დღეს, საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანზიტული ტვირთების უმეტესობა სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იტვირთება და, შესაბამისად, მცირდება ცენტრალური აზიიდან ფრახტის მოცულობა. "ტრასეკას" პოტენციურად დაკარგული ტვირთზიდვა, სპეციალისტების შეფასებით, წლიურად 15 მლნ. ტონას შეადგენს. ქართულ პორტებში "საპორტო გადამუშავების" მაღალი ღირებულების გამო შავიზღვისპირა თურქულმა პორტებმა, რომლებშიც ინტენსიური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, შეიძლება მოიგოს იმდენი, რამდენსაც დაკარგავს ორი ქართული პორტი. ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ ერთადერთ ქართულ გზას, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, დაემატება "ტრასეკას" ალტერნატიული მიმართულება - ქ. ყარსის გავლით თურქული პორტებისკენ.

ამასთან, მართალია, "ტრასეკა" ითვლება კასპიის ზღვამდე ტრანზიტის ევროპის პრიორიტეტულ მიმართულებად, არსებობს კიდევ ორი კორიდორი რუსეთისა და ირან-თურქეთის გავლით, რომლებიც ხორციელდება გაეროს ორი რეგიონული ეკონომიკური კომისიის პროექტით "SPECA" - გაეროს ევროპის ეკონომიკური და გაეროს აზიის და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიების მიერ. სატრანსპორტო ხაზები, რომლებიც რუსეთისა და ყაზახეთის გავლით უკავშირდებიან ირანის და თურქეთის პორტებს, მუდმივად სრულყოფის პროცესში იმყოფებიან. ეს პორტები ხასიათდება უფრო მოქნილი სატარიფო პოლიტიკით, ვიდრე ჩვენი პორტები. მაგალითად, "ყირიმი-კასპიის" ხაზზე საექსპორტო ნავთობის ტანკერებით მიწოდებაში კონკურენციის გამო რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ 2006 წლის 1 ივლისიდან 20%-ით შეამცირა სამდინარო გზით გადაზიდვების სატრანსპორტო ტარიფი. ამიტომ, ირანი-აშშ-ს დაპირისპირება და სხვა პოლიტიკური პრობლემები რომ არა, ამ მიმართულებებს ქართული პორტებისათვის სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლია.

დღეის მდგომარეობით საქართველოს პორტებით, ძირითადად, გადაიზიდება აზერბაიჯანული, ყაზახური და თურქმენული ნავთობპროდუქტები და ნავთობი. თურქმენეთის წილი უმნიშვნელოა, ხოლო სექტემბრიდან აზერბაიჯანული ნავთობი (Azeri light) აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის საბადოდან უკვე ნავთობსადენის (BTC) საშუალებით გადაიტვირთება. მხოლოდ "ექსონ მობილი" გააგრძელებს თავისი ნავთობის (2.5 მლნ. ტონის) ბათუმიდან გაგზავნას, ანუ ბათუმიდან აზერბაიჯანული ნავთობის გადატვირთვა ორჯერ მცირდება. ამჟამად საქართველო ცდილობს, გააფართოოს თავისი სატრანზიტო შესაძლებლობები. ამ მიზნით ყულევში კომპანია "ჩენელ ენერჯი" ახალ, 12-15 მლნ. ტონის წარმადობის ნავთობტერმინალს აშენებს.

მეორეს მხრივ, გარკვეული პრობლემებია ყაზახური ნავთობის გადატვირთვაშიც.

1996 წლიდან დაწყებული, ყაზახეთი აქტაუ-ბაქო-ბათუმის გზით ახდენს თავისი ნავთობის ექსპორტს. თავდაპირველად მოცულობა 2 მლნ. ტონას არ აღემატებოდა, ხოლო 2001 წელს - 3,8 მლნ. ტონას მიაღწია. ამ გზით გადატვირთული ნავთობის ძირითადი ნაწილი მოპოვებული იყო სამხრეთ ყაზახეთის კუმოკოლის საბადოზე, რომლის აქციები 2005 წლის ბოლოს შეისყიდა ჩინეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ (CNPC). წლევანდელი წლის მაისში გაიხსნა ყაზახეთი-ჩინეთის ნავთობსადენი, რომლის შევსებად, სავარაუდოდ, მთელი კუმოკოლის ნავთობი იქნება საჭირო. ძლიერდება კონკურენცია კასპიისპირა ნავთობის და გაზის ტრანზიტული ნაკადებისათვის. ირანმა მოახდინა "კასპიის ზღვა-ნეკას" მილსადენის რეკონსტრუქცია. ამასთან ერთად, ირანი მჭიდრო კავშირებს ამყარებს ყაზახურ, თურქმენულ ნავთობკომპანიებთან და მათთან ე.წ. Swap-ის კონტრაქტებს აფორმებს. რუსეთიც დიდ სამუშაოებს ატარებს - მან მოახდინა ქ. მახაჩყალის ნავთობტერმინალის გაფართოება, სადაც ხდება შეძენილი აზიური ნავთობის გადამისამართება. რუსეთის უდიდესმა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა კომპანიამ "გაზპრომმა" მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ყოფნა კავკასიაში, განსაკუთრებით - სომხეთში, სადაც ის მთელს ენერგოინდუსტრიას და ინფრასტრუქტურას აკონტროლებს. ამავე დროს, "გაზპრომი" აქტიურადაა ჩართული ირანის "სამხრეთ ფარსის" გაზის საბადოს ათვისებაში. აქ იგი ფლობს 30%-იან წილს და აშენებს 56-დუიმიან გაზსადენს ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ყარსის რკინიგზა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენზე და ბაქო-თბილისი-ერზერუმის (BTE) გაზსადენზე უფრო მნიშვნელოვანია: ნავთობი და გაზი 40-50 წლის განმავლობაში შეიძლება ამოიწუროს, რეგიონული რკინიგზა კი მსოფლიო მნიშვნელობას დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნებს. ეს გზა ბოსფორის ფსკერზე მშენებარე გვირაბის საშუალებით ევროპის სატრანსპორტო სისტემას დააკავშირებს აზიისას. ამიტომაა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები დიდ ინტერესს იჩენენ მისდამი. და ამიტომაა, რომ სომხეთი ზრდის დიპლომატიურ აქტივობას და ცდილობს ყარსი-გიუმრი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის თურქეთის საზღვარზე 1993 წლიდან დაკეტილი მონაკვეთის გახსნას, რასაც, სავარაუდოდ, არ დაუშვებს აზერბაიჯანი. ამ შემთხვევაში ხომ საზღვრის გახსნის შემაფერხებლად მოგვევლინება არა ყარაბაღის კონფლიქტი, არამედ აზერბაიჯანის მიერ რეგიონული მნიშვნელობის პროექტზე უარის თქმა, იმ მიზეზით, რომ სომხეთის გავლით ტრანზიტული ტვირთი აზერბაიჯანიდან აზიაში არ მოხვდეს. ამდენად, აზერბაიჯანი მსოფლიო საზოგადოების თვალში საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებლად მოგვევლინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური აზიის ტვირთების მოსაზიდად, საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს ტრანსპორტის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერა. კერძოდ:

პირველ რიგში, "ტრასეკას" კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მუშაობის მუდმივად კოორდინაცია და მათთან შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის გატარება. 2004 წელს რკინიგზის ტვირთზიდვის წინა წელთან შედარებით შემცირება გარკვეულ ნეგატიურ პროცესებზე მიგვანიშნებს;

მეორე, ვინაიდან ფოთის და ბათუმის პორტები 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული შპს-ებია, სახელმწიფოს ერთპიროვნულად შეუძლია პარტნიორის უფლების გამოყენება და მათი საპორტო მომსახურების სატარიფო განაკვეთების გადახედვა, რათა ისინი თურქულ და რუსულ პორტებთან კონკურენტუნარიანი გახდნენ.

მესამე, აუცილებელია ჩვენი პორტების ტვირთბრუნვის დივერსიფიცირება: მათ ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების შემცირებით მოსალოდნელი ზარალი სულ უფრო მეტად უნდა აანაზღაურონ "მშრალი ტვირთებისა" და კონტეინერების გადაზიდვებით.

## კომბანკებმა ეროვნულ ბანკში 25,05 მილიონი ლარის რესურსი განათავსეს

საქართველოს საბანკო ბაზარზე მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში, დეპოზიტის სახით, 25,05 მილიონი ლარის რესურსი განათავსეს. როგორც ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, 2006 წლის აგვისტოში 15 სადეპოზიტო აუქციონი გაიმართა. აქედან, თორმეტი 28-დღიანი (21,9 მილიონი ლარის მოცულობით) იყო, ორი - 84-დღიანი (1,65 მილიონი ლარი) და ერთი - 56-დღიანი (1,5 მილიონი ლარი). კომერციული ბანკების მოცულობის რესურსი, წინა პერიოდთან შედარებით, 5,25 მლნ ლარით მეტია. საშუალო შეწონილმა განაკვეთმა 10 პროცენტი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აბაშის გაზიფიცირება ოქტომბრის ბოლოს დასრულდება

აბაშის გაზიფიცირების პროცესი ოქტომბრის ბოლოს დასრულდება, ამის შესახებ სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" აბაშის რაიონის გამგებელმა ბადრი ჩაჩავამ განუცხადა. როგორც გამგებელი განმარტავს, წელს მხოლოდ ქალაქის გაზიფიცირება მოესწრება. **"ჩვენი გათვლებით, წელს მხოლოდ ქალაქში მოხდება გაზგაყვანილობის გამოცვლა, რადგანაც რაიონის მასშტაბით მილები 15 წლის განმავლობაში არ შეცვლილა და საგანგაშო მდგომარეობაში იყო. მომავალი წლიდან კი სოფლების გაზიფიცირების პროცესსაც დავიწყებთ,"** - განაცხადა ჩაჩავამ. მისივე ინფორმაციით, 2006 წლის გაზიფიცირების პროცესისათვის ბიუჯეტიდან 90 ათასი ლარია გამოყოფილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კახეთში ადგილობრივმა კომპანიებმა 14 ათასი ტონა ყურძენი შეიძინეს

კახეთში რთველი კულმინაციას აღწევს და ის, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისისათვის დასრულდება. როგორც კახეთში ყურძნის ჩაბარების საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი ცხაკაია აცხადებს, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რთველს კარგად ჩაევლო და გლეხს ყურძენი გაეყიდა. **"შტაბი კოორდინირებას უწევს, რომ გლეხს ყურძენი არ გაუფუჭდეს და მისი რეალიზაცია შეძლოს. ოფიციალური მონაცემები კახეთიდან, თუ რა რაოდენობის ყურძენია შესყიდული, არ არსებობს, რადგანაც თავად გლეხს ან რეალიზატორს ყურძენი ვენახიდან პირდაპირ თბილისში, ბაზარში მოაქვს და მისი აღრიცხვა არ ხდება,"** - განაცხადა კახეთში ყურძნის ჩაბარების საგანგებო შტაბის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ. ცხაკაია განმარტავს, რომ დღეისათვის ადგილობრივი კომპანიებიდან დაახლოებით 14 ათასი ტონა ყურძენია შესყიდული. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის სამუშაოები იწყება

ტყიბულის რკინიგზის სადგურიდან ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები იწყება. 2003 წლიდან ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მონაკვეთზე, ლიანდაგის ტექნიკური გაუმართაობის გამო, მატარებელთა მოძრაობა შეჩერებული იყო. სარკინიგზო ხაზი, ძირითადად, ადგილობრივ წარმოებებს ემსახურებოდა. მის შეჩერებას თან საწარმოთა მუშაობის შეჩერებაც დაემთხვა და მოსახლეობა, ფაქტობრივად, რაიონულ ცენტრს მოწყდა.შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმერეთის რეგიონში ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და მოსახლეობისათვის ხელსაყრელი სატრანსპორტო საშუალების აღდგენის მიზნით ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება.პროექტის ღირებულება 10 მლნ. ლარია. პირველ ეტაპზე 42 კმ. სიგრძის სალიანდაგო მაგისტრალის აღდგენა მოხერხდება, რომელსაც თან ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაც მოჰყვება.ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები დაჩქარებული ტემპებით განხორციელდება და რამდენიმე თვეში სადგურების (გელათი, ორპირი, ხრესილი, საწირე, ტყიბული) ფუნქციონირება განახლდება. პროექტის დაწყების ღონისძიებას ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, მაჟორიტარი დეპუტატი ალეკო კუბლაშვილი, რაიონის გამგებელი კოტე ბოჭორიშვილი და შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია დაესწრებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## იტალიელები "გაზპრომს" ევროპაში ეპატიჟებიან

იტალიური კონცერნი ENI და რუსული "გაზპრომი" "ცისფერი ნაკადი-2"-ის გაზსადენს ააშენებენ. ამისათვის კი მხარეები ერთობლივ საწარმოს შექმნიან. კომპანიები გარიგებას ხელს 15 ოქტომბერს მოაწერენ. ცნობილია, რომ პროექტის განხორციელებას 5 მილიარდი დოლარი დასჭირდება. პროექტის თანახმად, მილსადენი რუსეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთზე გაივლის. მისი მარშრუტი შავ ზღვაზე გაივლის. თურქეთის გაზმომარაგების სისტემიდან კი ბუნებრივი აირი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიეწოდება, საიდანაც კი საწვავი იტალიაში უპრობლემოდ შევა. ახალი მილსადენის სიმძლავრე 8 მილიარდ კუბომეტრს შეადგენს. ახალი პროექტი "ცისფერი ნაკადი"-ის მიერ თურქეთის გავლით ექსპორტირებული ბუნებრივი აირის მოცულობას 24 მილიარდ კუბ/მეტრამდე გაზრდის. გარდა ამისა, გაზსადენის კიდევ ერთი პროექტი არსებობს, რომლის თანახმადაც, მილსადენი ბულგარეთის, ავსტრიის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიებზე გაივლის. თუმცა ეს პროექტი ჯერ დამტკიცებული არ არის. სავარაუდოდ, მას 2007 წლისთვის მიიღებენ. "გაზპრომი" კონკურენტების თავიდან მოცილების სტრატეგიით მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე მისთვის უნგრული ფირმა MOL-ია, რომელიც გაზსადენ Nabucco-ს მშენებლობას აპირებს. აღნიშნული გაზსადენის პროექტმა კი ევროკავშირის მოწონება უკვე დაიმსახურა. Nabuucco-ს მილსადენის მარშრუტი პრაქტიკულად რუსული კონცერნის პროექტის იდენტურია. მისი წყალობით ევროპა ბუნებრივ აირს ირანიდან მიიღებს. აგვისტოს ბოლოს კომპანია "გაზპრომმა" და გერმანულმა E.ON-მა და BASF-მა "ჩრდილო-ევროპული გაზსადენის" პროექტს მოაწერა ხელი. მილსადენი ბალტიის ზღვაზე გადის და რუსეთს გერმანიასთან აკავშირებს. გაზსადენის სიმძლავრე წელიწადში 27,5 მილიარდი კუბამეტრია. "ჩრდილო-ევროპული გაზსადენის" მშენებლობა არაერთმა ქვეყანამ გააპროტესტა, მათ შორის პოლონეთმაც, რომელიც თვლის, რომ პროექტის განხორციელება არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზნებით არის განპირობებული.

## LG უსინათლოებისთვის მოლაპარაკე მობილურ ტელეფონს უშვებს

კომპანია LG electronics-ის წარმომადგენლები, მსოფლიოში პირველი მობილური ტელეფონის გამოშვებას აპირებენ. ახალი ტელეფონი - LG LF 1300-ი ელექტრონულ წიგნებს ხმამაღლა კითხულობს და სპეციალური "ხმოვანი ჯგუფით" კითხულობს. კომპანიაში აცხადებენ, რომ LG-ი მსოფლიოში პიტ|რველი კომპანიაა, რომლის მობილური ტელეფონიც უსინათლოებისა და მხედველობა მოკლებული ადამიანებისთვის არის განკუთვნილი. მობილური ტელეფონი, რომლის სისქეც სულ რა აც 16 მილიმეტრია, ხმამაღლა კითხვის გარდა MP3-ფლეერის ფუნქციასაც ასრულებს. ტელეფონის მეხსიერება 17 მეგაბაიტია, ასე რომ პოტენციურ მომხმარებელს დამატებითი მეხსიერების ბარათის ყიდვა მოუწევს. LF1300 დაახლოებით 420 დოლარი ეღირება. ის შეზღუდული რაოდენობით გამოვა და მხოლოდ მხედველობა დაქვეითებულ ადამიანებს შეეძლებათ.

## Boeing ამერიკის უსაფრთხოებას დაიცავს

კომპანია Boeing-ი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას, კონკრეტულად კი მექსიკისა და კანადის საზღვრებს დაიცავს. ამ საკითხის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობამ და ამერიკის ხელისუფლებამ კონტრაქტი უკვე გააფორმა. ექსპერტები აცხადებენ, რომ სამწლიანი კონტრაქტის ფარგლებში კომპანია Boeing-ი 2,1 მილიარდ დოლარს აიღებს. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ამერიკის შეერთ ბული შტატების ხელისუფლება ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოებისათვის კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა. ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანი არალეგალურად აღწევს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. არალეგალი ემიგრანტების წინააღმდეგ ბრძოლა კი ამერიკის ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. კომპანია Bpoeing-ს ახალი მოვალეობის შესრულებაში სხვადასხვა კომპანიები დაეხმარებიან, ერთ-ერთი მათგანი უკვე ცნობილია, ის კომპანია Unisus-ი გახლავთ. ახალი სისტემა ისრაელის კომპანიის მიერ წარმოებული კამერებით იქნება აღჭურვილი, რომელიც 14 კილომეტრის მანძილზე მოძრავ გამოსახულებებს დააფიქსირებს.

# პარიზული ავტოსალონის სიახლეები

პირველი გვერდიდან

### აუდი

მაგალითად, "აუდის" სტენდზე თავს იწონებს V12 კონფიგურაციის ტურბოდიზელით აღჭურვილი უგზოობის მოდელი Q7. ძრავის სიმძლავრე 500 ცხენის ძალას აღწევს და, რაც მთავარია, ის პირდაპირი "შთამომავალია" იმ აგრეგატისა, რომლითაც აღჭურვილია ლეგენდარული ლე მანის 24-საათიანი რბოლის წლევანდელი ტრიუმფატორი - სპორტული პროტოტიპი "აუდი R10".

პარიზშივე შედგება "აუდის" კიდევ ერთი მოდელის, სპორტული "აუდი S3-ის" დებიუტი. მის კაპოტქვეშ განლაგებულია ტურბოდამჭირხნით აღჭურვილი ორლიტრიანი ძრავი TFSI, რომლის სიმძლავრე 265 ცხენის ძალაა, მაბრუნი მომენტი კი - 350 ნმ. გარეგნულად S3 სრულად შეესაბამება ეგრეთ წოდებული "ცხელი ჰეჩბეკის" (მხურვალე ჰეჩბეკის) იმიჯს.

### ბეემვე

ამჯერად პარიზში მოკრძალებულად წარსდგა "ბეემვე". ბავარიელების სტენდზე მხოლოდ ერთი პრემიერა გაიმართება - საზოგადოების წინაშე პირველად გამოჩნდება მესამე სერიის კუპე. ამ ავტომობილში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ "ბეემვემ" თავისი 6-ცილინდრიანი ძრავი, რომელიც მესამე სერიის კუპესთვისაა განკუთვნილი, ბოლო ათწლეულში პირველად აღჭურვა ტურბოკომპრესორით. კუპეს ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციაა 335 Ti, რომლის ძრავის სიმძლავრე 306 ცხენის ძალას აღწევს.

ბავარიელთა სტენდზევეა წარმოდგენილი განახლებული ქროსოვერი X3. ავტომობილი გარეგნულად მცირედ შეიცვალა. სამაგიეროდ, ის აღიჭურვა განახლებული საკიდარითა და ძრავებით.

### ფოლკსვაგენი

ვოლფსბურგელების სტენდის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია განახლებული კომპაქტვენი "ტურანი". ახლებურადაა გაფორმებული მისი წინა ნაწილი, რომელიც რალაცით მოდელ "ეოსს" დაემსგავსა. გარდა ამისა, ავტომობილის აღჭურვისთვის გათვალისწინებულია რამდენიმე ახალი ძრავი.

პარიზშივე, საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგება უგზოობის უახლესი მოდელი "ტიხუანი", რომელიც მოდელ "გოლფის" პლატფორმაზეა შექმნილი. ამ ავტომობილის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ ვრცელდება, თუმცა იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მას ბაზარზე მკაცრი კონკურენცია ელის.

"ფოლკსვაგენის" ჯგუფის ჩეხური დივიზიონი, კომპანია "შკოდა" პირველად უჩვენებს მოდელ "ოქტავიას" უგზოობის მოდიფიკაციას, სახელად "სკაუტ", რომელიც, მწარმოებლის შეფასებით, არის საშუალო კლასისთვის განკუთვნილი კლონირებული "აუდი ოლროუდი". გარდა იმისა, რომ გზის საფარიდან დაშორება გაზრდილი აქვს და "ოფ-როუდის" სტილშია გაფორმებული, "სკაუტს" ჩვეულებრივ უნივერსალ "ოქტავიასგან" სხვა ბევრი არაფერი გამოარჩევს.

"ფოლკსვაგენის" კიდევ ერთი ქვეშევრდომი - ესპანური "სეატი" პარიზში წარმოდგენილია ჰეჩბეკ "ლეონის" სპორტული მოდიფიკაცია "კუპრათი". ეს ავტომობილი აღჭურვილია 1.8-ლიტრიანი ტურბომოტორით, რომლის სიმძლავრე 240 ცხენის ძალაა. ამ აგრეგატის წყალობით, "ლეონ კუპრას" შესანიშნავი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები აქვს. კერძოდ, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად "ლეონ კუპრას" მხოლოდ 6.4 წამი ჰყოფნის, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 247 კმ/სთ-ია, რაც კომპაქტური ჰეჩბეკისთვის მეტისმეტიც კია.

### მერსედეს-ბენცი

შტუტგარტული კომპანიის სტენდზე რამდენიმე სიახლეა. თუმცა, მოდელ CL-ზე სიახლის თქმა ცოტა უხერხულიცაა, რადგან მისი ოფიციალური პრეზენტაცია ჯერ კიდევ ზაფხულში შედგა, მერე კი ის პირველად საზოგადოებამ მოსკოვის ავტოსალონზე იხილა, რომელიც აგვისტოს მიწურულს ჩატარდა.

"მერსედესის" მთავარი სიახლე კი არის ჟ-კლასის სრულიად ახალი სედანი, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს მესამე სერიის "ბეემვეს". გარეგნულად ახალი ჟ-კლასი ძლიერ ჰგავს S-კლასის სედანს, თუმცა მასზე გაცილებით მცირე გაბარიტები აქვს. ამ ორ, სხვადასხვა კლასის ავტომობილს სალონიც ერთნაირად აქვს გაფორმებული. აქ განსხვავება მხოლოდ აღჭურვის დონეშია. საინტერესოა, რომ ჟ-კლასის სედანის ყველაზე მძლავრ ვერსიას მომავალში კომპანია AMG მოამზადებს, რომელიც კაპოტქვეშ განალაგებს 5.5-ლიტრიან V8 ძრავს.

"მერსედესის" სტენდზევე მოსალოდნელია კომპანია "სმარტის" მოდელ "ფორთუს" განახლებული, მეორე თაობის მოდელის ჩვენება.




Mercedes-Benz CL.



BMW 3-series coupe.



Alfa Romeo 8C.



Skoda Octavia Scout.



Opel Antara.

### ფორდი

"ფორდის" მთავარი სიახლეა ახალი, მესამე თაობის "მონდეო". ეს ავტომობილი გარეგნობით ძლიერ ჰგავს შარშან ფრანკფურტის ავტოსალონზე (ფრანკფურტისა და პარიზის ავტოსალონებ ორ წელიწადში ერთხელ, მონაცვლეობით ტარდება) წარმოდგენილ კონცეპტუალურ მოდელ "იოსისს".

ახალი "მონდეო" წინამორბედზე დიდგაბარიტიანია.

"ცისფერი ოვალის" ჯგუფიდან, საკუთრივ "ფორდის" გარდა, ყველაზე საინტერესო სიახლე აქვს "ვოლვოს". ჰეჩბეკი ჟ30 აგებულია "ფორდის" უნივერსალურ პლატფორმა C1-ზე, რომელსაც ასევე იყენებენ იმავე კლასის მოდელებზე - "ფორდ ფოკუსზე", "მაზდა3-ზე" და "ვოლვო S40-ზე". ერთ პლატფორმაზე კი არიან ბაზირებულნი, მაგრამ S40-თან შედარებით, ახალი ჟ30 დაახლოებით 25 სანტიმეტრით მოკლეა. შვედური კომპანია მალე ამ ავტომობილის ბაზაზე ჰიბრიდულ მოდელსაც დაამზადებს.

### ფიატი

ბევრი სიახლეა იტალიური კონცერნის სტენდზე, რომელმაც "ფიატ-ის" ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიის სიახლე "შეიფარა". აქ ყურადღების ცენტრშია გოლფ-კლასის მოდელი "ბრავო", რომლითაც ტურინელები არცთუ წარმატებულ მოდელ "სტილოს" შეცვლიან.

გარეგნობით, ახალი "ბრავო" გაბარიტებში გაზრდილ "გრანდე პუნტოს" ჰგავს, ავტომობილს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა იტალიური კონცერნის კრიზისიდან გამოსვლის საქმეში. მწარმოებელი "ბრავოზე" გამოიყენებს სერია "მულტიჯეტის" 1.9-ლიტრიან ტურბოდიზელს, რომლის სიმძლავრე 150 ცხენის ძალაა.

პარიზშივე შედგება "ფიატ-ის" ახალი ჯუჯა-ავტომობილის, "ფიატ 500-ის" დებიუტი, რომელიც კონცეპტუალურ მოდელ "ტრეპიუნოს" ბაზაზეა შექმნილი. მწარმოებელი ჯერ არ ამხელს თავისი სიახლის ტექნიკურ მონაცემებს, თუმცა თუ კონვეიერამდე ავტომობილი არ დაკარგავს იმ მომხიბვლელობას, რაც ახლა აქვს, მაშინ მას ბაზარზე წარმატება გარანტირებული ექნება.

"ალფა რომეომ" კი, როგორც იქნა, წარმოებისთვის მოამზადა თავისი სუპერავტომობილი, სახელად "8ჟ კომპეტიციონე". ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ამ ავტომობილის კონცეპტუალური ვერსიის მსოფლიო დებიუტი ჯერ კიდევ 2003 წელს შედგა, მაგრამ მილანელებმა აქამდე გააჭიანურეს მისი წარმოების დაწყება. "8ჟ კომპეტიციონეს" მალე დიდი მისია დაეკისრება. ამ ავტომობილით იტალიური კომპანია აშშ-ს ბაზარს დაუბრუნდება.

"8ჟ კომპეტიციონე" აღჭურვილია კომპანია "მაზერატის" (ალფაც და მაზერატიც ფიატ-ს ეკუთვნის) წარმოების V8 აგრეგატით, რომლის სიმძლავრე 440 ცხენის ძალას აღწევს. "ალფა რომეო" ამ სუპერავტომობილს შეზღუდული რაოდენობით დაამზადებს. არაა გამორიცხული, რომ ერთი თვის შემდეგ მისი შეძენა შეუძლებელიც კი გახდეს.

### რენო

საოცარია, მაგრამ ფრანგული კომპანია ჯერაც არ აპირებს კონვეიერიდან მეორე თაობის "კლიოს" მოხსნას. ეს მაშინ, როცა უკვე მეორე წელია, წარმატებით იყიდება მესამე თაობის "კლიო". პარიზში საზოგადოებას წარუდგება მეორე თაობის მოდიფიცირებული "კლიო", რომელსაც სახელად "კლიო კამპუსი" ეწოდა. ამ ავტომობილის კონვეიერზე დატოვების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ის კარგად იყიდება (იაფია) განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე.

"რენოს" კონსტრუქტორები მსოფლიო დებიუტისთვის ამზადებენ მეორე თაობის ერთმოცულობიან მოდელ "ტვინგოს", რომელიც ევროპული სტანდარტებით, A სეგმენტს განეკუთვნება. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ახალი "ტვინგოს" მომზადება ვერ მოესწროს და მაშინ მსოფლიო მას პირველად ჟენევის ავტოსალონზე იხილავს.

ახალი "ტვინგო" ბაზირებულია მესამე თაობის "კლიოს" პლატფორმაზე. ცნობილია ისიც, რომ ის პირველ "ტვინგოზე" დიდი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი და ძვირი იქნება. მწარმოებელი ჯერ არ ამჟღავნებს ამ პატარა ავტომობლის ტექნიკურ მონაცემებს. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ "ტვინგო" განკუთვნილი იქნება შეძლებული ახალგაზრდებისთვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში პირველი "ტვინგოს" უამრავი ფან-კლუბია შექმნილი, მაშინ ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ ახალ ავტომობილს ბაზარზე გამოსვლისთანავე პოპულარობა გარანტირებული ექნება.

### სიტროენი

"სიტროენის" სიახლეა ერთმოცულობიანი ავტომობილი "ჟ4 პიკასო". მწარმოებელი აცხადებს, რომ ამ ახალი ავტომობილით არ აპირებს მოდელ "Xსარას" შეცვლას. ეს ორივე ავტომობილი პარალელურად გამოვა და თანაც, ისინი ერთმანეთს კონკურენციასაც არ გაუწევენ. გასაკვირი ამაში არაფერია - "ჟ4 პიკასო" გაცილებით დიდია "Xსარა პიკასოზე".

ახალი ავტომობილისთვის სამი ძრავია განკუთვნილი. მათგან ყველაზე მძლავრია ბენზინზე მომუშავე ორლიტრიანი მოტორი, რომლის სიმძლავრე 143 ცხენის ძალას აღწევს. დანარჩენი ორი აგრეგატი საწვავად დიზელს იყენებს და მათი სიმძლავრე 110 და 138 ცხენის ძალაა. ყველა ძრავთან შესაწყვილებლად განკუთვნილია ორი ტიპის, 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელთაგან ერთი ავტომატურია, მეორე კი ნახევრადავტომატური.

უნდა ითქვას, რომ "სიტროენმა" და მისმა მონათესავე "პეჟომ" პარიზში საინტერესო კონცეპტუალური მოდელებიც წარმოადგინეს, თუმცა მათ შესახებ ჩვენს მკითხველს ცალკე, უფრო ვრცლად მოვუყვებით.

### ჰიუნდაი

კორეულმა ავტოგიგანტმა, რომელმაც ახლახან ავტომობილების წარმოების მოცულობის მხრივ, მსოფლიოში მე-6 ადგილზე გადაინაცვლა, პარიზში თავისი ახალი სპორტული მოდელი "კუპე" წარმოადგინა. ეს ავტომობილი პირველად მოსკოვის ავტოსალონზე უნდა ეჩვენებინათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, კორეელებმა საპრემიეროდ პარიზი ამჯობინეს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი "კუპე" გარეგნულად თითქმის არ ჰგავს წინამორბედს, მაინც მის საფუძვლიანად მოდერნიზებულ ვერსიას წარმოადგენს. სპორტული ავტომობილის ძრავების გამაში მხოლოდ ორი აგრეგატია. მათგან ერთია ორლიტრიანი DOHC, რომელსაც სარქველების კონტროლის ელექტრონული სისტემაც აქვს. მისი სიმძლავრეა 143 ცხენის ძალა. მეორე ძრავია 2,7-ლიტრიანი V6, რომლის სიმძლავრეც 167 ცხენის ძალას აღწევს. პირველ ძრავთან შესაწყვილებლად განკუთვნილია 5-საფეხურიანი მექანიკური და 4-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი, მეორესთვის კი - 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფი.

არანაკლებ საინტერესო სიახლე აქვს "ჰიუნდაის მფლობელობაში მყოფ კიდევ ერთ კორეულ კომპანია "კიას". ესაა წარმოებისთვის მომზადებული ჰეჩბეკი "სიი'დ", რომელმაც "კიას" სამოდელო გამაში მალე უნდა შეცვალოს მოდელი "ჩერატო". ეს ავტომობილი იმითაცაა საინტერესო, რომ ის "კიას" პირველი მოდელია, რომელიც კომპანიის ევროპულმა საკონსტრუქტორო შტაბმა შექმნა. უფრო მეტიც, ეს ავტომობილი მხოლოდ ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი და მას სლოვენიაში გამოუშვებენ.

### ტოიოტა

იაპონური ავტოგიგანტი ჯერ არ ჩქარობს თავისი ყველაზე გაყიდვადი მოდელის, "კოროლას" შეცვლას. ჰოდა, მის სტენდზე მთავარ ადგილს დაიკავებს მარკა "ლექსუსის" სედან LS600h-ის ჰიბრიდული ვერსია, რომელსაც ყველა ბორბალი წამყვანი აქვს. "კოროლა" რომ იგვიანებს, "ტოიოტას" კიდევ ერთი პოპულარული მოდელი "იარისი" სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამჯერად პოტენციური მყიდველის წინაშე წარსდგება "იარისის" სპორტული მოდიფიკაცია TS, რომელიც 1.8-ლიტრიანი, 132 ცხენისძალიანი ძრავითაა აღჭურვილი. რა თქმა უნდა, ავტომობილის გარეგნობამაც ძრავისთვის შესაფერისი, აგრესიული იერი შეიძინა.

### ჯენერალ მოტორსი

ამერიკული კონცერნის მთავარი ექსპონატია სეზონის მთავარ ამერიკულ სიახლედ აღიარებული კონცეპტუალური მოდელი "შევროლე კამარო", რომელიც პირველად საზოგადოებამ დეტროიტის ავტოსალონზე იხილა. დეტროიტის შემდეგ "გენერლებმა" ამ ავტომობილის გამო იმდენი დადებითი გამოხმაურება მიიღეს, რომ მისი წარმოება გადაწყდა. არაა გამორიცხული, რომ ახალი "კამარო" ევროპაშიც გაიყიდოს.

ამ ავტომობილის წარმოება 2008 წელს დაიწყება, თუმცა "გენერლებმა" უკვე დაიწყეს მისი სარეკლამო კამპანია. კერძოდ, "შევროლეს" ვებ-გვერდზე გაჩნდა "კამაროსთვის" განკუთვნილი V8 ძრავის გრუხუნა ხმის ფაილი MP3 ფორმატში. საინტერესოა, რომ მსურველს ამ ხმის თავისი მობილური ტელეფონში გამოყენება შეუძლია - დარეკავთ და ტელეფონით თქვენს ყურს "კამაროს" ძრავის ბასი ხმა "მოეალერსება".

"გენერლების" ევროპული კომპანია "ოპელი" მყიდველს გააცნობს ქროსოვერ "ანტარას", რომელიც წარმოებისთვის მზადაა. ეს ავტომობილი შექმნილია იმავე პლატფორმაზე, რომელზეც ბაზირებულია "ჯენერალ მოტორსის" კიდევ ორი ქროსოვერი - "შევროლე კაპტივა" და "დეუ ვინდშტორმი". "ანტარას" კონცეპტალური ვარიანტის დებიუტი შარშან შედგა და ის უფრო აგრესიული გარეგნობით გამოირჩეოდა, ვიდრე წარმოებისთვის მომზადებული "ანტარა".

### ჰონდა

იაპონურმა კომპანიამ განაახლა თავისი პოპულარული ქროსოვერი CR-V. ავტომობილის გაბარიტები თითქმის არ შეცვლილა. სამაგიეროდ, რადიკალურად შეიცვალა მისი დიზაინი - ის უფრო სპორტული, ეფექტური გახდა.

წარმოების პირველ ხანებში, CR-V-ს მყიდველს მხოლოდ ორ ძრავს შესთავაზებენ. ერთია ბენზინზე მომუშავე 2-ლიტრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრეა 150 ცხენის ძალა. მეორეა 2,2-ლიტრიანი დიზელი, რომლის სიმძლავრე ცხენის ძალას აღწევს. რაც მთავარია, ახალი CR-V უსაფრთხოების უახლესი სისტემებითაა აღჭურვილი. ესენია კრუიზ კონტროლის ადაპტური სისტემა და მუხრუჭების დამხმარე სისტემა, რომელიც ავარიულ სიტუაციებში ავტომატურად ამოქმედდება.

### ნისანი

ევროპელებისთვის სიახლე აქვს კიდევ ერთ იაპონურ კომპანიას - "ნისანი" საზოგადოებას თავის ახალ კომპაქტურ ქროსოვერ "კაშკაის" წრუდგენს. ეს ავტომობილი დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა და ერთდროულად ჰგავს როგორც მოდელ "მურანოს", ასევე "ინფინიტი FX-საც".

"კაშკაისთვის" ოთხი ძრავია განკუთვნილი. მათგან ორი ბენზინზე მუშაობს, ორიც - დიზელზე. ამასთან, მწარმოებელი ვარაუდობს, რომ ევროპაში უფრო მეტ პოპულარობას დიზელისძრავიანი მოდელები მოიპოვებს. მათგან ყველაზე სუსტი 1,5-ლიტრიანი დიზელია, რომლის სიმძლავრე 106 ცხენის ძალა, მაბრუნი მომენტი კი 240 ნიუტონ მეტრია. ყველაზე მძლავრიც დიზელის აგრეგატია. მისი მუშა მოცულობაა ორი ლიტრი, მაქსიმალური სიმძლავრე 150 ცხენის ძალა, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი - 320 ნმ.

*რა თქმა უნდა, პარიზის ავტოსალონზე უხვად იქნება წარმოდგენილი კონცეპტუალური ავტომობილები. როგორც ყოველთვის, ისინი დამთვალიერებლებისა და სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. ოღონდ, მათზე შემდგომ რეპორტაჟში მოგითხრობთ.*

## "პოპული" Wal-Mart-ის გამოცდილებას გაიზიარებს

დიანა ჩაჩუა

*სს "პოპული" საცალო და საბითუმო ვაჭრობის ბაზარზე არსებულ გააქტიურებას იწყებს. ამ პროცესის წარმატებით განსახორციელებლად მას მსოფლიოში განთქმული სავაჭრო ქსელის Wal-Mart-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად კი საკონსულტაციო კომპანია William C. Woodard and Associates-ის ხელმძღვანელი, ბილ ვუდარდი საკუთარი რეკომენდაციებით დაეხმარება. ეს მისი პირველი ვიზიტია საქართველოში. ვერასოდეს იფიქრებდა, თუ ოდესმე ქართულ კომპანიასთან ითანამშრომლებდა, თუმცა ბილ ვუდარდს ყველაზე მეტად სწორედ განვითარებადი ქვეყნების კომპანიებთან ურთიერთობა იზიდავს. ყველაფერი კი სავაჭრო ქსელის "პოპული" პიარ-მენეჯერის მიერ მისტერ ბილისთვის გაგზავნილი ელექტრონული წერილით დაიწყო, სადაც ბილ ვუდარდს ქართულ კომპანიასთან თანამშრომლობას სთავაზობდნენ.*

"სავაჭრო ქსელი "პოპული" 2001 წლიდან მოქმედებს საქართველოს საცალო და საბითუმო ვაჭრობის ბაზარზე, და საკმაოდ წარმატებულად, რაც ჩვენ მიერ აშორჩეული ბიზნესის წარმოების სტრატეგიის სამართლიანობაზე მიანიშნებს. სამომავლო განვითარებისათვის მრავალი ღონისძიება იგეგმება, რაც სავაჭრო ქსელ "პოპული"-ს წარმატებულობას, ეფექტურობას და კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო განამტკიცებს," - აცხადებენ სს "პოპულში". საცალო ვაჭრობის სფეროს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და წარმატებული სპეციალისტი ბილ ვუდარდი სავაჭრო ქსელ "პოპულს" სწორედ ეფექტურობის, კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში და სტრატეგიის დახვეწაში დაეხმარება.

ბილ ვუდარდი 22 წლის განმავლობაში მსოფლიოში ყველაზე წარმატებული სავაჭრო ქსელის Wal-Mart-ის თანამშრომელი იყო. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, დრო არ დაუკარგავს და სამასხურის ძიება დაიწყო. მალევე იპოვა - Wal-Mart Stores Inc.-ში. სანამ მენეჯერის ასისტენტი გახდებოდა, სპეციალური ტრენინგი გაიარა. "მენეჯერის ასისტენტი - უბრალოდ, ყველა ჟღერს და მეტი არაფერი. ჩემი მოვალეობა მანქანიდან საქონლის გადმოტვირთვა იყო..." - იხსენებს ბილ ვუდარდი.

თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მან Wal-Mart-ში უამრავ თანამდებობაზე იმუშავა. მათ შორის, Wal-Mart-ის შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მმართველი დირექტორი, მოგვიანებით აშშ-ში კომპანიის იმპორტის ხელმძღვანელი, ბოლოს კი Wal-Mart International-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ამ პერიოდში მას არგენტინაში, ბრაზილიაში, კანადაში, ჰონგ-კონგში, მექსიკაში, პუერტო რიკოში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კომპანიის ოპერაციების ხელმძღვანელობა ევალებოდა.

ამ ეტაპზე ბილ ვუდარდი საკუთარ საკონსულტაციო კომპანია William C. Woodard and Associates-ს მართავს. მის კლიენტებს შორისაა ისეთი კომპანიები, როგორიცაა: Bi-way (კანადა), The Daiei (იაპონია), LG International (სამხრეთ კორეა), Tops-Ahold (აშშ), Mosmart (რუსეთი) და სხვა.

საქართველოში სულ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა, თუმცა უკვე მოასწრო სს "პოპულის" გაცნობა და ამბობს, რომ "ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ კომპანიას შესწევს ძალა, ბაზარზე გაცილებით სოლიდურ სეგმენტს დაეუფლოს, თავისი ბიზნესის მეტად მრავალფეროვანი გახადოს და ა.შ...." ბილ ვუდარდის საკუთარ ქსელისთვის რეკომენდაციების მთელი ფასტა აქვს მომზადებული, თუმცა კონფიდენციალურობის იცავს და არ გვიმხელს.

"პოპულის" რამდენიმე უახლოესი გეგმის შესახებ "24 საათისთვის" მაინც გახდა ცნობილი - უახლოეს მომავალში თბილისში ორი ახალი მაღაზია გაიხსნება. კერძოდ, ერთ-ერთი გლდანში განთავსდება რომლის გახსნაც ოქტომბერშია დაგეგმილი, მას თავისი ზომების გამო (სავაჭრო ფართი 1000 კვ.მ. ) "პოპული XL" დაერქმევა, მეორე კი ბინას ყოფილი კოლმეურნეობის ბაზრის ტერიტორიაზე დაიდებს. ამ უკანასკნელს ჰიპერმარკეტის ზომა ექნება და "პოპული XXL"-ს უწოდებენ.

"მაღაზიის ინტერიერი ძველი თბილისის სტილში გაფორმდება, საბოლოოდ ჩვენ პატარა ქალაქს მივიღებთ ერთ დიდ მაღაზიაში..." - გაგვიმხილეს სს "პოპულში", რომელიც, ცნობისთვის, თბილისში პირველი სასურსათო და საყოფაცხოვრებო მაღაზიათა ქსელია. ქსელის შექმნის შესახებ იდეა 2001 წელს წარმოიშვა, რასაც პირველი მაღაზიის გახსნა მოჰყვა კიდეც. დღეს კი სავაჭრო ქსელი "პოპული" დედაქალაქის თითქმის ყველა უბანს მოიცავს.

"ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს, არა მხოლოდ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მიმდინარე მოთხოვნილებები, არამედ წინასწარ განჭვრიტოს მათთვის მისაღები და ფასეული პროდუქცია, მომსახურებამ, რაც ინოვაციების პირველ შემომტანს გვხდის საქართველოში," - განაცხადა კომპანიის პიარ-მენეჯერმა ლიკა მიქაუტაძემ.

სავაჭრო ქსელი "პოპული" სააქციო საზოგადოებაა. კომპანიის აქციებს ფლობენ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორც "ფაიარბერდ აურორა ფონდი" (ამერიკა), "ოსთინვესტორი"(გერმანია), "ისთკეპიტალი"(შვედეთი) და "საქართველოს ბანკი"-ა. კომპანიაში აცხადებენ, რომ სულ მალე სს "პოპული" კიდევ უფრო ეფექტურად დააკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესებს. "პოპული XXL"-ი ჩვენი კომპანიის სავიზიტო ბარათი იქნება, ეს მაღაზია საახალწლო საჩუქარია მათთვის, ვისაც სურს, შოპინგისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს. XXL-ის გახსნა დეკემბერში იგეგმება. აქ წარმოდგენილი უზარმაზარი ასორტიმენტი, შესანიშნავი გარემო, 24-საათიანი სერვისი და ძალიან ბევრი წამახალისებელი პროგრამა არც ერთ მომხმარებელს არ დატოვებს გულგრილს," - დაგვპირდა ლიკა მიქაუტაძე.

### ამინდი

| | 22/09 | 23/09 | 24/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 20 | 22 |
| რიგა | 22 | 22 | 20 |
| ვილნიუსი | 20 | 21 | 20 |
| მოსკოვი | 20 | 16 | 19 |
| მინსკი | 21 | 21 | 22 |
| პარიზი | 18 | 22 | 18 |
| რომი | 27 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 21 | 19 |
| მადრიდი | 20 | 21 | 18 |
| ბონი | 26 | 26 | 27 |
| ვარშავა | 21 | 21 | 22 |
| ათენი | 24 | 23 | 24 |
| ბერნი | 25 | 26 | 23 |
| ამსტერდამი | 21 | 19 | 20 |
| ოსლო | 20 | 20 | 19 |
| ანკარა | 23 | 26 | 26 |
| ვარნა | 19 | 18 | 18 |
| დელი | 47 | 42 | 41 |
| ტოკიო | 27 | 25 | 23 |
| კოპენჰაგენი | 20 | 16 | 17 |
| ბაქო | 26 | 26 | 25 |
| ერევანი | 29 | 30 | 30 |
| ასტანა | 16 | 16 | 10 |
| ჰელსინკი | 18 | 18 | 16 |
| დუბლინი | 15 | 15 | 17 |
| ლისაბონი | 21 | 20 | 21 |
| პრაღა | 20 | 20 | 21 |
| სოფია | 17 | 11 | 15 |
| ბუდაპეშტი | 22 | 22 | 23 |
| ბუხარესტი | 20 | 17 | 17 |

# 2007 წლის ბიუჯეტის ზოგიერთი ტენდენციები

პირველი გვერდიდან

სულ უფრო ახლოვდება ის დღე, როცა მთავრობამ მომავალი წლის ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონი საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა წარუდგინოს. ამ დროისთვის ფინანსთა სამინისტროს უკვე დასრულებული აქვს ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა და ყველა სამინისტროს მისი ასლი რამდენიმე დღის წინ დაეგზავნა.

დაახლოებით ორი კვირის წინ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა 2007 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამატრები განიხილა, 20 სექტემბერს კი მის საბოლოო პროექტზე უნდა ემსჯელა, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, მისი განხილვა ერთი კვირით, 27 სექტემბრამდე გადაიდო.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადებში ეტევა და მომავალი წლის საფინანსო გეგმა პარლამენტში 1 ოქტომბრამდე შევა.

სანამ საკანონმდებლო ხელისუფლება ბიუჯეტის საჯარო განხილვას დაიწყებს, 2007 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგიერთ პარამეტრისა და ტენდენციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად "24 საათი" ფინანსთა სამინისტროს დაუკავშირდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული უწყება ამ ეტაპზე ბიუჯეტთან დაკავშირებული დეტალიზებული ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებს.

ცნობილია, რომ მომავალ წელს კაპიტალური შემოსავლები მნიშვნელოვნად, თითქმის ოთხჯერ მცირდება და ის დაახლოებით 100 მილიონ ლარს შეადგენს. წელს კი, უკანასკნელი მონაცემებით, სახელმწიფომ შემოსავლების ამ ნაწილში 300 მილიონ ლარზე მეტი უკვე მიიღო და წლის ბოლომდე, ენერგოობიექტების გაყიდვიდან კიდევ 150 მილიონს ელოდება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის განცხადებით, 2007 წლის ბიუჯეტში დაახლოებით 160 მილიონი ლარით მცირდება საბაჟოდან მობილიზებული თანხები, რაც, ძირითადად, ახალი შემცირებული საბაჟო განაკვეთებით არის გამოწვეული.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, რითაც მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმპორტირებულ პროდუქტზე საბაჟო გადასახადები.

მიუხედავად 160 მილიონლარიანი დანაკლისისა, ფინანსთა სამინისტროს წინასწარი პროგნოზით მომავალი წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები წლევანდელთან შედარებით 300 მილიონი ლარით მეტი უნდა მობილიზდეს.

**"ბიუჯეტის ასეთი უმნიშვნელო ზრდა, ძირითადად, კაპიტალური შემოსავლების შემცირებით არის გამოწვეული. 2007 წელს მთავრობა არ აპირებს რაიმე მსხვილი ობიექტის გაყიდვას. საკომუნიკაციო სიხშირეებზე გაცემული ლიცენზიებიდანაც მომავალ წელს ბიუჯეტი ვერ მიიღებს ისეთივე დიდ შემოსავალს, როგორც ეს წელს იყო,"** - აღნიშნა ლაშა გოცირიძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

თუმცა, საერთო ჯამში მომავალი წლის ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით უმნიშვნელოდ, დაახლოებით 50 მილიონი ლარით იზრდება. ამ დროისთვის 2007 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 3 მილიარდ 433 მილიონი ლარით არის განსაზღვრული. ამ თანხაზე დაახლოებით 426 მილიონი ლარით მეტის დახარჯვას აპირებს საქართველოს მთავრობა მომავალ წელს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2007 წლის ბიუჯეტს 426-მილიონიანი დეფიციტი ექნება. ლაშა გოცირიძის ინფორმაციით, დეფიციტის დაფარვას მთავრობა ორი გზით აპირებს: სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული შეღავათიანი კრედიტებით, რაც 127 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, და დანარჩენი, დაახლოებით 260 მილიონი ლარის დეფიციტის დაფარვა შიდა რესურსებიდან არის ნავარაუდევი.

ერთი დეტალი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს ფონდის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობისგან მიმდინარე წლის ბიუჯეტში დეფიციტის განახევრება მოითხოვს. ნაწყვეტი რობერტ ე. კრისტიანსენის (ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში) წერილიდან: **"მისიის რეკომენდაციაა, შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, რაც მიიღწევა ხარჯების შემცირებით და/ან შემოსავლების გაზრდით. მისიას მიაჩნია, რომ სამთავრობო ხარჯების სწრაფი მატება, როგორც ეს დაგეგმილია 2006 წლის მომდევნო თვეებში, ინფლაციურ პროცესებს დააჩქარებს. სსფ ურჩევს მთავრობას, შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი 552 მილიონი ლარიდან, რომელიც 2006 წლის საბიუჯეტო კანონის მეორე ცვლილებით არის გათვალისწინებული, 341 მილიონ ლარამდე. მაშინ, როდესაც ფისკალური შეზღუდვა - შემცირებული დეფიციტი - არაპოპულარული ნაბიჯია, იგი აუცილებელია ინფლაციური ზეწოლის შესამცირებლად"** (წერილის სრული ვერსია გაზეთ "24 საათის" 1 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა).

ლაშა გოცირიძის თქმით, მომავალ წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტები წლევანდელისგან თითქმის არ განსხვავდება. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2007 წელს ყველაზე ბევრი ისევ ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე დაიხარჯება. ლაშა გოცირიძე თავდაცვის სისტემისთვის გათვალისწინებული თანხების დაკონკრეტებისგან ბიუჯეტის პროექტის სამთავრობო განხილვამდე თავს იკავებს. თუმცა, როგორც რადიო "თავისუფლებისთვის" არაოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, 2007 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სამხედრო ხარჯები თითქმის განახევრებულია. მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, თუკი წელს ქვეყნის თავდაცვის სისტემის მშენებლობაზე 605 მილიონი ლარი იხარჯება, გაისად მხოლოდ 392 მილიონი დაიხარჯება.

უფრო მეტი ინფორმაცია 2007 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ ცნობილი მომავალ კვირას გახდება, როდესაც მომავალი წლის საფინანსო გეგმის შესახებ მთავრობა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ღიად დაიწყებს მსჯელობას. "24 საათი" ახლო მომავალში შემოგთავაზებთ ბიუჯეტის პროექტის შესახებ დეტალურ ანალიზს, ცალკეული ექსპერტების შეფასებასა და პარლამენტარების კომენტარებს.






## თელური - ახალი ბრენდი თელიანი ველისგან





სალომე ძაძამია

კომპანია "თელიანი ველმა" საზოგადოებას ახალი ბრენდი, თეთრი და წითელი ნახევრად მშრალი ღვინო "თელური" წარუდგინა. ღვინის პრეზენტაციამ ანსამბლ "ფესვების" და პანტომიმის თეატრის მსახიობების მონაწილეობით ჩაიარა. ვაზის თემაზე დადგმულ წარმოდგენასთან ერთად, ღია ცის ქვეშ ფოტოკორესპონდენტ გოგა ჩანადირის ფოტოები გამოიფინა.

ახალი ღვინის ბრენდის "თელურის" პრეზენტაცია "თელიანი ველის ღვინის ფესტივალის" ფარგლებში ჩატარდა. კომპანიის ახალი ბრენდი დღეიდან სავაჭრო ქსელებში გამოჩნდა და ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომია. თეთრი "თელურის" ღირებულება სულ რაღაც ხუთი ლარია.

"თელიანი ველის" გენერალური დირექტორის მოადგილე გიო ხუციშვილი: "ჩვენს ახალ ღვინოს "თელური" ჰქვია. არის როგორც თეთრი, ისე წითელი. "თელიანი ველი" ყოველთვის ფიქრობს მომხმარებელზე, ჩვენ მათ ახალ-ახალ ბრენდებს ვთავაზობთ. ამასთან, ჩვენი ღვინო პირველად ჩამოისხა ქართულ ბოთლში. "თელური" ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, თეთრი ღვინის ფასი 5 ლარია, შავი უფრო მეტი ეღირება. დარწმუნებული ვარ, "თელური" მომხმარებლებში დიდ მოწონებას დაიმსახურებს".

"თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აჩიკო გეგენავა აცხადებს, რომ კომპანია მომავალშიც გაითვალისწინებს მომხმარებლების ინტერესებს და ახალ, შედარებით იაფფასიან შამპანურს გამოუშვებს.

"თელიანი ველი" ყველა ბაზარზე ორიენტირებული კომპანიაა. ყველგან ვართ, სადაც კი ქართული ღვინის გაყიდვის შესაძლებლობაა. რუსული ბაზარი ქართული ღვინისათვის ჯერ დაკეტილია, თუმცა მე იმედი მაქვს, რომ მალე გაიღება. დაახლოებით 6 თვე ვმუშაობდით ახალ ბრენდზე და ჩვენთვის მთავარი სტიმული ჩვენი მომხმარებელი იყო. ძალიან ხშირად ვხვდებოდით ისეთ ფაქტებს, რომ კომპანიის გულშემატკივრები და ჩვენს მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები მაღალი ფასების გამო ვერ ყიდულობდნენ "თელიანი ველის" ღვინოს. დიდი ბანკეტისთვის ან დღესასწაულისთვის ყველა ვერ შეიძენს, ვთქვათ, 100 ბოთლ "თელიანი ველის" ღვინოს, რადგან, სამწუხაროდ, ძვირი ღირს. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა რაღაც ისეთი, რომელიც იქნებოდა ასევე ნატურალური, ასევე ხარისხიანი, მაგრამ დაბალი ფასის. კომპანიის ტექნოლოგები ფიქრობდნენ, თუ რა ჯიშის ყურძნისგან შეიძლებოდა ასეთი ღვინის დამზადება და რის ხარჯზე, ისე, რომ ხარისხზე არ ემოქმედა. საბოლოოდ, "თელური" დამზადდა სხვადასხვა ყურძნის ჯიშებისგან კუპაჟირებული, ორი სახის - თეთრი მშრალი და წითელი მშრალი. მისი თვითღირებულება დაბალია, რადგან ბოთლიც და შეფუთვაც შედარებით იაფფასიანია. ყველაფერი ქართულია, საცობების გარდა, რომელიც პორტუგალიიდან ჩამოვიტანეთ, რადგან ქართულ საცობს მაინც ვერ ვენდეთ. ვინაიდან ღვინის თვითღირებულება დაბალია, სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რომ მისი საბაზრო ფასიც დაბალი ყოფილიყო. "თელურით" არ დასრულდება ახალი ბრენდების წარმოდგენა, რადგან ამ რთველზე ორი სახეობის ღვინის ჩამოსხმას ვაპირებთ. ჩვენი კომპანია ყოველთვის მუშაობს და სიახლეების ძიებაშია. რამდენიმე თვეა, შამპანურის პროექტი დავიწყეთ. შეიქმნება ნამდვილი შამპანიზაციით დამზადებული ცქრიალა ღვინო. ამ შემთხვევაში მთელი პროცესი ბოთლში მიმდინარეობს. ეს ცხრათვიანი ციკლია. სამწუხაროდ, ეს შამპანური ძვირი ეღირება, რადგან მისი თვითღირებულება მაღალია. მოკლე დროში უფრო იაფფასიანი ცქრიალა ღვინის გამოშვებასაც ვგეგმავთ, რომლის შამპანიზაცია ცისტერნებში მოხდება. შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთის ბაზრის დაკეტვამ ხელი შეუწყო ღვინის კომპანიების გამოცოცხლებას. ყველამ უფრო მეტად მოიწადინა, მოდუნებული კომპანიები გამოფხიზლდნენ, მუშაობენ, რომ ხარისხიანი ღვინო ჩამოასხან. თუმცა ყველა კომპანია რუსეთის ბაზრის დაკეტვას ვერ გადაიტანს. სხვა კუთხით თუ შევხედავთ, დარგისთვის ეს ბლოკადა უკეთესია იმიტომ, რომ საქმეს ყველა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება. კონკურენცია უფრო მაღალია სხვა ქვეყნებში, ევროპის ბაზარზე და აშშ-ში. იქ გაყიდვა გაცილებით რთულია, ვიდრე რუსეთის ბაზარზე. ჩვენს პროდუქციას ბევრგან ვყიდით, "თელიანი ველის" ღვინო მოლდოვაშიც არის. იქ საკმაოდ ძვირფას სეგმენტშია. არის მაღალი დონის რესტორნები, სადაც ჩვენს ღვინოზე მოთხოვნილება დიდია. უბრალოდ, ღვინოს კონდინციონირება და კატეგორია სჭირდება. ღვინის მწარმოებელთა კავშირი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, რომ ქართულ ღვინოს გეგმაზომიერი პრომოუშენი გავუკეთოთ," - აღნიშნა "თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აჩიკო გეგენავამ.

ფოტოკორესპონდენტი გოგა ჩანადირი: "მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ "თელიანი ველის" ღვინოები ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდ გავლენას მოახდენენ. ხანდაზმული ადამიანები ამბობენ, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლო სწორედ ქართულ ღვინოშია. მე ოთხწლიანი ურთიერთობები მაქვს ამ კომპანიასთან. ჩვენ გვინდა, მსოფლიო შემოვიაროთ და ამ სახის გამოფენები სხვადასხვა ქვეყნებში გავმართოთ. ეს საქართველოს და ქართული ღვინის პოპულარიზაციას დაეხმარება."